



იურისტის ბიბლიოთეკა

ბადრი  
კოჭლამაზაშვილი

კონსტიტუციის  
სამართლებრივი  
დაცვა

თბილისი  
2009

წინამდებარე ნაშრომს საფუძვლად დაედო კონსტიტუციის დაცვის საქმეში საკონსტიტუციო კონტროლის და მით უფრო ნორმატიული კონტროლის როლის გამოკვლევა, რადგან თავისი არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე სწორედ ნორმატიული კონტროლი წარმოადგება ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტურ საშუალებად.

წინამდებარე ნაშრომი ქართული სამართლის მეცნიერებაში პირველი ცდაა ერთიანი სახით წარმოადგინოს ამ საკითხის ირგვლივ მეცნიერული კვლევა და რეკომენდაციული ხასიათის წინადადებების შეთავაზება.

წიგნი განკუთვნილია, როგორც მეცნიერი იურისტებისა და ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებისათვის.

რედაქტორი:

**კონსტანტინე კუბლაშვილი**

სამართლის დოქტორი,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე



გამომცემელი: იურიდიული ფორმა  
“ბონა კაუსა”

თბილისი. 2009 წ.

## ავტორისაბან

კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ თანამედროვე სახელმწიფოებში კონსტიტუცია როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი, ხალხის ნების საყოველთაო გამოხატულებად და ყველაზე მაღალი რანგის ეროვნულ სამართლებრივ ნორმად გვევლინება. მისი როლი სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პროცესში განსაკუთრებული და ერთმნიშვნელოვნად დიდია, ვინაიდან იგი ამკვიდრებს იმ დემოკრატიულ ღირებულებებს, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების შემდგომი წინსვლა და განვითარება.

კონსტიტუცია უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტია და ამდენად, მასში დაფიქსირებულ იმ ძირითად ნორმა-პრინციპებს, რომლებსაც ეყრდნობა ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემა, განსაკუთრებული დაცვა და უზრუნველყოფა სჭირდება. კონსტიტუციის მოთხოვნების დაცვა და შესრულება საყოველთაოდ სავალდებულოა, მაგრამ მისი სტაბილურობისათვის ეს საკმარისი არ არის. კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვისა და მისი უზენაესობის უზრუნველყოფისათვის საგანგებო იურიდიული მექანიზმები უნდა ზრუნავდეს.

სამართლებრივი სახელმწიფო აღიარებს კონსტიტუციის უზენაესობას და მას უქვემდებარებს ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობას, მაგრამ სამართლებრივი სისტემებისა და სასამართლოს ფუნქციების შესახებ არსებული განსხვავებული მოსაზრებების გამო, კონსტიტუციის ნორმატიულ მხარეში სულ სხვადასხვა შინაარსს გულისხმობენ. იგი უპირველეს ყოვლისა ფუძემდებლური კანონი და მიმდინარე კანონმდებლობის ბაზაა, რომელიც ყველას ავალდებულებს იმოქმედოს კონსტიტუციის ფარგლებში და მის შესაბამისად. ამგვარი ვალდებულება, პირე-

ელ რიგში, საკანონმდებლო ორგანოზე ვრცელდება, რადგან კონსტიტუციის დარღვევის რეალური საფრთხე სწორედ მისგან იქმნება არაკონსტიტუციური კანონების მიღების გზით.

ამდენად, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა, რასაც გულისხმობს სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების მთავარი პირობა, დღის წესრიგში აყენებს მისი დამცავი მექანიზმების სრულყოფის საკითხს. შეიძლება ითქვას, რომ დაცვა განუყოფელი და აუცილებელი პირობაა კონსტიტუციისა, მისი ფუნქციონირების ობიექტური კანონზომიერება, რომლის გარეშე იგი ფაქტობრივად არარაობა იქნება. კონსტიტუციის დაცვის მთავარი პირობა მისი დამრღვევი ნორმების გამოვლენა და აღმოფხვრაა, რაშიც ყველაზე ეფექტურ სამართლებრივ მექანიზმად საკონსტიტუციო კონტროლი გვესახება.

სწორედ კონსტიტუციის დაცვის საქმეში საკონსტიტუციო კონტროლის როლის გამოკვლევა დაედო საფუძვლად მოცემულ ნაშრომს, რომელიც ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ამ საკითხის შემდგომ მეცნიერულ კვლევას, მით უფრო, რომ ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები საკმაოდ მწირია.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საკითხი ყოველ ქვეყანაში აქტუალურია, რადგანაც, როგორც უკვე ავლნიშნეთ, მისი სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივ სტაბილურობასთან. ეს საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია იმ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში არიან და სტაბილური სამართლებრივი სახელმწიფოსაგან შორს დგანან. ხშირად ცვალებადი პოლიტიკური კლიმატის პირობებში კონსტიტუცია არც თუ იშვიათად რჩება დაუცველი, როგორც უშუალოდ მასზე ზემოქმედების გზით, ასევე მიმდინარე კანონმდებლობისაგან. ამიტომ მოცემული ნაშრომის მიზანია გამოავლინოს კონსტიტუციის სამართლებრივი დარღვევის გზები და შეიმუშავოს რეკომენდაციები მათი აღმოფხვრის ფორმების შესახებ, ასევე კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფის შესახებ; თეორიასა და პრაქტიკაში კონსტიტუციის ერთგვაროვანი გაგებისა და გამოყენების შესახებ. ამ თვალსაზრისით, ნაშრომის მიზანია აგრეთვე საკონ-



სტიტუციო კონტროლის როლისა და დანიშნულების გარკვევა, მისი ფუნქციების გაანალიზება და უფრო აქტიურად გამოყენების რეკომენდირება კონსტიტუციური კანონიერებისა და თავად კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ნაშრომის კვლევის საგანია საკონსტიტუციო კონტროლი, როგორც კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის მექანიზმი. ამდენად, მეცნიერულად იქნა შესწავლილი თავად საკონსტიტუციო კონტროლის ცნება და არსი; მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია; მისი როლი კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში. ამ თვალსაზრისით შესწავლილ იქნა კანონთა საკონსტიტუციო კონტროლის სახეები. ყურადღება გამახვილდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ურთიერთობაზე კონსტიტუციის დაცვისა და გამოყენების სფეროში, აგრეთვე კონსტიტუციის განმარტებაზე, როგორც კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმაზე და ამ მხრივ საკონსტიტუციო კონტროლის როლსა და დანიშნულებაზე.

ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია ემყარება იურიდიულ მეცნიერებაში აპრობირებულ კვლევით მეთოდებს. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური ანალიზის, სისტემური და პროგნოზირების მეთოდები.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერ-იურისტთა მიერ საკონსტიტუციო კონტროლისა და კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გამოკვლეული ნაშრომები, სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა, მონოგრაფიები, სტატიები. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები და შესაბამისი კანონმდებლობა. საკვლევ თემასთან დაკავშირებით შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი პრაქტიკა.

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ეძღვნება საკონსტიტუციო კონტროლს, როგორც კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის მექანიზმს, წარმოადგენს პირველ ქართულენოვან გამოკვლევას, რადგანაც აღნიშნული თემის ამ სახით კვლევა ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში ცალკე სამეცნიერო ნაშრო-

მის სახით არ შესრულებულა, თუმცა ამ საკითხის ირგვლივ, თავისი აქტუალობიდან გამომდინარე, ქართველი მეცნიერი-იურისტები ყურადღებას ყოველთვის იჩენდნენ და სხვადასხვა სამეცნიერო სტატიებსა და პუბლიკაციებში აკეთებდნენ საყურადღებო დასკვნებსა და შენიშვნებს.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლეა არამარტო ის, რომ იგი ერთიანი სახით წარმოაჩენს საკონსტიტუციო კონტროლს, როგორც კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის მექანიზმს, არამედ იძლევა იმ დასკვნებსა და შენიშვნებს, აგრეთვე ამა თუ იმ საკითხის ახლებურად გადანყვეტის შესახებ წინადადებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ კონსტიტუციის დაცვას, კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფას და ამ სფეროში საკონსტიტუციო კონტროლის როლის წარმოჩენას. ნაშრომის სიახლეა აგრეთვე ის, რომ იგი ერთგვარი ცდაა, რათა ჩამოყალიბდეს ის თეორიული და საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევას.

ამდენად, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ მასში ჩამოყალიბებული შეხედულებები, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ამ საკითხის შემდგომ სამეცნიერო დამუშავებას და სრულყოფას; შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწას და საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტიანობის ამაღლებას.

**ბადრი კოჭლამაზაშვილი**

**სამართლის დოქტორი,**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე**

**თბილისი, 2009**

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## თავი პირველი

საკონსტიტუციო კონტროლი — სამართლებრივი  
სახელმწიფოს აუცილებელი ინსტიტუტი

§1. საკონსტიტუციო კონტროლის ცნება და არსი.....	1
§2. საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება	
მსოფლიოში.....	14
2.1 საკონსტიტუციო კონტროლის ისტორიული ფესვები.....	14
2.2 საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება ამერიკაში.....	16
2.3 საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება ევროპაში.....	21
2.4 საკონსტიტუციო კონტროლი სოციალისტურ ქვეყნებში.....	27
2.5 საკონსტიტუციო კონტროლი საბჭოთა კავშირში.....	32
2.6 საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება განვითარებად ქვეყნებში .....	40

## თავი მეორე

კანონმდებლობის საკონსტიტუციო კონტროლი

§3. საკონსტიტუციო კონტროლი და პარლამენტის უზენაესობა.....	45
§4. კონსტიტუციის დაცვა მიმდინარე კანონმდებლობისაგან.....	56
§5. საკონსტიტუციო კონტროლის სახეები.....	71

**თავი მესამე**

**კონსტიტუციის დაცვა სასამართლო წესით**

- §6. საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოთა ურთიერთობა ნორმატუკონტროლის სფეროში.....96
- §7. კონსტიტუციის განმარტება N .....118

# თავი პირველი

## საკონსტიტუციო კონტროლი — სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი ინსტიტუტი

### §1. საკონსტიტუციო კონტროლის ცნება და არსი

ლიბერალურ დემოკრატიაზე ორიენტირებულ სახელმწიფოში კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის უმათავრესი კანონი, საკმაოდ მნიშვნელოვან მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. იგი უნდა იყოს საზოგადოების დემოკრატიული განვითარების სამართლებრივი გარანტი, ადამიანის თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის დაცვის საშუალება, ამიტომ მისი როლიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, თავად კონსტიტუციის დაცვა განსაკუთრებულ საზრუნავად და ობიექტურ აუცილებლობად არის ქცეული.

ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა პირველი კონსტიტუციების შემუშავებისთანავე დაიწყო და ორ საუკუნეზე მეტი დროის გასვლამ დაადასტურა ის, რომ კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველსაყოფად ყველაზე ეფექტურ მექანიზმად საკონსტიტუციო კონტროლი უნდა ჩაითვალოს. ამგვარ აღიარებამდე იყო უამრავი დავა, ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტი და მოსაზრება, თუმცა გამოცდილება და თანამედროვე რეალობა ყოველგვარი ეჭვის გაფანტვის საშუალებას იძლევა.

მიუხედავად საკმაოდ დროის გასვლისა, შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის იურიდიულ მეცნიერებაში მაინც არ არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის საყოველთაოდ აღიარებული ერთგვაროვანი განმარტება, რაც უპირველეს ყოვლისა, უნდა აიხსნას მისი სამართლებრივი არსისა და დანიშნულების ერთობ გადაჭარბებული ანდა, პირიქით, საკმაოდ შეზღუდული გაგებით.

სანამ უშუალოდ საკონსტიტუციო კონტროლის ცნებას შევეხებით, მანამდე საჭიროა დავაზუსტოთ რამდენიმე ტერმინოლოგიური ასპექტი. რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით. კერძოდ, აქ საუბარია ქართულ წყაროებში გამოყენებულ ორ ტერმინზე: "კონსტიტუციური კონტროლი" და "საკონსტიტუციო კონტროლი". თავდაპირველად, უმეტეს შემთხვევაში

ვევაში, ეს ტერმინები თანაბარი მნიშვნელობითა და მონაცვლეობით იხმარებოდა, მაგრამ მოგვიანებით დამკვიდრდა თავად საქართველოს კონსტიტუციაში მითითებული ტერმინი "საკონსტიტუციო კონტროლი". ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა პროფ. ო. მელქაძემ, რომელმაც აღნიშნა: "კონსტიტუციური კონტროლის" ქვეშ იგულისხმება კონსტიტუციის დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის სახეები და ინსტიტუტები. ამდენად, აღნიშნული ტერმინი ერთდროულად უნდა მოიცავდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ საპარლამენტო, სამთავრობო და სასამართლო კონტროლს. თავისთავად ცხადია, ამ რიგში იგულისხმება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განეული საკონტროლო საქმიანობაც".<sup>1</sup>

გარდა ამისა, ზოგიერთ ქართულ და უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში სინონიმებად მონაცვლეობს ტერმინები: "საკონსტიტუციო კონტროლი" და "საკონსტიტუციო ზედამხედველობა", რაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ ვეთანხმებით იმაზრს, რომ ამ ორ ტერმინს შორის ის სხვაობა უნდა ამოვიკითხოთ, რაც არსებობს ორ სამართლებრივ ქმედებას — კონტროლსა და ზედამხედველობას შორის.

მაგალითად, პროფესორები ი. ილინსკი და ბ. შჩეტინინი თვლიან, რომ "საკონსტიტუციო კონტროლისა და საკონსტიტუციო ზედამხედველობის ცნებები შეესატყვისებიან ერთმანეთს და მათი გამიჯვნა, მით უმეტეს ერთიმეორის დაპირისპირება არ შეიძლება ცნობილ იქნეს წარმატებულ მცდელობად".<sup>2</sup> მათი არგუმენტი არის საკონსტიტუციო კონტროლისა და საკონსტიტუციო ზედამხედველობის ერთი და იგივე მიზანი — მიმდინარე კანონმდებლობის კონსტიტუციურობის უზრუნველყოფა, მაგრამ მოცემული განმარტების მიხედვით იგნორირებულია ამ საერთო მიზნის მისაღწევი ხერხები.

---

<sup>1</sup>მელქაძე ო. "საკონსტიტუციო კონტროლი" — ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ. ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 1998, №1, გვ. 19

<sup>2</sup>Ильинский И.П., Щетинин Б.В., Конституционный контроль и охрана конституционной законности в социалистических странах. "Советское государство и право", 1969, №9, стр. 42.

თუ საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის მიზნები მოცემულ შემთხვევაში მსგავსია, ეს სულაც არ უნდა ნიშნავდეს ამ ორი ცნების იდენტურობას, რადგანაც კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოების უფლებამოსილება და საქმიანობის მეთოდები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. აღნიშნული ორგანოების ფუნქციონირების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მთი საქმიანობის სამართლებრივი შედეგების განსხვავებაზე. ორგანოს, რომელიც ახორციელებს მხოლოდ საზედამხედველო ფუნქციას, არ შეუძლია ქმედითი სამართლებრივი ზომების გატარება როგორც კანონთან მიმართებაში, ასევე დარღვევებთან მიმართებაში. ამით იგი ემიჯნება კონტროლის ორგანოს. მართებულად მიგვაჩნია დოც. პ. ცნობილადის აზრი იმის შესახებ, რომ "კონსტიტუციურ კონტროლსა და კონსტიტუციურ ზედამხედველობას გააჩნია საერთო მიზანი და შინაარსი — კონსტიტუციური კანონიერების დაცვა კონსტიტუციური ნორმების რეალიზაციის პროცესში, მაგრამ ისინი ხორციელდება სხვადასხვა ხერხით და ამიტომ წარმოადგენს კონსტიტუციურ კანონიერებაზე დაკვირვების სხვადასხვა მეთოდს".<sup>1</sup>

კონტროლსა და ზედამხედველობას შორის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავება იმითაა გამოწვეული, რომ "ზედამხედველობის ორგანო ავლენს სამართალდარღვევას და გამოთქვამს ამის თაობაზე თავის აზრს, კონტროლის ორგანო კი უფლებამოსილია მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები გამოვლენილ გადაცდომათა სალიკვიდაციოდ".<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ ზედამხედველობის ორგანო ამონმებს რა სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობას, იღებს დასკვნას, რომელსაც აქვს შეფასებითი ხასიათი. ეს დასკვნა ხშირ შემთხვევაში არ იწვევს აქტის გაუქმებას, მის საფუძველზე აქტის გამომცემ ორგანოს და თანამდებობის პირს ეძლევა რეკომენდაცია, რათა შესაბამისობაში მოიყვანოს აქტი კონსტიტუციასთან,

---

<sup>1</sup> ცნობილადე პაატა. კონსტიტუციური კონტროლი და კონსტიტუციური ზედამხედველობა. ურნ. "სამართალი", 1992, №1. გვ. 24.

<sup>2</sup> მელქაძე ოთარ. კონტროლი და ზედამხედველობა სახელმწიფო მართვის სისტემაში. თბ. 1994წ. გვ. 10.

ზოლო კონტროლის ორგანო იხილავს რა აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, იღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც აქტი იცნობა კონსტიტუციურად ან პირიქით. ეს გადაწყვეტილება აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოსათვის და თანამდებობის პირისთვის უმეტესად არის საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის. მაშასადამე, საკონსტიტუციო კონტროლსა და ზედამხედველობას შორის განსხვავება გამოიხატება სამართლებრივ შედეგებშიც: პირველ შემთხვევაში არაკონსტიტუციური აქტი კარგავს იურიდიულ ძალას, მეორე შემთხვევაში — არა.

კონტროლსა და ზედამხედველობას ერთმანეთისაგან გამოიჯნავს პროფ. ვ. მაკლაკოვი. კერძოდ, იგი აღნიშნავს: “სიტყვა “კონტროლის“ არსობრივი მნიშვნელობა ნიშნავს რალაცის შემონმებას, “ზედამხედველობა“ კი ვარაუდობს რაიმეზე ხანგრძლივი თვალყურის დევნებას. სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო პირთა აქტების შემონმების პროცედურა — ეს არის ზუსტად კონკრეტული საქმის შესწავლა და არა მასზე აბსტრაქტული დაკვირვება. სიტყვა “კონტროლი“ ნიშნავს შემონმების კონკრეტულობას და უმეტესად მიესადაგება განსახილველ ინსტიტუტს”.<sup>1</sup>

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საკონსტიტუციო კონტროლის ქვეშ იგულისხმება ისეთი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საკონტროლო ორგანოების აქტების გაუქმების უფლებასთან. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ზოგიერთი მეცნიერის აზრით განპირობებულია ლენინის ცნობილი ბრძანებულებით, რომლის მიხედვით კონტროლის ორგანოებისაგან განსხვავებით ზედამხედველობის ორგანოებს არა აქვს არავითარი ადმინისტრაციული ძალაუფლება და არ აჩერებენ გადაწყვეტილებებს.<sup>2</sup>

პროფ. ო. მელქაძე ეწინააღმდეგება კონტროლის იმგვარ განმარტებას, რომლის მიხედვითაც იგი განიხილება როგორც

---

<sup>1</sup> Маклаков В. В., Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах. М., 1988, стр. 13.

<sup>2</sup> Орзих М. Ф., Черкес М. Е., Васильев А. С., Правовая охрана Конституции в социалистическом государстве. “Советское государство и право”, 1988, №6, стр. 6.



დადგენილ და ფაქტობრივ შედეგებს შორის შედარების პროცედურა. იგი აღნიშნავს, რომ, პირველ რიგში, უგულებელყოფილია კონტროლის პროფილაქტიკური ფუნქცია და, მეორეც, შეზღუდულია მისი შედეგიანობა. მისი თქმით: "კონტროლს ექვემდებარება არა მხოლოდ შედეგები, არამედ მმართველობის მთელი პროცესი და საშუალებები. საბოლოო შედეგების გაკონტროლებამდე უნდა გაკონტროლდეს ქვესაკონტროლო ობიექტების საქმიანობის კანონშესაბამისობა".<sup>1</sup>

კონტროლის ამგვარი გაგება ვერ გამოდგება საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებით და იგი მხოლოდ შეიძლება შეესაბამებოდეს სახელმწიფო მართვის სისტემაში განსახორციელებელ კონტროლს, რადგანაც, თუ კონტროლი ზედამხედველობისაგან განსხვავებით მართვის პროცესში ჩარევასაც გულისხმობს, კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, მაშინ ამ ლოგიკით საკონსტიტუციო კონტროლი კანონშემოქმედებით პროცესში გარკვეულ ჩარევას უნდა გულისხმობდეს, რაც ქმნის საკონსტიტუციო კონტროლის პოლიტიზაციის რეალურ საფრთხეს. კონტროლის ამგვარ გაგებას აუცილებლად მივყავართ მინიმუმ ნინანსარი კონტროლის სავალდებულო აღიარებამდე და კონტროლის ორგანოს შეჭრამდე საკანონმდებლო საქმიანობაში, რაც ცალსახად უარყოფითად უნდა იქნეს შეფასებული.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ საკონსტიტუციო კონტროლი, საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ისინი ისტორიული განვითარების კვალდაკვალ იცვლებიან და ვითარდებიან. დღეისათვის მათ სტატუსს ქვეყნის ძირითადი კანონი განსაზღვრავს, ხოლო ორგანიზაციულ და კომპეტენციურ საკითხებს, შემადგენლობასა და მუშაობის ნებს, საქმის განხილვის თავისებურებებს და ა.შ. კი — ამ ძირითადი კანონის საფუძველზე მიღებული სპეციალური კანონი. აქედან გამომდინარე, ის სახელმწიფო ორგანო უნდა ჩაითვალოს უფლებამოსილად განახორციელოს საკონსტიტუციო კონტროლი, რომელ-

---

<sup>1</sup> მელქაძე ოთარ. სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაცია: კონცეპტუალური მიმოხილვა. თურნ. "სამართალი". 1996, № 1-2, გვ. 6-7.

საც კონსტიტუცია და კანონმდებლობა აღჭურავს ამგვარი უფლებამოსილებით. ასეთი ორგანო კი შეიძლება იყოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლო ან მხოლოდ ქვეყნის უმაღლესი (უზენაესი) სასამართლო, არასასამართლო ორგანო — საკონსტიტუციო საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო და სხვა. ამ ორგანოებს ზოგადად შეიძლება ვუნოდოთ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები.

კონტროლის ორგანო საკუთარი ინიციატივით ან მისდამი ძიძართვის შემთხვევაში იკვლევს შემონმების საგნის შესაბამისობას კონსტიტუციასთან და მასში კონსტიტუციის მოთხოვნების დაცულობას, შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში იგი იღებს გადაწყვეტილებას და არაკონსტიტუციურად აცხადებს სამართლებრივ აქტს ან იძლევა რეკომენდაციას შეუსაბამობის აღმოფხვრის თაობაზე. პირველ შემთხვევაში გადაწყვეტილება ატარებს საბოლოო ხასიათს და იგი შესასრულებლად სავალდებულოა. მისი გადასინჯვა ან გასაჩივრება დაუშვებელია, ხოლო მეორე შემთხვევაში გადაწყვეტილება საკონსულტაციო ხასიათისაა.

შემონმების ამგვარი გაგება, როგორც უკვე ავლნიშნეთ, ერთმანეთისაგან განასხვავებს კონტროლსა და ზედამხედველობას. მათ შორის არსებული განსხვავების გათვალისწინებით, შემონმება თითოეულ შემთხვევაში გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. კერძოდ, შემონმება ხორციელდება გარკვეული პროცედურების დაცვით. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს -- სასამართლო თუ არასასამართლო ორგანო.

სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის დროს კონტროლი ხორციელდება სასამართლო პროცედურების დაცვით და იგი ატარებს სამართალწარმოების ხასიათს, ხოლო არასასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის დროს მას აქვს სახელმწიფოს დამოუკიდებელი საქმიანობის ფორმა და თავისუფალია სასამართლო პროცედურებისაგან.

როგორც ჩანს, კონტროლსა და ზედამხედველობას შორის გარკვეული შინაარსობრივი სხვაობა მაინც არსებობს. თუმცა მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ავლნიშნეთ, ზოგიერთ სამეც-

ნიერო ნაშრომში მათ თანაბარი დატვირთვა აქვთ. გარდა ამისა, თანაბარი მნიშვნელობით ვხვდებით აგრეთვე სხვა ისეთ ტერმინებსაც, როგორცაა “საკონსტიტუციო იუსტიცია”, “საკონსტიტუციო მართლმსაჯულება”, “საკონსტიტუციო იურისდიქცია”, რაც თავისთავად არასასურველია და ხანდახან დაბნეულობას იწვევს. ასეთი ტერმინოლოგიური მრავალფეროვნების მიუხედავად მათი შინაარსი დატვირთულია იმ გაგებით, რაც ზოგადად საკონსტიტუციო კონტროლის ცნებაშია ჩადებული. ამ ცნების შინაარსს კი ნამდვილად არა აქვს ერთგვაროვანი გაგება სამეცნიერო ლიტერატურაში.

მაგალითად, პროფ. მ.ნუდელის აზრით, “საკონსტიტუციო კონტროლი არის კანონების შემოწმება კონსტიტუციასთან მისი შესაბამისობის თვალსაზრისით”.<sup>1</sup> როგორც ჩანს, ზემოხსენებულ განმარტებაში აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ კანონების კონსტიტუციურობის შემოწმებაზე. ამდენად, იგი ხაზს უსვამს საკონსტიტუციო კონტროლის ერთ—ერთ ძირითად პრაქტიკულ ფუნქციას. საკონსტიტუციო კონტროლის ამგვარი გაგება ერთობ აკნინებს მის დანიშნულებას. თუ საკონსტიტუციო კონტროლს მხოლოდ კანონების კონსტიტუციურობის შემოწმებით შემოვფარგლავთ, ეს იქნება მცდელობა მისი არსის დაყვანისა ერთ—ერთ მთავარ ფუნქციამდე, რომელიც მიზნად ისახავს კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფას კანონების კონსტიტუციურობის შემოწმების გზით. ასევე, ზოგადად, ნორმატიული აქტების კონსტიტუციის შესაბამისად ან შეუსაბამოდ გამოცხადება სრულად ვერ ამონურავს საკონსტიტუციო კონტროლის შინაარსსა და მის სამართლებრივ დანიშნულებას. ნორმატიული აქტების კონსტიტუციურად ან არაკონსტიტუციურად გამოცხადება საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია კი არ არის, არამედ მისი განხორციელების სამართლებრივი შედეგია. ამდენად, ნაწილობრივ გავიზიარებთ იმ აზრს, რომლის მიხედვითაც “საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მთავარი ფუნქცია არის კონსტიტუციის დაცვაზე კონტროლი ნორმატიულ—სამართლებრივი აქტების

---

<sup>1</sup> Нудель М. А., Конституционный контроль в капиталистических государствах. М., 1968. стр 7.

შემონშების გზით, ქვეყნის ძირითად კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით“.<sup>1</sup>

პროფ. ა. ბლანკენაგელი საკონსტიტუციო კონტროლს განმარტავს როგორც “საქმიანობას, რომელიც მიმართულია ხელისუფლების დანაწილებისა და კონფლიქტების მოგვარებისაკენ”.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაშიც საუბარია კონფლიქტის მხოლოდ არასრულ მიზნებზე. თუ საკონსტიტუციო კონტროლს შემოვფარგლავთ მხოლოდ ხელისუფლების დანაწილებისა და კონსტიტუციური კონფლიქტების მოგვარებისაკენ მიმართულ საქმიანობად, ბუნებრივია, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე უმთავრესი ფუნქცია — კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა მიმდინარე კანონმდებლობისაგან, ვინაიდან იგი არც ხელისუფლების დანაწილების უზრუნველყოფის არსში ეტევა და არც კონსტიტუციური კონფლიქტების მოგვარებაში.

პროფ. ს. ბობოტოვი მიმოიხილავს რა ამერიკის უზენაესი სასამართლოს კონტროლს კონსტიტუციის დაცვაზე, დასძენს: “სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლი არის უზენაესი სასამართლოს სახელისუფლებო უფლებამოსილების ერთობლიობა, რომლებიც აძლევენ მას შესაძლებლობას, სუვერენულად შეაფასოს სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის კონსტიტუციურობა და გამოიტანონ ასეთ საკითხებზე თავისი იურიდიული შედეგების მიხედვით უმაღლესი და საბოლოო გადაწყვეტილება”.<sup>3</sup>

ამგვარი შეფასება ვერ ჩაითვლება საკონსტიტუციო კონტროლის სრულყოფილ განმარტებად, ვინაიდან, “სხვა სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა საქმიანობის კონსტიტუციურობის” შეფასება საკმაოდ ზოგადი ფორმულირებაა და დაკონკრეტებას მოითხოვს. თუ აქ იგულისხმება სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე დავის განხილვის ფუნქცია ანდა კანონმდებლობით განსაზღვრული ზოგიერთი

---

<sup>1</sup> Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии. Под редакцией проф. М.А. Митиокова. М. 1998. стр. 51.

<sup>2</sup> Бланкенагель А., Теория и практика конституционного контроля в ФРГ. “Советское государство и право”, 1989, №1, стр. 102

<sup>3</sup> Боботов С.В., Конституционный контроль в буржуазных странах: Доктрина и практика. “Советское государство и право”, 1989, №3, стр. 116.

უმალესი თანამდებობის პირის ქმედებების კონსტიტუციურობის შემონმება, მაშინ საკონსტიტუციო კონტროლის არსი მხოლოდ ამ ორი ფუნქციით არ უნდა შემოიფარგლოს.

პროფ. ვ.მაკლაკოვის აზრით, "საკონსტიტუციო კონტროლი არის სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო პირების მიერ გამოცემული აქტების ქვეყნის ძირითად კანონთან შესაბამისობაზე კონტროლის საკანონმდებლო გზით დადგენილი პროცედურა".<sup>1</sup> იგი ერთმანეთისაგან გამიჯნავს საკონსტიტუციო კონტროლს ფართო და ვიწრო გაგებით. პირველ შემთხვევაში შემონმებას ექვემდებარება ყველა გამოცემული აქტი, ხოლო მეორე შემთხვევაში — მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლების აქტები.

არც აღნიშნული განმარტება უნდა ჩაითვალოს მართებულად, ვინაიდან, ჯერ ერთი, ყველა სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტები ყოველოვის არ ექვემდებარება საკონსტიტუციო კონტროლს და, მეორეც, მოულოდნელია კონტროლის ობიექტთა შორის კერძო პირების მიერ გამოცემული აქტების შემონმების უფლების გამოჩენა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, საკონსტიტუციო კონტროლი ევლავაც მხოლოდ აქტების შემონმების ფუნქციით შემოიფარგლება.

ზოგიერთი მეცნიერი (ი. ერემენკო) საკონსტიტუციო კონტროლის ამოცანას ხედავს კანონების კონსტიტუციურობის დარღვევების აღმოსაფხვრელად მიმართული გადაწყვეტილებების გამოტანის უფლებაში.<sup>2</sup> ამ შემთხვევაშიც საკონსტიტუციო კონტროლის ამოცანა დაყვანილია მხოლოდ კანონების კონსტიტუციურობის შემონმებაზე, რაც ასევე არასრულყოფილ განმარტებად უნდა ჩაითვალოს.

მეცნიერთა ნაწილი (ი. ილინსკი, ბ. შჩეტინინი) საკონსტიტუციო კონტროლის მხოლოდ ამ ამოცანით შემოფარგელის წინააღმდეგნი არიან და აღნიშნავენ: "ზოგჯერ საკონსტიტუციო კონტროლის ქვეშ გაიგება მხოლოდ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების სპეციალური საქმიანობა, კონსტიტუციის

---

<sup>1</sup> Маклаков В.В., Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах. М., 1988, стр. 13.

<sup>2</sup> Еремченко Ю.П. Советская Конституция и законность. Саратов, 1982, стр. 5.

სანიანალმდეგო კონკრეტული მოქმედი ნორმატიული აქტების დადგენასა და აღმოფხვრისათვის, მაგრამ ასეთი განმარტება შემოფარგლავს საკონსტიტუციო კონტროლის ჩარჩოებს მხოლოდ სამართალშემოქმედებითი სფეროთი. მის საზღვრებს იქით ტოვებს კონტროლს თვითონ კონსტიტუციის დაცვაზე<sup>1</sup>. პროფ. ი. შულჟენკო საკონსტიტუციო კონტროლს განიხილავს პროცესად, რომლის დროსაც ხდება კონსტიტუციიდან გადახრების აღმოფხვრა, რითაც, მისი აზრით, ხორციელდება კანონმდებლობის სრულყოფა და კონსტიტუციის ახსნა.<sup>2</sup>

ასეთი შეფასება ვერ იქნება დამახასიათებელი ზოგადად საკონსტიტუციო კონტროლისათვის, ვინაიდან "კონსტიტუციიდან გადახრების აღმოფხვრა" შესაძლებელია მაშინ, როცა ამგვარი ფაქტი არსებობისას კონტროლის ორგანოს აქვს დაუყოვნებელი რეაგირების მექანიზმი (მაგ., საკუთარი ინიციატივით საქმისწარმოების დაწყების შესაძლებლობა და სხვა). აგრეთვე, ასეთი დახასიათება შეიძლება მისაღები იყოს, როცა არსებობს წინასწარი კონტროლის მექანიზმი, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს მხოლოდ შემდგომი რეაგირების შესაძლებლობა და კონტროლის ორგანო დამოკიდებულია ვინმეს სარჩელსა თუ წარდგინებაზე, ბუნებრივია, "კონსტიტუციებიდან გადახრების" არსებობის მიუხედავად, კონტროლის ორგანო უძლური აღმოჩნდება ასეთი ფაქტების წინაშე და მას მხოლოდ მაშინ ექნება რეაგირების შესაძლებლობა, როცა მას მიმართავენ.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით საკონსტიტუციო კონტროლის ზემოაღნიშნული ფუნქციები წარმოადგენს მისი საქმიანობის მხოლოდ ნაწილს. მაგ, პროფ. ვ. თუმანოვის აზრით, საკონსტიტუციო კონტროლის ამოცანა დაიყვანება არა მარტო "დაბალი იურიდიული ძალის მქონე აქტების შესაბამისობის უზრუნველყოფით გაცილებით მაღალი იურიდიული ძალის მქონე აქტებთან", არამედ, მისი აზრით, საკონსტიტუციო კონტროლის საგანი არის "საზოგადოე-

---

<sup>1</sup> Ильинский И.П., Щетинин Б.В., Конституционный контроль и охрана конституционной законности в социалистических странах. "Советское государство и право", 1969, №9, стр. 40.

<sup>2</sup> Шульженко Ю.Л., Правовая охрана Конституции. М., 1991, стр. 7.

ბრივ ურთიერთობათა განსაკუთრებული სფერო — საკონსტიტუციო — პოლიტიკური“.<sup>1</sup>

ასევე ვერ გავიზიარებთ პროფესორების ნ. ბობროვასა და ტ. ზრაჟევსკაიას აზრს იმის თაობაზე, თითქოს საკონსტიტუციო კონტროლი არის “კონტროლის ერთადერთი ფორმა, რომლისთვისაც არ არსებობს რაიმე ტერიტორიული, კომპეტენციური და საუნყებო საზღვრები”.<sup>2</sup> საკონსტიტუციო კონტროლის მასშტაბების ამგვარი უნივერსალური გაფართოება, ვფიქრობთ, აშკარად სცილდება მის ნამდვილ შინაარსს.

როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო კონტროლის ერთიანი გაგება დღეისათვის არ არსებობს. მოყვანილი განმარტებებიდან ნათლად ჩანს, რომ ზოგჯერ შეზღუდულად ან პირიქით, ფართოდ არის წარმოდგენილი საკონსტიტუციო კონტროლის არსი და დანიშნულება, მისი მიზნები და სახელმწიფო — სამართლებრივი როლი.

ზემოაღნიშნული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება საკონსტიტუციო კონტროლი განვმარტოთ შემდეგნაირად: საკონსტიტუციო კონტროლი არის სამართლებრივი საქმიანობის ფორმა, რომელიც სამართლებრივი აქტებისა და გარკვეული ქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების გზით უზრუნველყოფს კონსტიტუციისა და კონსტიტუციით აღიარებული პოლიტიკურ — სამართლებრივი ღირებულებების დაცვას.

აღნიშნული განმარტებით გამოკვეთილია რამდენიმე ყურადსაღები მომენტი:

1. საკონსტიტუციო კონტროლი სამართლებრივი საქმიანობის ფორმაა. ამგვარი დეფინიციით მკაფიოდ ვუსვამთ ხაზს საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივ ბუნებასა და შინაარსს. იგი სახელმწიფოს საქმიანობის განსაკუთრებული ფორმა და კონსტიტუციური პრობლემების მოგვარების სამართლებრივი მექანიზმია. ამ გზით ჩვენ ვცდილობთ უარყოთ საკონ-

---

<sup>1</sup> Туманов В.А., Судебный контроль за конституционностью нормативных актов. “Советское государство и право”, 1988, №3, стр. 14.

<sup>2</sup> Боброва Н.А., Зражевская Т.Д., Ответственность в системе гарантий конституционных норм. Воронеж, 1985, стр. 101.

სტიტუციო კონტროლის პოლიტიკური ხასიათი და დანიშნულება. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო არ არის პოლიტიკური ორგანო, ვინაიდან იგი არ ასრულებს პოლიტიკურ ფუნქციას და არც მიზანი აქვს პოლიტიკური. მართალია, ამ ორგანოს აქვს გარკვეული შემხებლობა პოლიტიკურ საკითხებთან მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ მათ სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს და ამ ჩარჩოებში ცდილობს მათ მოგვარებას, ამიტომ უნდა ჩაითვალოს საკონსტიტუციო კონტროლი სამართლებრივ საქმიანობად და არა პოლიტიკურ საქმიანობად. მისი ფუნქცია არ არის სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ამა თუ იმ სფეროში, ამდენად, არ შეიძლება იგი იყოს პოლიტიკური იარაღი და მექანიზმი გარკვეული პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად.

2. საკონსტიტუციო კონტროლის მიზანია კონსტიტუციისა და კონსტიტუციით აღიარებული პოლიტიკურ — სამართლებრივი ღირებულებების დაცვა. კონსტიტუცია, როგორც ძირითადი კანონი, იმ ფუნქციონირებს პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობაა, რომელზეც უნდა მოხდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების დაშენება და განვითარება. იგი პოლიტიკურ — სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტია და შეიცავს იმგვარი შინაარსის ღირებულებებს, რომლებსაც შესაბამისი დაცვა და განმტკიცება სჭირდება. ამ მიზნით საკონსტიტუციო კონტროლი გვევლინება ყველაზე ეფექტურ სამართლებრივ მექანიზმად, რომელიც არაკონსტიტუციურად აცხადებს კონსტიტუციის დარღვევის ფაქტებს და ამ გზით იცავს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებასა და კონსტიტუციით აღიარებულ პოლიტიკურ — სამართლებრივ ღირებულებებს.

3. საკონსტიტუციო კონტროლი თავის მიზანს უზრუნველყოფს სამართლებრივი აქტებისა და გარკვეული ქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების გზით. 'სამართლებრივი აქტები' ერთობ ფართო ცნებაა, რომელიც ყველა ქვეყანასთან მიმართებაში ერთნაირად ვერ გამოდგება. თუ ზოგიერთი ქვეყანა მის ყველა სახეს (როგორც ნორმატიულ, ისე ინდივიდუალურ აქტებს) უქვემდებარებს საკონსტიტუციო კონტროლს (აზერბაიჯანი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია და სხვა), ქვეყნების უმრავლესობა მხოლოდ ნორმატიული აქტების საკონსტი-



ტუციო კონტროლს ადგენს, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი შეიძლება იყოს არაერთგვაროვნება და ყველა სახის ნორმატიული აქტი არ ექვემდებარებოდეს კონტროლს. რაც შეეხება "გარკვეულ ქმედებებს", ესეც პირობითი ცნებაა, რადგანაც ყოველი ქვეყნის კანონმდებლობა თავისებურად განსაზღვრავს იმ ქმედებათა სახეებს, რომლებიც ექვემდებარებიან საკონსტიტუციო კონტროლს (მაგ. უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციის დარღვევის საკითხი; პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის კონსტიტუციურობა და ა.შ.), ხოლო, ვინაიდან კონსტიტუციის დარღვევა შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით, ამიტომ მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ტერმინი "ქმედება".

სამართლებრივი აქტებისა და გარკვეული ქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობა ან შეუსაბამობა დგინდება მათი შემონმების გზით. "შემონმება" ერთნაირად შეიძლება გამოვიყენოთ საკონსტიტუციო კონტროლისა და საკონსტიტუციო ზედამხედველობის შემთხვევაში, ოღონდ შემონმების პროცედურასა და მის სამართლებრივ შედეგებში ის სხვაობა უნდა ამოვიკითხოთ, რაც ზემოთ უკვე დავინახეთ კონტროლსა და ზედამხედველობას შორის.

ნინამდებარე ნაშრომში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ კანონმდებლობის საკონსტიტუციო კონტროლს, ვინაიდან, ვფიქრობთ, იგი უკეთ შეესაბამება საკვლევი თემის სამართლებრივ შინაარსს.

## §2. საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება მსოფლიოში

### 2.1 საკონსტიტუციო კონტროლის ისტორიული ფესვები

საკონსტიტუციო კონტროლი მთელი თავისი მნიშვნელობით წარმოიქმნა მხოლოდ დაწერილი კონსტიტუციის არსებობის პირობებში, როდესაც შესაძლებელი გახდა კონსტიტუციის საწინააღმდეგო სამართლებრივი აქტების (უპირველეს ყოვლისა, კი კანონების) ძალადაკარგულად და იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადება. თუმცა კანონების შემონმების პრაქტიკა საკმაოდ შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ ათენში სოლონის მიერ ძვ.წ. 585 წელს შემოღებულ იქნა პელეია – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც გარდა სასამართლო საქმეების განხილვისა უფლებამოსილი იყო მიეცა დასკვნები კანონპროექტებზე, რომლებიც წარედგინებოდა სახალხო კრებას.<sup>1</sup> სასამართლო კონტროლის პროცედურა არსებობდა აგრეთვე შუა საუკუნეების ესპანეთში – არაგონის სამეფოში, სადაც 1163 წლიდან მოქმედებდა კორტესების პალატების წარმომადგენლებისაგან შემდგარი სპეციალური კომისია. მას ხელმძღვანელობდა არაგონის უმაღლესი სასამართლო, რომელიც მონოდებული იყო თვალყური ედევნებინა ახლად მიღებული კანონებისათვის, რათა არ დარღვეულიყო მეფის ხელმოწერით დამონმებული ადათ-წესების ჩანაწერები, რომლებიც განიხილებოდა ქვეყნის ძირითად კანონებად.

საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის ჩანასახს ვხვდებით XVI საუკუნის პოლონეთშიც, სადაც 1573 წელს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო ე.წ. პენრიკის აქტი, რომლის მიხედვითაც დამყარდა კანონის უზენაესობა მეფესთან და ჩვეულებრივ მოქალაქეებთან მიმართებაში, ხოლო 1775 წელს დაარსდა სპეციალური საბჭო, რომელსაც ირჩევდა საკანონმდებლო ორგანო. იგი ახდენდა კანონების განმარტებას, რომელიც სავალდებულო იყო ყველა სასამართლოსათვის, თუ მას თავად საკანონმდებლო ორგანო არ გააუქმებდა. 'მუდმივმა საბჭომ საფუძველი

---

<sup>1</sup>მარიამ ცაცანაშვილი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. I ნაწ. თბ. 1995 წ., გვ. 62.

ჩაუყარა საკონსტიტუციო კონტროლის პოლიტიკური იდეის გან-  
ვიითარებას.<sup>1</sup>

ხშირად საკონსტიტუციო კონტროლის წარმოშობას უკავ-  
შირებენ XVII საუკუნეში დიდი ბრიტანეთის მონარქთან არსე-  
ბულ საიდუმლო საბჭოს საქმიანობას, რომელიც უფლებამოსილი  
იყო გაეუქმებინა და ძალადაკარგულად ეცნო სამეფოს კოლონიე-  
ბის საკანონმდებლო ორგანოების – ლეგისლატურების მიერ  
გამოცემული კანონები, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ინგლი-  
სის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს ან საერთო სამარ-  
თალს. ზოგიერთ შემთხვევაში თავად პარლამენტის მიერ მიღე-  
ბული კანონიც კონტროლდებოდა საერთო სამართლის საფუძ-  
ველზე და, თუ აღმოჩნდებოდა, რომ კანონი ჩვეულებით სამარ-  
თალს ან “სალ აზრს” ეწინააღმდეგებოდა, ან მისი შესრულება  
შეუძლებელი იყო, – უმოქმედოდ ცხადდებოდა. მაგალითად, 1619  
წელს მოსამართლე ედვარდ კოკია ექიმ თომას ბონჰემის საქმეზე  
ძალადაკარგულად სცნო ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებუ-  
ლი კანონი, რადგან ჩათვალა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა საერ-  
თო სამართლის პრინციპს.

იდეა იმის შესახებ, რომ სტატუტები, რომლებიც ინგლისის  
საერთო სამართლის წინააღმდეგია, ითვლება ძალადაკარგულად,  
წინა პლანზე წამოსწია XVI საუკუნის დასასრულისა და XVII საუკუ-  
ნის პირველ ნახევარში მოღვაწე პოლიტიკოსმა და იურისტმა ე.  
კოკმა, რომელმაც რიგ შრომებში ფორმულირება გაუკეთა ამ  
დებულებას.

ამ პერიოდისათვის უკვე ნათლად გამოიკვეთა საერთო სა-  
მართლის უზენაესობის იდეა კანონთა მიმართებაში. ამგვარი  
აღიარების ერთ-ერთ პირველ ფაქტს შეიცავს საიდუმლო საბჭოს  
1612 წლის გადაწყვეტილება, სადაც მკაფიოდ იკითხება, რომ, თუ  
პარლამენტის აქტი ეწინააღმდეგება სამართალს ან კეთილგო-  
ნიერებას, არის შეუსაბამო ან შეუსრულებადი, საერთო სამარ-  
თალი გააკონტროლებს ამ აქტს და მსგავს შემთხვევაში გამოტ-  
ანილი იქნება ასეთი აქტის უმოქმედობის შესახებ გადაწყვე-  
ტილება.

---

<sup>1</sup> ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება  
პოსტკომუნისტურ ევროპაში. “აირის საქართველო”, 2003 წ., გვ. 400.

საიდუმლო საბჭოს მიერ განხორციელებული ამგვარი საქმიანობიდან შეიძლება დავასახელოთ 1727 წელს განხილული Winthrop V. Lechmere საქმე, როცა კონექტიკუტის კოლონიის კანონი ცნობილ იქნა ძალადაკარგულად, რადგანაც იგი ეწინააღმდეგებოდა სამეფოს სამართალს და ქარტიის შინაარსს. მან მიუთითა, რომ "არავის არ აქვს უფლება მიიღოს ასეთი კანონი" (ეს კანონი აუქმებდა მაიორატის პრინციპს). 1931 წლიდან, ვესტმინსტერის სტატუსის მიღების შემდეგ საიდუმლო საბჭო ასეთ შემთხვევას მხოლოდ იმ შემთხვევაში ახდენს, როცა დომინიონი ქვეყანა თავად გამოთქვამს ასეთ სურვილს.

მონარქთან შექმნილი უმაღლესი სათათბირო ორგანოსათვის ამგვარი უფლებამოსილების მინიჭება განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით: უპირველეს ყოვლისა, იმდროინდელი დაძაბული ურთიერთობების პირობებში, რომელიც არსებობდა მეფესა და პარლამენტს შორის, საიდუმლო საბჭო უზრუნველყოფდა მეფის პოლიტიკური კურსის განხორციელებას და დაცვას. მეორე მხრივ, საიდუმლო საბჭოს საკოლონიო პოლიტიკა უზრუნველყოფდა მეფის ხელისუფლების ცენტრალიზაციას გაერთიანებული სამეფოს მასშტაბით. და ბოლოს, შედაპოლიტიკური კონფლიქტების პირობებში იგი ახერხებდა საერთო სამართლის ბატონობის შენარჩუნებას.

მიუხედავად კანონების შემოწმების პრაქტიკისა და ამ უფლებით აღჭურვილი ორგანოს არსებობისა, დანერგილი კონსტიტუციის არარსებობის პირობებში საიდუმლო საბჭოს საქმიანობა უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს საქმიანობის დამოუკიდებელ მიმართულებად და არა საკონსტიტუციო კონტროლად თანამედროვე გაგებით.

## 2.2 საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება ამერიკაში

საკონსტიტუციო კონტროლის იდეის რეალურ განხორციელებად იქცა ამერიკული მოდელი, რომელმაც მიიღო ხარისხობრივად სულ სხვა ინტერპრეტაცია და იმდენად სპეციფიკური თავისებურება შეიძინა, რომ ამჟამად მისი განხილვა შეიძლება როგორც დამოუკიდებელი და მაღალგანვითარებული მოდელისა.

ამგვარ სრულყოფილებამდე კი საკონსტიტუციო კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1780-იანი წლებიდან იწყებს დამკვიდრებას და განვითარებას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ნიუჯერსის სასამართლოებმა პირველებმა დაიწყეს პრაქტიკაში შტატის კანონის კონსტიტუციურობის შემოწმება. 1780 წელს *James V. Walton*-ის საქმეზე გადაწყვეტილებაში სასამართლომ პირველად აღიარა შტატის კანონი ბათილად შტატის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მოტივით.

ვირჯინიის შტატში კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების პირველი შემთხვევა მიეკუთვნება 1782 წელს, როცა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ჩანერა, რომ სასამართლო უფლებამოსილია აღიაროს რეზოლუცია ან საკანონმდებლო კრების აქტი ან მისი რომელიმე ნაწილი კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, ე.ი ძალადაკარგულად.

როდ-აილენდის შტატის მოსამართლეებმა 1786 წელს *Trevett V. Weeden*-ის საქმეზე შტატის კანონი ცნეს არაკონსტიტუციურად, რომელიც ქალაქის ფულის შემოტანას ითვალისწინებდა.

ფედერაციის შექმნისა და 1787 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ კანონების კონსტიტუციურობის შემოწმების სასამართლო პრაქტიკა გრძელდება. 1787 წლიდან 1803 წლამდე შტატის სასამართლოებმა გამოიტანეს 20-ზე მეტი გადაწყვეტილება, რომლებითაც შტატის ცალკეული კანონები ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად.

1791 წელს ფედერალურმა სასამართლომ კონექტიკუტის შტატის კანონი გამოაცხადა კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, ხოლო მომდევნო წელს ფედერალურმა სასამართლომ ამავე შტატის კიდევ ერთი კანონი ცნო არაკონსტიტუციურად, რომელიც ვალებზე სამწლიან მორატორიუმს ითვალისწინებდა.

1800 წელს მოსამართლე *S. Ceizma Cooper V. Tellair*-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ უმაღლეს სასამართლოს შეუძლია კონგრესის აქტი აღიაროს არაკონსტიტუციურად და ამასთან დაკავშირებით გამოაცხადოს იგი ძალადაკარგულად.

1803 წელს კი მერბერი მედისონის საქმეზე ცნობილი გადაწყვეტილებით უმაღლესმა სასამართლომ ჯორჯ მარშალის თავმჯდომარეობით პირველად აღიარა საერთო ფედერალური კანონი არაკონსტიტუციურად და მიუთითა, რომ "კონსტიტუცია არის ქვეყნის ძირითადი და უზენაესი კანონი და საკანონმდებლო ხელისუფლების ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მოკლებულია იურიდიულ ძალას".

ვერ გავიზიარებთ ზოგიერთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს "1803 წელი აღიარებულია საკონსტიტუციო ზედამხედველობის დოქტრინის დაბადების წლად".<sup>1</sup> როგორც ზემოხსენებული მაგალითები მოწმობს, საკონსტიტუციო კონტროლის არც პრაქტიკა და არც, მით უფრო, დოქტრინა 1803 წლიდან არ დაწყებულა. 1803 წელს იურიდიულად პირველად განხორციელდა ფედერალური კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, მაგრამ მანამდე უკვე არსებობდა პრეცედენტები შტატების კანონების გაუქმებისა.

ზოგიერთი მეცნიერი საკონსტიტუციო კონტროლის წარმოშობას ამერიკაში წმინდა პოლიტიკური ფაქტორებით ხსნის. მაგალითად, რუსი მეცნიერი მ. ნუდელი მას, ერთი მხრივ, უკავშირებს კლასობრივი ბრძოლის მკვეთრად გამძაფრებას კონსტიტუციის მიღების წინა პერიოდში და, მეორე მხრივ, იგი თვლის, რომ სასამართლო საკონსტიტუციო ზედამხედველობის სისტემის ძირითადი იდეა უნდა ვეძებოთ წარმომადგენლობითი ორგანოებისადმი ამერიკის ბურჟუაზიის უნდობლობაში, რათა მან ამ გზით თავისი კლასობრივი ინტერესების დასაცავად დამატებითი საშუალება შექმნას. იგი აღნიშნავს, რომ "ამშ-ის მმართველი წრეები ცდილობდნენ რეაქციის გამარჯვების უკვდავყოფას, ამიტომ მათ ესაჭიროებოდათ გარანტია, რომლითაც კონგრესის მომდევნო კანონმდებლობა არ გადააცილებდა კონსტიტუციაში განმტკიცებულ პრინციპებს და ასეთი გარანტია მათ იპოვეს კანონების კონსტიტუციურობის სასამართლო შემოწმებაში."<sup>1</sup>

<sup>1</sup> ოთარ მელქაძე, ბეჟა დვალი. სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბ., 2000 წ., გვ. 242.

<sup>1</sup> Нудель М. А. Конституционный контроль в капиталистических государствах. М. 1968 г. стр. 19.

მ. ნუდელს ამის თქმის საფუძველს აძლევს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამერიკაში საკონსტიტუციო კონტროლის ხშირი გამოყენება სოციალური კანონმდებლობის ჩანასახის წინააღმდეგ, რათა დაცული ყოფილიყო კაპიტალისტური მონოპოლიის ინტერესები. კერძოდ, 1895-1898 წლებში უმაღლესმა სასამართლომ სრული ანულირება გაუკეთა და არსი გამოაცალა ნორმატიულ აქტებს, რომელთა მიშვევებით საკანონმდებლო ხელისუფლება ცდილობდა მონოპოლიებზე კონტროლის დანესებას, უსამართლო სარკინიგზო ტარიფების დანესებისათვის ხელის შეშლას, საშემოსავლო გადასახადების დადგენას და სხვა. ასევე აღსანიშნავია, რომ 1910 წელს უმაღლესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საკმაოდ ბევრი კანონი, რომლებიც შრომითი ურთიერთობების დასარეგულირებლად იყო მიღებული.

შემდეგი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრებას ამერიკაში, განპირობებული იყო ასევე პოლიტიკური ინტერესით – განმტკიცებულიყო სახელმწიფოს ცენტრალიზაცია. სწორედ ამით აიხსნება ფედერალური უმაღლესი სასამართლოს უფლება, ერთი მხრივ, ბათილად ცნოს შტატების კანონები, თუ ისინი ფედერალურ კანონებს ან ხელშეკრულებებს ეწინააღმდეგება, ხოლო, მეორე მხრივ, გადასინჯოს შტატების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებები, სადაც ფედერალური კანონების ინტერპრეტაცია არის მოცემული. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამერიკაში საკონსტიტუციო ზედამხედველობას ახორციელებს ყველა სასამართლო, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ფედერალური უმაღლესი სასამართლო.

რამდენიმე გადაწყვეტილებით, რომელიც უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა 1796, 1810, 1816, 1819, 1824 წლებში, განამტკიცა თავისი უფლება შტატის კანონების კონსტიტუციურობის შემოწმებაზე. დროთა განმავლობაში ამერიკის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დაახლოებით 1200 შემთხვევაში გამოიყენა კონტროლის უფლება შტატების კანონების გასაუქმებლად ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა სიკვდილით დასჯას, აბორტებს, მსჯავრდებულთა უფლებებს და სხვა.

ფედერალური უმაღლესი სასამართლოს აღჭურვას ამგვარი უფლებით შტატების სასამართლოები აპროტესტებდნენ, რისი დასტურიც არის 1813 წელს აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს მიერ *Fairfax's Devisee V. Hunters Lessee* საქმეზე გადანყვეტილების მიღება, რის შემდეგაც ვირჯინიის სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუცია უმაღლეს სასამართლოს არ ანიჭებს უფლებას შტატების სასამართლოების გადანყვეტილებების გადასინჯვაზე და ამიტომ 1789 წლის სასამართლო აქტის 25-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს სასამართლოში შტატის სასამართლოს გადანყვეტილების ანულირების შესაძლებლობას, – კონსტიტუციის სანინაალმდეგოა. ამრიგად, შტატის სასამართლომ განცხადება გააკეთა თავისი უფლების აღიარების შესახებ, მაგრამ 1816 წელს გამოტანილ გადანყვეტილებაში უმაღლესმა სასამართლომ ერთხმად დაამტკიცა თავისი უფლება შტატის სასამართლოს გადანყვეტილებების გადასინჯვაზე.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის კონსტიტუცია ღიად არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს, მაგრამ იგი მაინც დამკვიდრდა სასამართლო პრეცედენტის სახით. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის დამფუძნებლებს სასამართლოს მოვალეობად მიაჩნდათ კონსტიტუციის სანინაალმდეგო ყველა კანონის უმოქმედოდ გამოცხადება, ამ პოზიციამ მაინც ვერ გადაჭრა აღნიშნული ინსტიტუტის ძირითად კანონში ასახვის საკითხი. უმაღლესმა სასამართლომ ცნობილი გადანყვეტილებით ფაქტობრივად დაამტკიცა თავისი უფლება საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაზე. როგორც დოც. ს. ეგოროვი აღნიშნავს “ამერიკაში საკონსტიტუციო ზედამხედველობის წარმოქმნისა და ევოლუციის ფორმალურ-იურიდიული საფუძველი გახდა სასამართლო პრეცედენტი და კონსტიტუციური წეს-ჩვეულებები.”<sup>1</sup>

ამერიკაში საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების პოლიტიკური საფუძვლების მიუხედავად, არ შეიძლება სათანადოდ არ შეფასდეს ის უმნიშვნელოვანესი როლი, რომელიც მან

---

<sup>1</sup> Егоров С. А. Конституционный надзор в современной политико-правовой теории США. Советское госуд. и право, 1991 г., #4, стр. 122.



შეასრულა კონსტიტუციის დაცვის, კონსტიტუციური კანონიერებისა და განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. 200-წლიანი პრაქტიკის მანძილზე უზენაესმა სასამართლომ 140-მდე ფედერალური კანონი სცნო არაკონსტიტუციურად და მათგან სულ რამდენიმეს ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა.

ამერიკის კონტინენტზე პირველი ქვეყანა, სადაც აშშ-ის შემდეგ ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის სისტემა, იყო მექსიკა. შემდეგ მას მოჰყვა არგენტინა 1853 წელს. უკვე XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკის კონტინენტის რიგი ქვეყნების კონსტიტუციებმა იწყეს აღნიშნული სისტემის გათვალისწინება და მათი დამკვიდრება საერთო სასამართლოების ფარგლებში. ასე მოხდა, მაგალითად, ბრაზილიაში (1891 წ.), ნიკარაგუაში (1893 წ.), ჰონდურასში (1894 წ.), ურუგვაიში (1917 წ.), ვენესუელაში (1928 წ.), სალვადორში (1939 წ.) და ა.შ.

ამ ქვეყნებმა მომდევნო წლებში თანდათან დახვეწეს აღნიშნული სისტემა. მათ მაგალითს სხვა ქვეყნებმაც მიბაძეს და მცირე თავისებურებების მიუხედავად შექმნეს საკონსტიტუციო კონტროლის ერთიანი მოდელი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მისი განხორციელება საერთო სასამართლოების მიერ. ამ მოდელს სამეცნიერო ლიტერატურაში "ამერიკულ მოდელს" უწოდებენ. მის აღსანიშნავად გვხვდება სხვა ტერმინებიც, კერძოდ, "დეცენტრალიზებული მოდელი" და "დიფუზური საკონსტიტუციო მართლმსაჯულება". დღეისათვის ამერიკული მოდელის ქვეყნებად მსოფლიოში ითვლებიან ამერიკა, ბრაზილია, დანია, ირლანდია, კანადა, ავსტრალია, იაპონია, ინდოეთი, მექსიკა, ნიდერლანდები, შვედეთი, კოსტა-რიკა, კოლუმბია, არგენტინა, ისრაელი, პანამა, ვენესუელა და სხვა.

## 2.3 საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება ევროპაში

ევროპაში საკონსტიტუციო კონტროლის იდეის პრაქტიკული განხორციელება მარტივად არ მომხდარა. იგი საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა და გარკვეული თავისებურებებით იკიდებდა ფეხს, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა.

შეიძლება ითქვას, რომ მთელი XIX საუკუნის განმვლობაში ევროპაში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი დასამკვიდრებლად სასურველ ნიადაგს ვერ პოულობდა, რასაც პროფ. ვ. მაკლაკოვი ორი გარემოებით ხსნის: პირველი იმით, რომ იმდროისათვის ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში არსებობდა მმართველობის მონარქიული ფორმა, რომელიც თავისი არსის მიხედვით არ ვარაუდობს აქტების შემოწმებას მათი კონსტიტუციურობის თვალსაზრისით და მეორე იმით, რომ მაშინ გაბატონებული იყო ჟან-ჟაკ რუსოს თეორია სახალხო სუვერენიტეტის შესახებ, რომლის თანახმად, არჩევითი დანესებულების მიერ მიღებული კანონი არ შეიძლება იყოს არასწორი.<sup>1</sup>

ევროპაში საკონსტიტუციო კონტროლის თავისებური ფორმა დამკვიდრდა, რისი მიზეზებიც უნდა ვეძებოთ, უპირველეს ყოვლისა, იმ თავისებურებებში, რომელიც ახასიათებს კონტინენტურ სამართალს და რითაც იგი განსხვავდება საერთო სამართლისაგან. ამითვე უნდა აიხსნას საკონსტიტუციო კონტროლის ევროპულ და ამერიკულ მოდელებს შორის განსხვავებაც.

ევროპაში, კერძოდ კი საფრანგეთში, საკონსტიტუციო კონტროლის იდეის პრაქტიკაში განხორციელების სურვილი აქტიურდება XVIII საუკუნეში, ბურჟუაზიული რევოლუციის ნლებში. მას კატეგორიული წინააღმდეგობა შეხვდა, თუმცა XIX საუკუნის დასასრულისათვის საკონსტიტუციო კონტროლისა და მისი განხორციელებისათვის საჭირო სამართლებრივი საფუძვლების შესახებ ფართო დისკუსია გაიშალა, რომელიც რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მიმდინარეობდა, მაგრამ მცდელობამ, მიეღნიათ საფრანგეთში საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრებისათვის, ამჯერად პრაქტიკულ შედეგს ვერ მიაღწია.

სასამართლოებს თავდაპირველად მკაცრად ეკრძალებოდათ ამგვარი საქმიანობის განხორციელება, ვინაიდან ბურჟუაზიის იდეოლოგთა შორის გამეფებული აზრის მიხედვით, კანონი, რომელიც მიღებულია ხალხის სახელით წარმომადგენლობით კრებაზე, ხალხის ნების გამომხატველია და სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს უფლება კონტროლი გაუწიოს ამ ნებას.

---

<sup>1</sup> Маклаков В. В. Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах (учебное пособие). М. 1988 г. #4. стр. 15.

მოგვიანებით წინ წამოინია არასასამართლო ორგანოს შექმნის იდეა. 1792 წელს დეპუტატმა კერსენმა საკანონმდებლო კრებას შესთავაზა თავისი შემადგენლობიდან ცენზორთა სპეციალური კოლეგიის შექმნა, რომელიც თვალყურს ადევნებდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობას. 1793 წელს კი შეთავაზებულ იქნა იდეა, შექმნილიყო "ეროვნული ჟიური", რომლის საშუალებითაც საკანონმდებლო კრებისაგან უფლება შელახულ მოქალაქეებს ექნებოდათ თავიანთი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. ინიციატორები ამაში ხალხის მონაპოვრის დაცვის საშუალებას ხედავდნენ. 1795 წელს კონსტიტუციის პროექტის განხილვისას წამოყენებულ იქნა "საკანონმდებლო ჟიურის" შექმნის იდეა, თუმცა კონსტიტუციაში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს შექმნის პროექტებმა ვერაეითარი ასახვა ვერ პოვეს. მიუხედავად ამისა, ამ იდეამ გავლენა მოახდინა ახალ კონსტიტუციაზე (1799 წ.), რომლითაც გათვალისწინებულ იქნა ე.წ. "დამცავი სენატი" შექმნა. ასეთივე ორგანოს შექმნა კვლავ გაითვალისწინა 1852 წლის კონსტიტუციამაც. რადგან ევროპის ქვეყნებს შორის კანონის უზენაესობისა და მისი გადასინჯვის შეუძლებლობის კონცეფცია ყველაზე ძლიერი საფრანგეთში იყო, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს დსაფუძნებას ყოველთვის პრინციპული წინააღმდეგობა და ტრადიციული შიში ახლდა თან. საბოლოოდ ეს პრობლემა გადაჭრა 1958 წლის კონსტიტუციამ, რომელმაც გაითვალისწინა საკონსტიტუციო საბჭოს შექმნა ერთობ თავისებური კომპეტენციით.

კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპს ითვალისწინებდა ევროპაში პირველი დანერგილი კონსტიტუცია (1791 წლის პოლონეთის კონსტიტუცია), რომლის მიხედვითაც ყველა ნორმატიული აქტი შესაბამისი უნდა ყოფილიყო კონსტიტუციასთან. ვინაიდან პოლონეთის დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო ეს კონსტიტუცია არასოდეს ამოქმედებულა, არც ამ პრინციპს მოჰყოლია ცხოვრებაში რეალიზება. აღნიშნულმა პრინციპმა ასახვა პოვა პოლონეთის 1921 წლის კონსტიტუციაში, მაგრამ საკანონმდებლო ხელისუფლების უზენაესობის საფრანგეთისეული დოქტრინის დიდი გავლენის გამო აიკრძალა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება. მოგვიანებით საერთო სასამართ-

ლოებს მიეცათ უფლება მხოლოდ კანონქვემდებარე აქტების შემონახვისა (1946-47 წ.წ.). 1976 წელს შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, რომელსაც მიენიჭა კანონების კონსტიტუციურობაზე მეთვალყურეობის უფლება, ხოლო 1982 წელს შეიქმნა სპეციალური საკონსტიტუციო ტრიბუნალი, რომელიც ამოქმედდა 1986 წლიდან.

ევროპის ქვეყნების კონსტიტუციები თანდათანობით ითვალისწინებდნენ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების შექმნას. ნორვეგიაში ასეთი მონოდებები 1820-იანი წლებიდან იწყება და 1844 წელს ამ ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ პირველად განახორციელა კიდევ პრაქტიკულად კანონების კონსტიტუციურობის შემონახვა. ასეთივე უფლებით აღჭურვა შვეიცარიის სასამართლო 1848 წლისა და 1874 წლის კონსტიტუციებმა.

გერმანიაში მეორე მსოფლიო ომამდე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს სერიოზული განვითარება და რეალური მნიშვნელობა არ შეუძენია. პირველ მსოფლიო ომამდე კი კანონების კონსტიტუციურობის არავითარი შემონახვა არ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით ვაიმარის 1919 წლის კონსტიტუციას, რომელმაც გარკვეულწილად გაითვალისწინა საკონსტიტუციო იურისდიქცია. მისი განხორციელება ევალებოდა საერთო იურისდიქციის უმაღლეს ორგანოს, იმპერიის სასამართლოს და სპეციალურად შექმნილ სახელმწიფო სასამართლო პალატას. ეს უკანასკნელი გადაწყვეტილებას იღებდა საკონსტიტუციო დავებზე, რომლებიც წარმოიქმნებოდა მინების საზღვრებში. კონსტიტუციამ სასამართლოებს არ მიანიჭა ფედერალური კანონების კონტროლის უფლება. ასევე სასამართლოსათვის არ შეიძლებოდა მიემართათ მოქალაქეებს, თუ მათ კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებს დაარღვევდა საკანონმდებლო ხელისუფლება.

ყურადსაღებია იმპერიის სასამართლოს 1925 წლის განცხადება იმის თაობაზე, რომ მოსამართლეს შეუძლია იმპერიის კანონი ან მისი ცალკეული დებულება უარყოს, თუ იგი ეწინააღმდეგება სხვა წინამორბედ მითითებებს. ამ აზრს შემდგომი განვითარება არ მოჰყოლია, რადგან გერმანიის იურისტთა საზოგადოებაში ამ დროისათვის ჩამოყალიბებული ერთიანი მოსაზრება არ არსებობდა.

საკონსტიტუციო კონტროლი საბერძნეთში სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე განმტკიცდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ ჯერ კიდევ 1847 წელს განაცხადა უარი ამგვარი უფლებებით აღჭურვაზე. იგი მაინც დამკვიდრდა კონსტიტუციურად XX საუკუნის დასასრულისათვის (1968 წ.). 1911 და 1927 წლების კონსტიტუციები, მართალია, პირდაპირ არ ცნობდნენ საბერძნეთის სასამართლოების უფლებას განეხორციელებინა კანონების საკონსტიტუციო კონტროლი, მაგრამ 1927 წლის კონსტიტუციის დამტკიცებასთან ერთად მონონებულ იქნა სპეციალური დეკლარაცია, რომელშიც ახსნილი იყო კონსტიტუციის ცალკეული დებულებები და მითითებული იყო სასამართლოების უფლება – უარი განეცხადებინათ კონსტიტუციის საწინააღმდეგო კანონის გამოყენებაზე. შეიძლება ითქვას, რომ საბერძნეთი არის უპირველესი მაგალითი ევროპაში, სადაც გამოიყენება საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელი.

ევროპის უმეტეს ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლის კვლავინდებური უარყოფის მიუხედავად, ავსტრიელმა სამართლის თეორეტიკოსმა ჰანს კელზენმა კონსტიტუციური საკითხების გადასაწყვეტად 1920 წელს დააარსა ავსტრიის სპეციალური საკონსტიტუციო ტრიბუნალი. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის იდეა. მსგავსი სასამართლო იმავე წელს დააარსდა ჩეხოსლოვაკიაში, მოგვიანებით კი მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკონსტიტუციო კონტროლი ფართოდ ვრცელდება და მის დამკვიდრებას ახდენს ევროპის ქვეყნების უმრავლესობა საკუთარი კონსტიტუციებით. ასე მაგალითად, იტალია, გერმანია, ბულგარეთი, ბელგია, ესპანეთი, უნგრეთი და სხვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილმა ქვეყნებმა შექმნეს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური სასამართლო ორგანოები და ამით დაამკვიდრეს ე.წ. 'ევროპული მოდელი', რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში უწოდებენ აგრეთვე "ცენტრალიზებულ მოდელს" ან "კონცენტრირებულ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას".

ნიშანდობლივია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კონსტიტუციებმა არ მიანიჭა საერთო სასამართლოებს საკახონ-

მდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტების კონტროლის უფლება. ქვეყნების უმრავლესობამ უარყო ამერიკული მოდელი, რომელიც საერთო სასამართლოებს ანიჭებს აქტების კონსტიტუციურობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობას. ამის ნაცვლად ისინი დაუბრუნდნენ მეორე მსოფლიო ომამდელ გამოცდილებას, რომელიც მნიშვნელოვან კონსტიტუციურ საკითხთა განსახილველად სპეციალური ტრიბუნალის შექმნას ითვალისწინებდა. ახლად შექმნილი საკონსტიტუციო სასამართლოები სარგებლობდნენ განსაკუთრებული უფლებამოსილებით – გაეუქმებინათ ის კანონები და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები, რომლებიც არ შეესაბამებოდა კონსტიტუციას.

შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ორგანო ევროპაში იყო რესპუბლიკური ესპანეთის საკონსტიტუციო გარანტიების სასამართლო, რომელიც შექმნილი იყო 1931 წლის კონსტიტუციით. იგი საკმაოდ ფართო კომპეტენციით იყო აღჭურვილი და მისი ფორმირება ხდებოდა დემოკრატიულ საწყისებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომამდე მოქმედ კონსტიტუციებში ყველგან არ იყო გათვალისწინებული საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი, მაგრამ თითქმის ყველგან ხაზგასმული იყო კონსტიტუციის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ ინსტიტუტის კონსტიტუციური აღიარება და უფრო ფართოდ გაერცელება ამკარა შესამჩნევი ხდება, რასაც პროფ. ვ. მაკლაკოვი ორი მიზეზით ხსნის: პირველი – მმართველი კლასის სურვილით დემონსტრირება გაუკეთოს კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცებას თავიანთ ქვეყნებში და მეორე – საკონსტიტუციო კონტროლის დახმარებით კონსტიტუციის ნორმების დემოკრატიზაციის ნულზე დაყვანის მისწრაფებით.<sup>1</sup> ამგვარი შეფასება საბჭოთა სამართლებრივი აზროვნებისათვის უცხო არ არის, რადგან საბჭოთა სამართალი სრულიად უარყოფითად

---

<sup>1</sup> Маклаков В.В. Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах (учебное пособие). М. 1988 г., #4, стр. 19.

აფასებს საკონსტიტუციო კონტროლს და მას მხოლოდ პოლიტიკური ანგარიშსწორების მოქნილ იარაღად მიიჩნევს.

საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის კვლევისას ბუნებრივად იზადება კითხვა: რატომ ამოქმედდა იგი პირველად ამერიკაში და რატომ დამკვიდრდა ევროპაში მოგვიანებით, მხოლოდ XX საუკუნეში? როგორც დოც. ავ. დემეტრაშვილი აღნიშნავს "მთავარი დედააზრი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ საკონსტიტუციო კონტროლი წარმოიშობა მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც არსებობს მისი სოციალური მოთხოვნა".<sup>11</sup> და მართლაც, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი მხოლოდ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში თავსდება, რომელიც დემოკრატიულ-სამართლებრივ ფასეულობებზეა ორიენტირებული, ხოლო ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში მას პერსპექტივა არა აქვს.

## 2.4 საკონსტიტუციო კონტროლი სოციალისტურ ქვეყნებში

სოციალისტური ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში საკონსტიტუციო კონტროლი ერთსულოვნად არ იყო აღიარებული კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის მექანიზმად, რაც უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ იმდროისათვის გავრცელებული შეხედულების თანახმად, დაუმუშავებელი იყო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უზენაესობის შეზღუდვა და მათ მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გადასინჯვა, თუნდაც არაკონსტიტუციურობის მოტივით.

საკონსტიტუციო კონტროლი სოციალისტურ ქვეყნებში საკმაო მრავალფეროვნებითა და თავისებურებებით გამოირჩევა. უმეტესად გვხვდება კონსტიტუციური ნორმები იმის შესახებ თუ ვის აქვს კონსტიტუციის განმარტების უფლება, მისი დაცვისა და ცხოვრებაში განხორციელების უფლება, ცალკეული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე კონტროლის უფლება და ა. შ. ზემოჩამოთვლილი თითოეული ფუნქცია ცალკე

---

<sup>1</sup> ავთანდილ დემეტრაშვილი. საკონსტიტუციო კონტროლის ქმედითობის პრობლემები. "ადამიანი და კონსტიტუცია", 1997 წ., № 1, გვ. 27.

აღებული უნდა ჩაითვალოს საკონსტიტუციო კონტროლის ნაირ-სახეობად, რადგანაც მათი საბოლოო მიზანი არის კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციური კანონიერების დაცვა.

სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციების ანალიზის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ საკონსტიტუციო კონტროლის 3 ფორმა:

1. საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება უმაღლესი წარმომადგენლობის ორგანოების მიერ (ე.წ. "თვითკონტროლი"). მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1947 წლის კონსტიტუციით მხოლოდ სახალხო კრებას აქვს უფლება გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, დაცულია თუ არა კონსტიტუციის მოთხოვნები კანონის გამოცემისას, ან ხომ არ ეწინააღმდეგება მისი შინაარსი კონსტიტუციას. ეს უფლება სახალხო კრებას 1971 წლის კონსტიტუციამაც შეუნარჩუნა.

ასეთივე ფორმას ითვალისწინებს კუბის რესპუბლიკის 1976 წლის კონსტიტუციის 73-ე მუხლი, რომელიც სახალხო ხელისუფლების ნაციონალურ ასამბლეას აძლევს უფლებას გამოიტანოს გადაწყვეტილება კანონების, დეკრეტ-კანონების, დეკრეტებისა და სხვა საერთო აქტების კონსტიტუციურობის თაობაზე.

ალბანეთის სახალხო სოციალისტური რესპუბლიკის 1976 წლის კონსტიტუციის 67-ე მუხლის (1983 წლის შესწორებული რედაქციით) სახალხო კრებას აძლევს უფლებას გადაწყვიტოს კანონების კონსტიტუციურობის საკითხი და განმარტოს ისინი.

2. საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში შექმნილი მუდმივ-მოქმედი ორგანოს მიერ. მაგალითად, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის 1965 წლის კონსტიტუციის 53-ე მუხლის მიხედვით (1975 წლის შესწორებული რედაქციით) კანონების კონსტიტუციურობაზე კონტროლის განსახორციელებლად დიდი ნაციონალური კრების მიერ თავისი უფლებამოსილების ვადით აირჩევა საკონსტიტუციო-იურიდიული კომისია.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 1949 წლის კონსტიტუციის §19 სახელმწიფო კრებას ანიჭებს უფლებას კონტროლი გაუწიოს კონსტიტუციის დაცვას, შეცვალოს მისი სანინააღმდეგო და საზოგადოების ინტერესების დამრღვევი სახელმწიფო



ორგანოთა აქტები. ამავდროს კონსტიტუციის დაცვის ფუნქცია გარკვეულწილად ეკისრებოდა თავად პრეზიდენტსაც, კერძოდ, კონსტიტუციის §30-ის მე-2 პუნქტის მიხედვით, პრეზიდენტი მეთვალყურეობს კონსტიტუციის აღსრულებას. ამ უფლებამოსილების ფარგლებში იგი აუქმებს ან ცვლის ნებისმიერ ნორმატიულ აქტს, სახელმწიფოებრივ, ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას ან განკარგულებას, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

1983 წელს განხორციელებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებამ საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი კიდევ უფრო განავითარა, კერძოდ, §21-ის მიხედვით სახელმწიფო კრება ირჩევს საკონსტიტუციო-სამართლებრივ საბჭოს, რომელიც აკონტროლებს სამართლებრივი ნორმებისა და დირექტივების კონსტიტუციურობას. მას შეუძლია შეაჩეროს მისი საინააღმდეგო აქტების აღსრულება, გარდა სახელმწიფო კრებისა და პრეზიდენტის მიერ გამოცემული სამართლებრივი ნორმებისა და უმაღლესი სასამართლოს პრინციპული გადაწყვეტილებებისა. თავისი სამართლებრივი სტატუსით საბჭო უნდა მივიჩნიოთ საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და არა კონტროლის ორგანოდ.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის 1980 წლის კონსტიტუციის მე-100 მუხლის მიხედვით ნაციონალური კრების სახელმწიფო საბჭო უფლებამოსილია მოქმედება შეუჩეროს მინისტრთა საბჭოს ნორმატიულ აქტებს, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას. ასეთივე უფლებით არის აღჭურვილი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდენტი 1960 კონსტიტუციით (1973 წლის შესწორებული რედაქციით), ასევე სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1982 წლის კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად უფლებამოსილია განმარტოს კონსტიტუცია, განახორციელოს კონტროლი მის ცხოვრებაში გატარებაზე და გააუქმოს სახელმწიფო საბჭოს სამართლებრივი აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას.

3. საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილი საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური

რესპუბლიკის 1960 წლის კონსტიტუცია ცალკე უთმობს მე-6 თავს საკონსტიტუციო სასამართლოს, მისი შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, საქმის განხილვის წესსა და სხვა. ასევე, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის 1974 წლის კონსტიტუცია შეიცავს VII თავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ იგი უზრუნველყოფს კონსტიტუციასთან კანონების შესაბამისობას, მხარეების კანონების შესატყვისობას საკავშირო კანონებთან, საკავშირო ორგანოების აქტების შესაბამისობას ქვეყნის კონსტიტუციასა და კანონებთან და სხვა. მისი კომპეტენცია საკმაოდ ფართოა და თავისებური. იგი თავის გადაწყვეტილებას უგზავნის სკუპშინას, რათა მან მოახდინოს სათანადო რეაგირება და შესაბამისად განახორციელოს შესწორება კანონში, ხოლო, თუ შესწორება არ იქნა მიღებული, ნორმა გამოცხადდება არაკონსტიტუციურად და კარგავს ძალას.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 1952 წლის კონსტიტუციის 33<sup>ე</sup> მუხლის შესაბამისად (1983 წლის რედაქციით) საკონსტიტუციო ტრიბუნალი უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შესახებ. იგი მოქმედებს როგორც სასამართლო ორგანო. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში 1976 წლიდან 1982 წლამდე ნორმატიული აქტების საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდებოდა სახელმწიფო საბჭოს მიერ, მაგრამ 1982 წელს განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებებით ეს ფუნქცია გადაეცა საკონსტიტუციო ტრიბუნალს, რომლის გადაწყვეტილება (კანონების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შესახებ) ექვემდებარება სეიმის მიერ განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნალის წევრებიც ირჩევიან სეიმის მიერ, იგი მაინც განსხვავდება უნგრეთის საკონსტიტუციო-სამართლებრივი საბჭოსაგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი განიხილება უნგრეთის სახალხო კრების შემადგენელ ნაწილად. ტრიბუნალი კი დამოუკიდებელი ორგანოა და მისი წევრები ემორჩილებიან მხოლოდ პოლონეთის კონსტიტუციას (33<sup>ე</sup> მუხლის მე-5 პუნქტი).

ვინაიდან ზემოთ აღნიშნული ორგანოები საბოლოოდ მაინც არ წყვეტენ მიღებული არაკონსტიტუციური აქტების გაუქმების

საკითხს და შემოიფარგლებიან მხოლოდ საკითხის განხილვისა და საკუთარი აზრის გამოთქმით, ამიტომ ისინი უნდა ჩაითვალოს არა საკონსტიტუციო კონტროლის, არამედ საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოებად, მით უფრო, რომ მათი აზრი ამ აქტის მიმღები ორგანოსათვის ატარებს საკონსულტაციო და არა სავალდებულო ხასიათს.

რაც შეეხება საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრებას პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, უნდა აღინიშნოს, რომ იგი სერიოზული პოლიტიკური კატაკლიზმების პირობებში მიმდინარეობდა, რამაც თავისი დალი დაასვა ამ ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლის სისტემებს. ისინი საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, რაც უპირველეს ყოვლისა, უნდა აიხსნას თითოეული ქვეყნის კონსტიტუციის თავისებურებით, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს სტატუსით და ადგილით სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში, მატერიალური და საპროცესო ნორმების განსხვავებული რეგლამენტაციით, ასევე სახელმწიფო ფორმების თავისებურებით, ეროვნული ტრადიციებითა და კონკრეტული პოლიტიკური ვითარებით.

საკონსტიტუციო სასამართლოები იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შედეგად წარმოშობილ სახელმწიფოებში, ასევე უნგრეთში შეიქმნა 1989 წელს (კონსტიტუციის მიხედვით), ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის დაშლის შემდეგ წარმოშობილ ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებში – 1992 წელს, ბულგარეთსა და რუმინეთში – 1991 წელს და ა. შ.

XX საუკუნის დასასრულს ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა გეზი აიღეს ლიბერალური კონსტიტუციური დემოკრატიისაკენ. მათ შექმნეს ახალი კონსტიტუციები ან გადასინჯეს არსებული, დააფუძნეს მრავალი ახალი კონსტიტუციური ინსტიტუტი, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოები, რომლებიც პოსტსოციალისტურ ქვეყნებში კანონის უზენაესობისა და კონსტიტუციური რწმენის უბადლო დამცველად იქცნენ. მათ შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, თავიდანვე სწორი გეზი აიღეს და სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს.

## 2.5 საკონსტიტუციო კონტროლი საბჭოთა კავშირში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროიდან მოყოლებული საბჭოური პოლიტიკურ-სამართლებრივი დოქტრინა ცალსახად უარყოფითად აფასებდა როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, ისე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს მთლიანად. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო კონტროლის ის გაგება, რომელმაც თავისი ასახვა პოვა ყველა საბჭოთა კონსტიტუციაში.

საკონსტიტუციო კონტროლის ნიშნები საბჭოთა სახელმწიფოში პირველი საბჭოური კონსტიტუციის შექმნისთანავე გამოჩნდა. 1918 წლის რსფსრ-ის კონსტიტუციის მიხედვით სამართლებრივ აქტებზე კონტროლის განხორციელება ევალებოდა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობას და მის მიერ არჩეულ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. მათ შორის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა არ ხდებოდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ცაკ-ი პასუხისმგებელი იყო ყრილობის წინაშე. ამ პერიოდისათვის განმტკიცებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შესწევთ უნარი, ადეკვატურად გამოხატონ მუშათა და მშრომელთა კლასის ინტერესები. ისინი თვითონვე ადევნებენ თვალყურს მათ მიერ მიღებული აქტების კონსტიტუციურობას და, ამიტომ, არავის შეუძლია ამ აქტების მიმართ განახორციელოს საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი.

დაახლოებით მსგავს დებულებებს შეიცავს პირველი საკავშირო კონსტიტუცია (1924 წ.), რომლის მიხედვით სსრკ-ის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა (სსრკ-ის ცაკ-ი და ცაკ-ის პრეზიდიუმი) გამგებლობას ექვემდებარებოდა საკავშირო ორგანოების სამართლებრივი აქტების (დეკრეტების, დადგენილებებისა და განკარგულებების) მოქმედების შეჩერება და გაუქმება. კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, სსრკ-ის უმაღლესი სასამართლო იძლეოდა დასკვნებს აქტების კონსტიტუციურობის შესახებ ცაკ-ის პრეზიდიუმის მოთხოვნით.

საკავშირო კონსტიტუციასთან მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისო-

ბის შემონმებისას სსრკ-ის ცაკ-ის პრეზიდიუმი უმეტეს შემთხვევაში კი არ აუქმებდა მათ, არამედ იფარგლებოდა განმარტებების გაკეთებით და მიმართავდა აქტის გამომცემ შესაბამის ორგანოებს, რათა მიეღოთ ზომები მათი კონსტიტუციურ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

1936 წლის სსრკ-ის კონსტიტუციის მიხედვით სამართლებრივ აქტებზე კონტროლის ფუნქცია კვლავ დარჩა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა გამგებლობის სფეროში, კერძოდ კი, მას ახორციელებდა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში შესაბამისად – მათი უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები. კონსტიტუციის მე-14 მუხლის “გ” ქვეპუნქტის თანახმად, სსრკ-ის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ახორციელებდნენ კონტროლს სსრკ-ის კონსტიტუციასთან მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისობაზე. ანალოგიური უფლებით სარგებლობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები, რათა თავიანთ კონსტიტუციასთან შესაბამისი ყოფილიყო მათ შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები. თუ აღმოჩნდებოდა ასეთი შეუსაბამობა, კონტროლის ორგანო მიმართავდა შესაბამის ორგანოს, რათა მიეღო ზომები მათი აღმოფხვრის შესახებ, ხოლო აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, შესაბამისი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იღებდა სპეციალურ გადაწყვეტილებას ბრძანებულების ფორმით. 1938-1969 წლებში სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო სულ 4 ბრძანებულება მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების ცალკეული მუხლების სსრკ-ის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის თაობაზე, აგრეთვე 6 ბრძანებულება – მოკავშირე რესპუბლიკების ცალკეული ნორმატიული აქტების საკავშირო კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შესახებ.

როგორც იმდროინდელი პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, საკონსტიტუციო კონტროლმა შეასრულა გარკვეული როლი, ერთი მხრივ, 1936 წლის კონსტიტუციის დაცვის საქმეში, ხოლო მეორე მხრივ, სერიოზულად შეუწყო ხელი საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოების კოორდინირებულ საქმიანობას, საბოლოო ჯამში კი საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალიზაციას.

თავდაპირველად არც 1977 წლის საბჭოთა კონსტიტუცია ითვალისწინებდა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს. პროექტზე მუშაობისას იყო მის გათვალისწინებაზე საუბარი, მაგრამ საკმაო წინააღმდეგობის გამო იმ დროს ამ იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა. ისევე როგორც წინა საბჭოთა კონსტიტუციებში, ამ კონსტიტუციაშიც გაფართოებული იყო კონტროლის სუბიექტთა წრე, ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოთა კომპეტენცია ამ სფეროში ხშირად ბუნდოვანი და პირობითად დანაწევრებული იყო, რაც ობიექტურად იწვევდა კონსტიტუციის დაუცველობას. იგი უკვე ათეული წლების განმავლობაში ასრულებდა უმნიშვნელო როლს ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივ ცხოვრებაში. მისი მნიშვნელობა რეალურად ნელ-ნელა მცირდებოდა და თითქმის იგნორირდებოდა კიდევ. უამრავი კანონი, მინისტრთა საბჭოს დადგენილება და სამინისტროთა აურაცხელი ინსტრუქცია უფრო დიდ ყურადღებასა და მნიშვნელობას იძენდა, ვიდრე ქვეყნის ძირითადი კანონი.

ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში, როგორსაც სსრკ წარმოადგენდა, როდესაც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება თავმოყრილი იყო საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს ხელში, კონსტიტუცია ასრულებდა სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლიკის ფუნქციას, იგი გამოხატავდა კომუნისტური პარტიის ინტერესებს და პრაქტიკულად მას არავითარი "დაცვა" თითქმის არც სჭირდებოდა, მაგრამ იშვიათად მაინც გვხვდება მეცნიერული შეფასებები კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობაზე. მაგალითად, ზოგიერთი იურისტი (მ. ორზიხი, მ. ჩერკესი, ა. ვასილიევი) თვლიდა, რომ "კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა - ეს არის საქმიანობა, მაგრამ უფრო მეტი გარანტია. ამიტომ არ უნდა უარყვოთ წინააღმდეგობის შესაძლებლობა სსრკ-ის კონსტიტუციასთან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტებისა, მით უმეტეს, რომ ასეთი შემთხვევები იყო."<sup>1</sup> თუმცა, ძირითადი გარანტი კვლავ უზენაესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი რჩებოდა.

---

<sup>1</sup> Орзин М. Ф., Черкес М. У., Васильев А.С. Правовая охрана конституции в социалистическом государстве. „Советское государство и право“ 1988, №6, стр. 10.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ფრთხილად, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა მეცნიერული არგუმენტირება საკონსტიტუციო კონტროლის ერთიანი სისტემის შემოღების აუცილებლობაზე. კონსტიტუციის დაუცველობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ამ დასკვნამდე მივიდა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობაც. კომუნისტური პარტიის XIX კონფერენციის რეზოლუციის თანახმად, 1988 წელს შემუშავებულ იქნა კონსტიტუციური ცვლილების კანონპროექტი. მან 1977 წლის კონსტიტუციაში შეიტანა შესწორება და შეიქმნა კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი, რომლის მიზანი იყო კანონებისა და მთავრობის დადგენილებების, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და კანონმდებლობის სსრკ-ის კონსტიტუციასთან და კანონმდებლობასთან მკაცრი შესაბამისობის უზრუნველყოფა. ეს ღონისძიება განიხილებოდა "კონსტიტუციური რეჟიმის" განმტკიცების საშუალებად.

ის, რომ შეიქმნა კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი და არა საკონსტიტუციო სასამართლო, პროფესორების დ. ქერიმოვისა და ა. ექიმოვის აზრით განპირობებული იყო 4 ფაქტორით<sup>1</sup>:

1. იმ დროისათვის საბჭოთა კანონმდებლობა არ იყო ადეკვატური გარდაქმნის პროცესთან. ამიტომ, რომ არ მომხდარიყო 'გარდაქმნის პროცესების ბლოკირება', კომიტეტს მიეცა უფლება მხოლოდ დაესვა საკითხი აქტის არაკონსტიტუციურობის თაობაზე მისი გამომცემი ორგანოს წინაშე და არა გაეუქმებინა იგი სასამართლოს მსგავსად.

2. კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნა ნაკარნახევი იყო საბჭოთა კანონმდებლობის გასუფთავების დაჩქარების საჭიროებით, რისთვისაც მას უფლება ჰქონდა საკუთარი ინიციატივით განეხორციელებინა ზედამხედველობა, რაც სასამართლოს შემთხვევაში არ ხდება, მას ასეთი ინიციატივა არა აქვს.

3. კომიტეტის შექმნას ხელი უნდა შეეწყოს თანამედროვე კანონმდებლობის განახლებისათვის, რისთვისაც იგი ფლობდა

---

<sup>1</sup> Керимов Д. А., Экимов А. М. Конституционный паизор в СССР. „Советское государство и право“ 1990, №9, стр. 10.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას, ხოლო სასამართლო-სათვის ამ უფლების მინიჭება ჩააბამდა მას სამართალშემოქმედებით საქმიანობაში.

4. კომიტეტის დანესება იყო თავისებური კომპრომისი საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობაზე საკონსტიტუციო კონტროლის საჭიროებასა და საბჭოების უზენაესობის კონცეფციას შორის.

საბჭოთა საზოგადოება კომიტეტს საკმაოდ დიდი კომპეტენციის მქონედ მიიჩნევდა და მასში ხედავდა არა მარტო კონსტიტუციის, არამედ ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის უმაღლეს დამცველს, ამიტომ ხშირად კრიტიკულად ფასდებოდა მისი ზოგიერთი გადაწყვეტილება. ასევე უკმაყოფილებას ვერ მალავდა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა კომიტეტის უძღურების გამო, განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკების "მარსალსანინალმდეგო" აქტიების მიმართ. კომიტეტი კი ცდილობდა შეძლებისდაგვარად არ მოხვედრილიყო პოლიტიკური გავლენის ქვეშ, თუმცა, მის უძღურებას უმეტესად მისი კონსტიტუციური სტატუსი განაპირობებდა.

კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით მართლაც სრული აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ზოგი მას ადანაშაულებდა სიმბალეში, არაადეკვატურ და არათანმიმდევრულ მსჯელობაში, არაეფექტიანობაში და კომუნისტური პარტიისადმი ზედმეტ ლოიალობაში, მეორე მხრივ, მას აქებდნენ ადამიანის უფლებათა სფეროში მიღებული გადაწყვეტილებებისათვის, ბიუროკრატიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მიღწევისა და საბჭოთა სამართლის სისტემაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტის შეტანისათვის.

კომუნისტური რეჟიმის არსებობისას საკონსტიტუციო კონტროლის სრულფასოვანი დამკვიდრება ან სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან კომუნისტური სამართლის ფილოსოფია არ აღიარებდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და, შესაბამისად, არც ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც რეალურად გააკონტროლებდა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს. უფრო მეტიც, ეს ორგანოები მიიჩნეოდა საერთო-სახალხო ნების უბადლო გა-



მომხატველად, რომლებიც თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას თვითონვე უწევდნენ კონტროლს კონსტიტუციის დაცვას. ამაზე მიუთითებენ პროფესორები ნ. ბობროვა და ტ. ზრაჟევსკაია, რომელთა აზრით "საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება წარმოვიდგინოთ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების გაგრძელებულ ფუნქციად, რომელიც ხორციელდება მუდმივად უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მიერ თავიანთი კომპეტენციის რეალიზაციის პროცესში."<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ 1988 წელს კონსტიტუციური ცვლილებების შემუშავებისას შეთავაზებული იყო საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა, იგი იმ დროისათვის ვერ განხორციელდა. ამის შემდეგ მცდელობა იყო კომიტეტი სამართლებრივი ბუნებითა და კომპეტენციით მაინც დაეახლოვებინათ სასამართლოსათვის, მაგრამ კომიტეტის სახით შექმნილი იყო ისეთი ორგანო, რომელიც კონსტიტუციის მიხედვით ბევრი პარამეტრით შორს იდგა სასამართლოსაგან. როგორც კომიტეტის თავმჯდომარე ს. ალექსეევი აღნიშნავდა "კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი "დაუყოვნებელი რეაგირების" დაწესებულება კი არ არის, არამედ სასამართლოს მსგავსი ორგანოა, რომელიც მონოდებულია შეაფასოს არა კონკრეტული მოვლენები, არამედ კანონები და სხვა ნორმატიული დოკუმენტები."<sup>2</sup>

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი "სასამართლოს მსგავსი ორგანო" რომ არ იყო, ამის შესახებ უთითებდა ამ კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე პროფ. ბ. ლაზარევი: "რა თქმა უნდა, ორგანოების დასახელებას თითქმის ყოველთვის სადღაც აქვს პირობითი ხასიათი და სრულად არ ასახავს მათ დანიშნულებას, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ორგანო, რომელსაც ეწოდება "ზედამხედველობის კომიტეტი", ორიენტირებულია სამართლებრივი აქტების კანონიერების შეფასებაზე და შეიძლება ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ფაქტობრივ მოქმედებებზეც... თუ ორგანო ითვლე-

---

<sup>1</sup> Боброва Н. А., Зражвская Т. Д. Ответственность в системе гарантий конституционных норм. Воронеж. 1985, стр. 103.

<sup>2</sup> Алексеев С. С. Путь к правосудию. „Правда“. 1991, стр. 30.

ბა სასამართლოდ, მაშინ მას ეძლევა იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტილების და არა დასკვნის გამოცემის უფლება, კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის მსგავსად.”<sup>1</sup>

საზღვარგარეთის ქვეყნებში უკვე აპრობირებული საკონსტიტუციო სასამართლოსაგან სსრკ-ის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი იურიდიული ბუნებით საკმაოდ განსხვავებული და თავისებური იყო. კერძოდ, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, კომიტეტის დასკვნა ასეთი არ იყო. მას შეეძლო მხოლოდ დაესვა ამა თუ იმ აქტის არაკონსტიტუციურობის შესახებ საკითხი და მიემართა იმ ორგანოსათვის, რომელმაც მიიღო (გამოსცა) იგი. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა სსრკ-ის სახალხო დემუტატთა ყრილობა. ეს აიხსნება იმით, რომ კომიტეტისათვის სასამართლოს-მაგვარი უფლების მინიჭება ხელს შეუშლიდა გარდაქმნის პროცესს, რადგანაც იმდროინდელი კანონმდებლობის მრავალი ნორმა სრულყოფილი არ იყო და ადეკვატურად არ ასახავდა გარდაქმნის პროცესის ამოცანებს. კომიტეტის დასკვნა მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო სავალდებულო ხასიათის, როცა ის საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი, რომლის ნევრიც სსრკ იყო, არღვევდა ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

კომიტეტი, ერთი მხრივ, მონოდებული იყო “გაესუფთავებინა” კანონმდებლობა ურთიერთსანიხააღმდეგო ნორმებისაგან საკუთარი ინიციატივით და, მეორე მხრივ, აქტიურად მიელო მონაწილეობა კანონშემოქმედებით საქმიანობაში, რისი დასტურიც იყო მისი აღჭურვა შეზღუდული საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა სამართლის მეცნიერება ცალსახად უარყოფითად აფასებდა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს. ამ სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის ტენდენციური ანალიზი განაპირობებდა არასწორი თეორიული დასკვნების გაკეთებას. ეს ინსტიტუტი მთლიანად პოლიტიკურ ჭრილში განიხილებოდა, რაც მნიშვნელოვნად აკნინებდა მის სამართლებრივ დანიშნულებას. საბჭოთა სამართ-

---

<sup>1</sup> Лазарев Т. М. Комитет конституционного надзора СССР. „Государство и право“. 1992, №5, стр. 33.

ლის მეცნიერთა შეხედულებებს წითელ ზოლად გასდევს პროფ. ვ. მაკლაკოვის შეფასება, რომლის მიხედვით: “საკონსტიტუციო კონტროლი იურიდიულად გარეგნულად მიუკერძოებელი ფორმით არის მმართველი კლასის ინტერესების დამცავი აქტიური იარაღი.”<sup>1</sup>

საბჭოთა კავშირში საკონსტიტუციო კონტროლის სრულფასოვანი ფორმით დაუმკვიდრებლობა ობიექტური მიზეზებით უნდა აიხსნას. იმ პირობებში, სადაც კანონი არ განიხილება მთავარ სოციალურ და დემოკრატიულ ღირებულებად და, სადაც მის მიმართ პატივისცემა არ არის მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურის განმსაზღვრელი თვისება, აღნიშნული ინსტიტუტი ვერ შეძლებს დამკვიდრებას და წარმატებით ფუნქციონირებას. ერთი რამ კი უდავოა, კომიტეტის შექმნა, მისი სამართლებრივი სტატუსი და საქმიანობა უეჭველად იმსახურებს ყურადღებას, რამდენადაც მან ვაკვალა გზა საბჭოთა სივრცეში საკონსტიტუციო კონტროლისა და კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებისაკენ, რაც, თავის მხრივ, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო “სამართლებრივი ნიჰილიზმის” პირობებში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა შეიცვალა ტოტალიტარული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი წყობა და დამოუკიდებლობააღდგენილმა ქვეყნებმა დაიწყეს ახალი სახელმწიფო-სამართლებრივი სისტემის შექმნა, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს. სახელმწიფო-სამართლებრივობამ მიმართა ევროპულ მოდელს და საკონსტიტუციო სასამართლოები შექმნა. გამონაკლისია ესტონეთი, რომელმაც საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციით აღჭურვა ქვეყნის უზენაესი – სახელმწიფო სასამართლო, აგრეთვე თურქმენეთი, რომლებმაც აღნიშნული ინსტიტუტი საერთოდ არ გაითვალისწინა საკუთარი კონსტიტუციით, და ყაზახეთი, რომელმაც შექმნა საკონსტიტუციო საბჭო – არასასამართლო ორგანო.

ჯერ კიდევ სსრკ-ის ჩარჩოებში ზოგიერთმა მოკავშირე რესპუბლიკამ საკუთარ კონსტიტუციაში განახორციელა შესწორება და გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლო.

---

<sup>1</sup> Маклаков В.В. Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах (учебное пособие). М. 1988 г., #4, стр. 21.

პირველი ასეთი ქვეყანა იყო ლატვია, რომლებმაც 1989 წელს გამოაცხადა მისი დანესების აუცილებლობის შესახებ, მას მოჰყვა უკრაინა და რუსეთი, რომლებმაც 1990 წელს შეცვალეს თავიანთ კონსტიტუციებში კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტები საკონსტიტუციო სასამართლოებით, მაგრამ ამ ორგანოების პრაქტიკულ ამოქმედებას 6-7 წელი დასჭირდა. მაგალითად, ლატვიაში იგი ამოქმედდა 1997 წელს, უკრაინაში – 1996 წელს და ა. შ. დროში ასეთი გაჭიანურება უნდა იახსნას იმდროინდელი პოლიტიკური ფაქტორებით, ამ ქვეყნებში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობით, პარლამენტში ძალთა განლაგებით და საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის ორგანიზაციული და სტრუქტურული მოდელის არაერთგვაროვანი ხედვით.

საკონსტიტუციო სასამართლო დანესდა: რუსეთში (1991წ.), უკრაინაში (1992წ.), ლიტვიაში და ყაზახეთში (1993წ.), ბელოსრუსიასა და ყირგიზეთში (1994წ.), მოლდოვასა და საქართველოში (1995წ.), სომხეთსა და ტაჯიკეთში (1996წ.). 1996 წელს ყაზახეთის საკონსტიტუციო სასამართლო ორი წლის შესამჩნევი აქტიური საქმიანობის შემდეგ შეიცვალა საკონსტიტუციო კონტროლის სხვა ფორმით – საკონსტიტუციო საბჭოთი.

თითოეული ამ ქვეყნის კონსტიტუცია და სპეციალური კანონმდებლობა თავისებურად განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოთა შემადგენლობას, ფორმირების წესსა და უფლებამოსილებას, სამართალწარმოების წესებს და ა. შ. მაგრამ მიუხედავად განსხვავებისა, მათ არსებითი ხასიათის საერთო მახასიათებლებიც აქვთ, რომლებიც უნდა აიხსნას ამ ქვეყნების თანაცხოვრების უახლოესი წარსულით განპირობებული საერთო სამართლებრივი ტრადიციებითა და მეტ-ნაკლებად მსგავსი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი წყობით.

## 2.6 საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება განვითარებად ქვეყნებში

განვითარებად ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი შეიქმნა დემოკრატიული ქვეყნებისა და უმთავრესად ყოფილი მეტროპოლიის კონსტიტუციურ-სამართლებრივი

მოდელების გავლენით. ამ ქვეყნების მიერ გადმოღებულ იქნა არა მარტო საკონსტიტუციო კონტროლის იდეა, არამედ მისი განხორციელების ორგანიზაციული ფორმებიც. მაგრამ ამ ინსტიტუტის შემდგომი განვითარება წარიმართა სრულიად სხვა საზოგადოებაში, სხვა პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ გარემოში, რამაც თავისი კვალი დაამჩნია მას და გამოკვეთა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები.

აფრიკული და აზიური ქვეყნების პირველი კონსტიტუციებით გათვალისწინებული საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი ძალიან მალე იქნა ლიკვიდირებული, ქვეყნების უმრავლესობაში კი იგი გადაიქცა რეალურ შინაარსსა და დანიშნულებას მოკლებულ ფორმალურ ინსტიტუტად. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ამ სახელმწიფოებში მკვიდრდება ტოტალიტარული რეჟიმი. ერთპარტიულ და სამხედრო რეჟიმის პირობებში კი კონსტიტუცია უქმდება, ან უფრო ზუსტად, უფასურდება. მის მიერ გათვალისწინებული სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტებიც კარგავენ თავიანთ დანიშნულებას, მათ შორის არის საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტიც.

აღნიშნული ინსტიტუტი უარყოფილ იქნა არა მარტო სამხედრო რეჟიმისას, არამედ იმ ქვეყნებშიც, სადაც აღებული იყო სოციალისტური ორიენტაცია, ეს უარყოფა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით:

1. აღნიშნულ ქვეყნებში ამ დროისათვის გადმოღებული იყო სოციალისტურ სახელმწიფო-სამართლებრივ თეორიასა და პრაქტიკაში აღიარებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია, რომლის მიხედვით, ხელისუფლების ორგანოებში გაერთიანებული იყო საკანონმდებლო და საკონტროლო ფუნქციები.

2. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში კანონიერების ცნება შესაძლებლობას იძლეოდა გამოეყენებინათ იგი სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობისა და პიროვნების დათრგუნვის გასამართლებად. თუ ბურჟუაზიული კანონიერება იცავს მოქალაქეს, სოციალისტური კანონიერება იცავს რევოლუციურ სახელმწიფოს.

3. საკონსტიტუციო კონტროლი პრაქტიკულადაც ვერ იქნებოდა განხორციელებული, ვინაიდან მმართველი პარტიის პროგრამული დოკუმენტი გაცილებით დიდი ავტორიტეტით სარგე-

ბლობდა, ვიდრე კონსტიტუცია და კანონი. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში პარტიულ გადაწყვეტილებას ფაქტობრივად უფრო მეტი იურიდიული ძალა ჰქონდა პარლამენტისა და მთავრობის მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, პარტიული გადაწყვეტილებები ბუნებრივია არ დაექვემდებარებოდა არანაირ კონტროლს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან.

60-80-იან წლებში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი იმ აფრიკულ ქვეყნებში, სადაც იგი შემორჩა პრაქტიკულად უმოქმედო იყო (სენეგალი, კამერუნი და სხვა). საკონსტიტუციო სასამართლოები არსებობდა მხოლოდ ქალაქდზე და იურისტების სამეცნიერო ტრაქტატებში, ამის მიზეზი იყო იმ დროისათვის არსებული ერთპარტიული პოლიტიკური რეჟიმი.

სწორედ იმ პერიოდის პრაქტიკის ანალიზი გვიდასტურებს საკონსტიტუციო სასამართლოს უმოქმედო მდგომარეობას. მაგალითად, 80-იან წლებამდე კამერუნის პრეზიდენტს არც ერთხელ არ მიუმართავს მისთვის კანონების კონსტიტუციურობის შესამოწმებლად, რადგან ამის საჭიროება უბრალოდ არ იყო. ყველა კანონი მიიღებოდა მისი და მისი მთავრობის ინიციატივით, იმ პარლამენტის მიერ, რომლის უმარავლესობას მმართველი პარტიის ნევრები წარმოადგენდნენ. სენეგალელი იურისტის თქმით „პარადოქსულიც იქნებოდა პრეზიდენტი რომ დაექვებულიყო კანონების კონსტიტუციურობაში“.<sup>1</sup>

აფრიკული და აზიური ქვეყნების ძალიან მცირე ჯგუფში, სადაც დამყარდა მეტ-ნაკლებად სტაბილური და დემოკრატიული რეჟიმი, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტმა თანდათანობით იწყო გააქტიურება და თავისი ფუნქციების განხორციელება. ამის ნათელი მაგალითია ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობა, მან საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივ ცხოვრებაში. მისი გადაწყვეტილებები იმდენად ავტორიტეტული იყო, რომ იგი გავლენას ახდენდა სხვა ქვეყნების ანალოგიური ორგანოების საქმიანობაზე.

---

<sup>1</sup>Юдин Ю.А., Судебный конституционный контроль в развивающихся странах. "Государство и право", 1993, №9, стр. 80.

განვითარებადი ქვეყნების საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება 80-90-იანი წლებიდან, როდესაც ბევრ ქვეყანაში გაიშალა დემოკრატიზაციის პროცესი, დასრულდა სამხედრო და ერთპარტიული რეჟიმი, მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუციები, დაისახა სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისაკენ ორიენტაცია. ცხადია, ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონსტიტუციური კანონიერების დამყარებას და თავად კონსტიტუციის დაცვას, რისთვისაც აუცილებელი იყო განვითარებულ ქვეყნებში აღიარებული ისეთი ეფექტური მექანიზმების შექმნა და გააქტიურება, როგორც არის საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი. იგი აღდგენილ იქნა იმ ქვეყნებში, სადაც ფორმალურად არსებობდა ყოველგვარი რეალური ძალის გარეშე, ხოლო ახლად შეიქმნა იმ ქვეყნებში, სადაც მას არასოდეს უარსებია (ალჟირი, ანგოლა, გვინეა, მოზამბიკა და სხვა).

განვითარებად ქვეყნებში, მსგავსად თანამედროვე ქვეყნებისა, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების სამივე ფორმა შეიქმნა. საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორც წესი, მას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, კერძოდ კი, უმაღლესი სასამართლოები (ნამიბია, მალაიზია, ახალი გვინეა, შრი-ლანკა, ინდოეთი, ნიგერია და სხვა). ხოლო იმ ქვეყნებში, რომელთა სამართლებრივი სისტემა უფრო ახლოს არის კონტინენტური სამართლის სისტემასთან, შეიქმნა სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოები (რუანდა, მადაგასკარი, ტაილანდი და სხვა) ან კვაზისასამართლო ორგანოები (ალჟირი, მავრიტანია, კონგო, მოზამბიკა და სხვა). ამ ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების საქმიანობის წესი, კომპეტენცია და ორგანიზაციული მოწყობა განსხვავებულია და სპეციფიკური თავისებურებებით გამოირჩევა, რომლებიც დადგენილია საკუთარი კონსტიტუციებითა და კანონმდებლობით.

ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყნებში (პაკისტანი, ირანი) განსაკუთრებულ თავისებურებებს ვხვდებით საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, რაც გამოწვეულია მათი სამართლის ისლამიზაციით, კერძოდ, ნორმატიული აქტები მონმდება არა მარტო მათი კონსტიტუციურობის თავლსაზრისით, არამედ ისლამის პრინციპებთან შესაბამისობის მიხედვითაც.

როგორც აღვნიშნეთ, განვითარებად ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი იქმნებოდა განვითარებულ სახელმწიფოების თეორიისა და პრაქტიკის გათვალისწინებითა და ზემოქმედებით, თუმცა მათ თავიანთი სპეციფიკური თვისებები შეიძინეს და დღეს ამ ინსტიტუტის საკმაოდ ფართოდ გავრცელების ტენდენცია იმის მაუწყებელია, რომ ამ ქვეყნებმა მიზნად დაისახეს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა.



## თავი მეორე

### კანონმდებლობის საკონსტიტუციო კონტროლი

#### §3. საკონსტიტუციო კონტროლი და პარლამენტის უზენაესობა

საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება მსოფლიოში მარტივად და უმტკივნეულოდ არ მომხდარა. მის ერთიანად გავრცელებას ბევრი ფაქტორი უშლიდა ხელს. მთავარი კი მაინც იყო ევროპაში და მოგვიანებით ე.წ. სოციალისტურ ქვეყნებში გაბატონებული არგუმენტი — უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობა და მისი საშუალებით გამოხატული საერთო — სახალხო ნების კონტროლის დაუშვებლობა.

ევროპაში XVIII საუკუნის შუა წლებში საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობა წამყვან იდეად იქცა. ფართოდ აღიარებული შეხედულების თანახმად, პარლამენტის ძალაუფლება აბსოლუტურად ითვლებოდა და მისი კონტროლს დაქვემდებარება კატეგორიულად მიუღებელი იყო. ამის გამო დაიბლოკა საფრანგეთსა და გერმანიაში საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების ადრეული ცდები. ჯერ კიდევ 1863 წელს გამოვიდა გერმანელ იურისტთა უმრავლესობა მისი დამკვიდრების მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. ანალოგიური მდგომარეობა იყო საფრანგეთშიც, სადაც საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობის შემოწმება იმ დროისათვის მიუღებელ მოთხოვნად ჩაითვადა, მაგრამ მოგვიანებით ამ ქვეყანაში ამერიკული გამოცდილება გახდა სტიმული მის დასამკვიდრებლად. დაგვიანების მიზეზი შეიძლება აიხსნას საფრანგეთში მოსამართლეებისადმი მტრული დამოკიდებულებით და თითქმის რელიგიურ რანგში აყვანილი პარლამენტის უზენაესობისადმი ერთგულებით.

საფრანგეთში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში აბსოლუტურად რომ უზრუნველყოთ მოსამართლეთა ჩაურევლობა კანონშემოქმედებით საქმიანობაში, დადგინდა, რომ მათი გადაწყვეტილებები სავალდებულო იქნებოდა მხოლოდ მოდავე მხარეებისათვის და შესაბამისად არ ექნებოდა არავიარი პრეცედენტული ღირებულება მომავალი საქმეებისათვის.

ფრანგული სამართლისა და კულტურის ხანგრძლივი გავლენის გამო ეს მიდგომა ფართოდ გავრცელდა კონტინენტური ევროპის ტერიტორიაზე და მან ფეხი მოიკიდა სრულიად სხვადასხვა ეროვნული სამართლის სისტემებში. მოსამართლეები გახდნენ საჯარო მოსამსახურეები, უბრალო ბიუროკრატები, რომელთაც ჩამორთმეული პქონდათ კანონის მნიშვნელობისა და მიზნების შესახებ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება და არ გააჩნდათ არანაირი უფლებამოსილება ხელისუფლების სხვა განშტოების მიმართ. საკანონმდებლო ორგანოები წარმოადგენდნენ უმაღლეს ორგანოს არა მარტო ჩვეულებრივი კანონების მიღებისა და განმარტების საქმეში, არამედ კონსტიტუციის განმარტებისა და შეცვლის საკითხებშიც.

ევროპისაგან განსხვავებით ამერიკაში მოვლენები სხვაგვარად ვითარდებოდა. აშშ—ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ჯორჯ მარშალმა ფედერალური და შტატების კანონმდებლობის საკონსტიტუციო კონტროლის უფლება ფაქტობრივად ყოველგვარი წინააღმდეგობისა და სირთულის გარეშე დაამკვიდრა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ამგვარ უფლებამოსილებაზე კონსტიტუციაში არაფერი იყო ნათქვამი. ამასთანავე მარშალის მიერ ამ უფლების დაკანონება არ იყო უპრეცედენტო. ზოგიერთი შტატის სასამართლომ რამდენიმე წლით ადრე უკუავადო შტატის ცალკეული კანონი არაკონსტიტუციურობის მოტივით.

საკონსტიტუციო კონტროლი აღმოცენებისთანავე აქტიურად დაუპირისპირდა პარლამენტის უზენაესობის პრინციპს. კერძოდ, აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებისას რეალიზაციას უკეთებს საერთო—სახალხო ნებას და ამ ნებას გამოხატავს კანონში, რომლის რევიზია და, მით უფრო, გაუქმება ხალხის ნების ჩახშობად უნდა მონათლულიყო. ამ არგუმენტაციის დამაჯერებლობაში დარწმუნებას ცდილობდნენ ის მსხვილი კაპიტალისტები, რომელთა მონოპოლიური ინტერესების შენარჩუნებას ემუქრებოდა საფრთხე ლიბერალურ დემოკრატიასა და სამართლებრივ სახელმწიფოზე ორიენტირებული პარლამენტების მხრიდან. მოგვიანებით სახალხო ნების უზენაესობის ხელშეუხებლო-

ბა ასევე ერთ—ერთ არგუმენტად იქცა სოციალისტური რეჟიმის ქვეყნების მმართველი წრეებისათვისაც, რათა ყოვლად დაუშვებლად გამოეცხადებინათ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების უზენაესობის „შეზღუდვა“.

კომუნისტური იდეოლოგიის მიმდევრები საკონსტიტუციო კონტროლს მსხვილ კაპიტალისტთა ინტერესების შენარჩუნებისა და დაცვის შესანიშნავ შენიღბულ საშუალებად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, კაპიტალისტური ქვეყნების პარლამენტებში მიმდინარე პროცესები თვალსაჩინო მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ ცდილობდა უმრავლესობაში მოსული წარმომადგენლობა კანონით გამოეხატა და დაეცვა ხალხის სოციალურ — ეკონომიკური და სხვა კანონიერი ინტერესები, ხოლო უმცირესობაში მოქცეული კაპიტალისტები უძლურნი იყვნენ საპარლამენტო მეთოდებით წინ აღდგომოდნენ ამგვარ მცდელობებს. გამოსავალი მათი ვაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებისა დანახული იყო საკონსტიტუციო კონტროლში, რომელსაც არაკონსტიტუციურობის მოტივით შეეძლო ძალადაკარგულად გამოეცხადებინა მიღებული კანონი და ამით დაერთუნა ყოველგვარი მცდელობა სახალხო ინტერესებზე ზრუნვისა.

საკონსტიტუციო კონტროლის პრაქტიკის ადრეულ ეტაპზე გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც თითქოს ზემოაღნიშნული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, მაგრამ ეს იყო ცალკეული შემთხვევები, რომელთა გამუქება და მხოლოდ მათით შემოფარვლა ტენდენციურ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს.

კანონის ცნობა კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ინვეეს მის შემდგომ ანულირებას (ფორმალურს ან ფაქტობრივს). სწორედ აქ ჩნდება საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის შეფარდების უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა პარლამენტის უზენაესობის პრინციპთან, ვინაიდან კონტროლის ამგვარი შინაარსი ზოგიერთი მეცნიერის აზრით უტოლდება პარლამენტის საქმიანობის კონტროლს. მაგალითად, მეცნიერ მ. ნუდელის აზრით, „საკონსტიტუციო ზედამხედველობა წარმოადგენს პარლამენტის საქმიანობის კონტროლის განსაკუთრებულ ფორმას“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах. М., 1968, с. 18.

იგი აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის არასაპარლამენტო ორგანოს შექმნა გამორიცხული უნდა იყოს პარლამენტის უზენაესობის პირობებში, ხოლო იქ, სადაც პარლამენტის უზენაესობა შემოიფარგლება, საკონსტიტუციო კონტროლი ასეთი შემოფარგვლისა და, აქედან გამომდინარე, პარლამენტის საქმიანობის შემონშების ერთ—ერთ საშუალებად გვევლინება.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი განიხილება ბურჟუაზიის დიქტატურის ერთ—ერთ მექანიზმად და გაბატონებული კლასის ინტერესების განხორციელების საშუალებად, თუნდაც ცვალებადი პოლიტიკური კონიუნქტურის შემთხვევაში. ამით ხსნიან ისინი იმპერიალიზმის პერიოდში მის ფართო გავრცელებას. კომუნიზმის იდეოლოგთა აზრით, საკონსტიტუციო კონტროლი გამოიყენება მხოლოდ პრაქტიკული მიზნებისათვის — სახალხო სუვერენიტეტის შეზღუდვის თეორიული დასაბუთებისათვის და ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებების შეზღუდვისათვის.

პრაქტიკის ცალმხრივმა ანალიზმა და საკონსტიტუციო კონტროლის არსისა და დანიშნულების არასწორმა გაგებამ თავისი გავლენა იქონია ზოგიერთ კაპიტალისტურ და მით უფრო კომუნისტურ ქვეყნებში ამ ინსტიტუტის დამკვიდრებასა და გავრცელებაზე, მაგრამ პრაქტიკის რეალური სურათი ირწმუნებოდა საკონსტიტუციო კონტროლის დემოკრატიულ ბუნებაზე, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე ორიენტირებულ ქვეყნებს თანდათანობით უმტკიცებდა რწმენას მისი შექმნის აუცილებლობაზე. ბოლოს და ბოლოს დაიძლია შიში პარლამენტის უზენაესობის შეზღუდვისა და ერთადერთი საკანონმდებლო ორგანოს სუვერენული უფლებების ხელყოფისა, თუმცა ამ საკითხზე დისკუსია დღესაც გრძელდება. მაგალითად, დოქტორი კარლ—ჯორჯ ცირლაინი იმ პოზიციაზეა, რომ „პარლამენტის გარდა ნორმატიული აქტების კონტროლი (განსაკუთრებით კი მათი ბათილად ცნობის უფლება), სხვა (ფაქტობრივად და პერსონალურად დამოუკიდებელი), მაგალითად, საკონსტიტუციო ორგანოს მიერ (მაგ. საკონსტიტუციო სასამართლო), შეზღუდული უნდა იყოს კონსტიტუციის დამამძიმებელი დარღვევის

თავიდან აცილების მიზნით".<sup>1</sup> თუმცა მან კარგად იცის, რომ მხოლოდ პარლამენტის მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლი არ გამოორიცხავს მისი მხრიდან არაკონსტიტუციური კანონის მიღების შესაძლებლობას და, აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის სათანადოდ დაუცველობას. „პარლამენტი-სათვის ასეთი სამართალწარმოება, ზოგადი საკონსტიტუციო სამართლის კუთხით, შესაძლოა ქმნიდეს ნაკლებად სასურველ ცდუნებას, კანონის შემუშავებისას სერიოზულად არ განიხილოს მისი შესაბამისობა კონსტიტუციასთან, რადგანაც არსებული პრაქტიკის ვითარებაში შესაძლოა სახელმწიფოსათვის ფინანსურად მომგებიანი იყოს კონსტიტუციის სანინაალმდეგო კანონის მიღება (ყოველ შემთხვევაში გარკვეული დროით მაინც) და ამ კანონის კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის მოგვიანებით აღიარების უარყოფითი შედეგები აღარ იყოს საშიში“.<sup>2</sup>

თანამედროვე პარლამენტარიზმის პირობებში პარლამენტი პრივილეგირებული საკანონმდებლო ორგანოა, რომელსაც უმაღლესი დონის გადაწყვეტილების — კანონის მიღება შეუძლია, მაგრამ მის საქმიანობაში კონსტიტუციონალიზმის პრინციპებისა და კანონების კონსტიტუციურობის აუცილებლობის დაცვის გარეშე საპარლამენტო დესპოტიზმისაგან თავის დაცვა შეუძლებელი იქნება. როგორც ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ლუის ლოპეს გუერამ განაცხადა „ისტორიულად საკონსტიტუციო სასამართლოები ჩნდება ახალი დემოკრატიული რეჟიმების ჩამოყალიბების პერიოდში და ხშირად ავტორიტარული რეჟიმების გამოცდილების შედეგად, სადაც კონსტიტუციური ნორმების, გარანტიების დარღვევა და უპატივცემულობა ძირითადად კანონმდებლობის შემუშავების საშუალებით ხდებოდა. ამრიგად, ნარსულისა და თანამედროვე საშიშროების გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა დაკავშირებულია დემოკრატიული სტაბილურობის გარანტიების სურვილთან, რათა კონსტიტუციური

---

<sup>1</sup> კარლ—ჯორჯ ცირლანინი. საკანონმდებლო ნორმების საკონსტიტუციო კონტროლი. თურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია". 2001 წ., №4 გვ. 20.

<sup>2</sup> კარლ—ჯორჯ ცირლანინი. საკანონმდებლო ნორმების საკონსტიტუციო კონტროლი. თურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია". 2001 წ., №4 გვ. 20.

მანდატი დაცული იყოს იმ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ჩამორთმევისა და საბოლოოდ დაკნინებისაგან, რომელიც პატივს არ სცემს კონსტიტუციას".<sup>1</sup>

კონსტიტუციონალიზმის თვალსაზრისით პარლამენტის შეზღუდვა შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა მისი საქმიანობა არ შეესაბამება კონსტიტუციით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ, იმისათვის, რომ ამ სისტემამ იმოქმედოს, ისევე და ისევე საჭიროა კანონების „ადეკვატურობის“ შემოწმება კონსტიტუციურ მოთხოვნებთან, ანუ გადასინჯვის შესაძლებლობის დასაშვებობა.

სამართლის უზენაესობა სამართლებრივი ნორმების სასამართლო კონტროლით დაცვის შესაძლებლობასაც გულისხმობს, მაგრამ იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სპეციალური პირობების არსებობისას, იმის მიუხედავად, ნათქვამია თუ არა ამის შესახებ გამოსაყენებელ კანონში.

კონსტიტუციონალიზმი ემყარება კონსტიტუციის უზენაესობას. შესაბამისად, საკანონმდებლო ხელისუფლების აქტები კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს. მაგრამ რა მოხდება, თუკი პარლამენტი ამ მოთხოვნას არ გაითვალისწინებს და მის საინინალმდეგო კანონს მიიღებს? რადგან კანონის მიღების უფლება მხოლოდ პარლამენტს აქვს და იგი უზენაესი კანონმდებელია, ეს არ უნდა გამორიცხავდეს კანონების კონსტიტუციურობის შემოწმების შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ არაფერს დგას კონსტიტუციის დაცვის სადარაჯოზე.

ის, რომ ყოველი კანონი ექვემდებარება კონსტიტუციას და წინააღმდეგობის შემთხვევაში კანონი უნდა გაუქმდეს, არც საკამათოა და არც პარლამენტის შებოჭვის ფორმად უნდა იქნეს განხილული. ანტიკონსტიტუციური კანონების ძალდაკარგულად გამოცხადება სრულიად ეთვისება კონსტიტუციის დაცვის ფუნქციას.

კანონების კონსტიტუციურობის სასამართლო კონტროლის მონინააღმდეგენი მოითხოვენ ამ ფუნქციის სასამართლოსათვის ჩამოცილებას და თავად პარლამენტისთვის დაბრუნებას. დასაბუთება მარტივია, — არ იქნეს დაშვებული სასამართლოთა

---

<sup>1</sup> პერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003 წ. გვ. 58-59.

პოლიტიკაზე. მაგალითად, მ. ნუდელი აღნიშნავს, რომ „კანონების კონსტიტუციურობის შემონემა თავისი ბუნებით პოლიტიკური საქმიანობა გახლავთ და არც შეიძლება რომ სხვაგვარი იყოს”.<sup>1</sup> ამის არგუმენტად მას მოჰყავს ის, რომ პარლამენტის მიერ ყოველი კანონის მიღება და გაუქმება პოლიტიკური საქმიანობაა და რომ „თავისი ხასიათით ამგვარი გაუქმებისაგან არაფრით განსხვავდება კანონის ანულისრება სასამართლოს ან საკონსტიტუციო ზედამხედველობის სხვა ორგანოს მიერ”.<sup>2</sup>

საკონსტიტუციო კონტროლი პოლიტიკური საქმიანობა არ არის, მაგრამ იგი პოლიტიკისაგან არც აბსოლუტურად მონყვეტილია. პოლიტიკასთან შემხებლობა გარდაუვალია საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა ფორმირების ნესიდან დანყვებული, კომპეტენციის სფეროთი დამთავრებული. როგორც ლ. ჩორგოლაშვილი აღნიშნავს: “ის, რომ სასამართლოს პოლიტიკური საკითხების განხილვა უხდება, გარდაუვალი რეალობაა. სამართალი ხომ პოლიტიკის გამოხატულების ფორმაა. ნეტს რა სამართლის საკითხებს, საკონსტიტუციო სასამართლო, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებს”<sup>3</sup>, მაგრამ იგი აქვე დასძენს, რომ “პოლიტიკური კონფლიქტების სამართლებრივი საშუალებებით გადანყვეტისას არ უნდა გამოვიდეთ სამართლებრივი არედან, რადგან გადანყვეტილების მიღებისას თავიდან იქნეს აცილებული ერთ—ერთი მოდავე მხარის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გადაქცევის საშიშროება”.<sup>4</sup> ამ მოსაზრებიდან ნათლად ჩანს, რომ საუბარია არა საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკურ ბუნებაზე (პოლიტიკებაზე), არამედ პოლიტიკასთან მისი შემხებლობის გარდაუვალობაზე, რომლის

---

<sup>1</sup> Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах. М., 1968, стр 42.

<sup>2</sup> Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах. М., 1968, стр 42.

<sup>3</sup> ლამარა ჩორგოლაშვილი. კონსტიტუციური კონტროლის თეორიისა და პრაქტიკის სადავაო საკითხები. ჟურნ. “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2002, №2. გვ. 42

<sup>4</sup> ლამარა ჩორგოლაშვილი. კონსტიტუციური კონტროლის თეორიისა და პრაქტიკის სადავაო საკითხები. ჟურნ. “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2002, №2. გვ. 42

თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ ხაზგასმულია, რომ საკონსტიტუციო კონტროლის გზით უნდა გადაწყდეს, მოგვარდეს ზედმინეწით სამართლებრივი საკითხები და არ მიენიჭოს უპირატესობა პოლიტიკურ მიზანშეწონილობას.

ამ ფონზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი ზოგიერთი მეცნიერის მიერ განიხილება მეოთხე ხელისუფლებად, რომელიც არა მარტო არყევს პარლამენტის უზენაესობის პრინციპს, არამედ სცილდება კიდევ დემოკრატიის საზღვრებს. მაგალითად, იკვლევს რა საკონსტიტუციო კონტროლის თეორიასა და პრაქტიკას გფრ—ში, პროფ. ა.ბლანკენაგელი კონტროლის ორგანოს უარყოფით თვისებას აკავშირებს მის სასამართლო საქმიანობის ხარისხთან და მაღალ პრესტიჟთან. მისი თქმით "ეს ფენომენი შეიძლება აღვწეროთ, როგორც მართლმსაჯულების გადანონვა დემოკრატიის დასავლეთ—გერმანულ გაგებაზე. საკონსტიტუციო სასამართლო გახდა მეოთხე ხელისუფლება, პარლამენტზეც კი, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს გარდაქმნის იურიდიულად (კონსტიტუციურად), ამით შეიძლება აიხსნას დასავლეთ—გერმანული დემოკრატიისა და პოლიტიკური კულტურის იურისდიქციული ელფერი".<sup>1</sup>

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს მოსალოდნელი პოლიტიზაციის შიში თავად ამ ორგანომ უნდა გაფანტოს. მან თავისი საქმიანობით უნდა დაარწმუნოს საზოგადოება და განსაკუთრებით პოლიტიკური სპექტრი, რომ მისი გადაწყვეტილებები კულუარულ ან აშკარა პოლიტიკურ შეხედულებებს კი არ ემყარება, არამედ მხოლოდ ქვეყნის ძირითად კანონს, მაშინაც კი, როცა დავის საგანს აშკარად აქვს წინააღმდეგობრივი პოლიტიკური საფუძველი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაძლოა პოლიტიკურმა შეხედულებებმა რაღაც გარკვეული გავლენა მოახდინოს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების სამართლებრივი არგუმენტაცია დამაჯერებელი უნდა იყოს და საზოგადოების მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ფუნდამენტურ ღირებულებებს უნდა ემყარებოდეს.

---

<sup>1</sup> Блашкенагель А., Теория и практика конституционного контроля в ФРГ. "Советское государство и право", 1989, №1, стр. 109.



ამ მხრივ განსაკუთრებული და გადამწყვეტი მისია ეკისრება საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ პირს (მოსამართლეს, წევრს და სხვა), რომელიც აუცილებლად უნდა იდგეს პოლიტიკურ გრძნობებზე და სიმპათიებზე მაღლა, მით უფრო, როცა დღის წესრიგში დგება კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების საკითხი. ამ დროს ყოველგვარი პოლიტიკური მრწამსი გვერდზე უნდა გადაიდოს და ძირითად დასაყრდენად კონსტიტუცია იქცეს. რა თქმა უნდა, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს მოსამართლე ყოველდღიური ადამიანური მისწრაფებებისაგან ძალიან შორს არის და მხოლოდ კანონის აბსტრაქტული ცნების საფუძველზე მოქმედებს, მაგრამ საჭიროა სასამართლო ყოველდღიური პოლიტიკის მიმართ ნეიტრალური და მიუკერძოებელი იყოს და არ აპყვეს სოციალურ არეულობას, რაც ხშირად თან სდევს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ ბევრ საკითხს. ბუნებრივია, საჯარო ინსტიტუტის საქმიანობა არ უნა დარჩეს საზოგადოებრივი თვალყურის მიღმა, მაგრამ სასამართლოს შემთხვევაში თვალყური უნდა შემოიფარგლებოდეს სასამართლოს საქმიანობის შედეგისა და მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზური კრიტიკით, ასევე ნებისმიერი ისეთი საკითხის კრიტიკით, რომელსაც არ შეუძლია მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვა.

ევროპულ ქვეყნებში უკვე დამკვიდრდა პრაქტიკა, როცა კონტროლის ორგანო გვერდს უვლის ისეთი საკითხის განხილვას, რომელიც მისთვის “წმინდა პოლიტიკურია”. ამერიკული სტანდარტების მიხედვით საკითხი “პოლიტიკურია”, თუ სასამართლოს არ შეუძლია მისი გადაწყვეტა მოქმედ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით. კონტროლის ორგანო შეძლებისდაგვარად უნდა მოერიდოს პოლიტიკურად წინააღმდეგობრივი და მგრძნობიარე საკითხების განხილვას, რა თქმა უნდა, თუ კონსტიტუცია ამის გაკეთებას პირდაპირ არ ავალებს მას. სხვა შემთხვევაში იგი აღმოჩნდება არა მარტო პოლიტიკულად, არამედ პოლიტიკური ძალაუფლების კიდევ ერთი ცენტრი.

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს შექმნის წესი და კომპეტენცია იმგვარია, რომ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შენარჩუნება საკმაოდ რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. აქ უამ-

რავი ფაქტორი ზემოქმედებს, თუმცა ბევრი რამ მაინც მოსამართლეებზეა დამოკიდებული: მათი გამბედაობა და მოუსყიდველობა, ობიექტურობა და დამოუკიდებლობა, პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება. მოსამართლე (სასამართლო) თავისი საქმიანობით არ უნდა ტოვებდეს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც შეექმნა რუსეთის მოსამართლე ამეტიტოვს თავისი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოზე. მისი განცხადებით სასამართლო მოქმედებდა არა სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, არამედ ელცინის სატელევიზიო გამოსვლებზე დაყრდნობით. მან სასამართლოს თავმჯდომარე არაობიექტურობასა და საქმის წინასწარ გადაწყვეტაში დაადანაშაულა. “სანამ ჩვენ საქმეს ვიხილავდით, ზორკინმა (თავმჯდომარემ) გამოააშკარავა თავისი პოლიტიკური შეხედულებები”<sup>1</sup>, — განაცხადა ამეტიტოვმა. მის აზრს დაეთანხმნენ სხვა ცნობილი იურისტებიც, რომელთა განცხადებით “სასამართლოს გადაწყვეტილებები ნაკარნახევი იყო პოლიტიკური ამბიციებითა და მიკერძოებით”<sup>2</sup>. ეს ყოველივე სერიოზულ საფუძველს ქმნის, რათა სასამართლო ნელ — ნელა გადაიქცეს ცენტრალური პოლიტიკური ძალების ისეთ ინსტრუმენტად, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთარი პოლიტიკური ინტერესების პრაქტიკულ განხორციელებას.

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, განსაკუთრებით კანონთა კონსტიტუციურობის შემოწმებისას, უმნიშვნელოვანესია, რადგან თუ იგი იქცა პოლიტიკური ბრძოლის იარაღად, დამლუპველი იქნება ქვეყნის სამართლებრივი უსაფრთხოებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო კონტროლის იდეა აღმოცენებისთანავე აქტიურად დაუპირისპირდა პარლამენტის უზენაესობის დოქტრინას, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქმებოდა საპირისპირო შეხედულებაც იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო კონტროლი პარლამენტის დასახმარებლად

---

<sup>1</sup> ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003 წ. გვ. 219.

<sup>2</sup> ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003 წ. გვ. 219.

იქნა დამკვიდრებული. მაგალითად, იმის გამო, რომ პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალი თავდაპირველად უმეტესწილად კანონქვემდებარე აქტებს ამონებდა და ამ გზით იცავდა კანონის უზენაესობას და თავად კანონს მათგან დარღვევისაგან, პოლონელი მეცნიერი ლ. გარლიცკი ამბობდა: "ტრიბუნალი შეიქმნა არა იმისათვის, რომ გააკონტროლოს პარლამენტი, არამედ იმიტომ, რომ დაეხმაროს პარლამენტს ქვეყნის უზენაესი კანონმდებლობის პოზიციის შენარჩუნებაში".<sup>11</sup>

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს პარლამენტთან ალიანსის თაობაზე ბევრჯერ გამოუთქვამთ საყვედური იმ პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს ან მთავრობის წევრებს, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელსაც არ გაუუქმებია პარლამენტის მიერ მიღებული კანონი. მაგალითად, 1995 წელს ბულგარეთის პრემიერ — მინისტრმა გააკრიტიკა საკონსტიტუციო სასამართლო და დაადანაშაულა ალტერნატიული პარლამენტის მსგავს მოქმედებაში, რის გამოც მთავრობამ გადაწყვიტა სასამართლო გაეძევებინა, გამოესახლებინა შენობიდან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრობლემას ქმნის ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლი და პოლიტიკა საკმაოდ ახლოს დგანან ერთმანეთთან და აქედან გამომდინარე, მის სრულ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე საუბარი შეუძლებელია აბსურდად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ კონტროლის ორგანოს ასეთის სურვილი ექნება, მისი მიღწევა არ იქნება შეუძლებელი. მთავარია იგი არ იქცეს ხელისუფლების კიდევ ერთ პოლიტიკურ ცენტრად ან დანაშაულად და შეძლოს მისგან თავისუფლების მოპოვება, რათა მისმა გადაწყვეტილებებმა მოიპოვოს ნდობა და აღიარება.

---

<sup>11</sup> ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003 წ. გვ. 104.

#### §4. კონსტიტუციის დაცვა მიმდინარე კანონმდებლობისაგან

კონსტიტუციას, როგორც ქვეყნის ძირითად კანონს, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული და წამყვანი ადგილი უკავია, რადგან იგი განსაზღვრავს იმ ძირითად ნორმა-პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს სახელმწიფო-სამართლებრივი სისტემის დაფუძნება.

კონსტიტუცია ადგენს სახელმწიფოებრივი მონყობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლებს, ამდენად, მისი სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივ სტაბილურობასთან. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის დაცვასა და მისი უზენაესობის უზრუნველყოფას უდიდესი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს.

კონსტიტუციის დაცვა ყოველი მოქალაქის მოვალეობაა, ასევე სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დაიცვან მისი მოთხოვნები, არ დაუშვან კონსტიტუციური წყობის საფუძვლების დარღვევა და კონსტიტუციით აღიარებული დემოკრატიული ფასეულობების ხელყოფა. აცხადებს რა კონსტიტუცია თავისი უზენაესობის პრინციპს, დაცვისა და შესრულების სავალდებულობას, ქმნის საკუთარი თავდაცვის გარკვეულ წინაპირობას. ჩვენი აზრით, სავალდებულო და მართებულია, რომ დაცვის გარანტიები თვით კონსტიტუციაში ჩაიდოს. იგი უნდა დაეუფლოს შიდასაკონსტიტუციო თვითდაცვის აუცილებელ სისტემას, რადგანაც ნებისმიერ სისტემას გააჩნია ადეკვატური იმუნური სისტემა, რომელიც მონოდებულია შეინარჩუნოს მოცემული სისტემის ფუნქციონალური მთლიანობა. სამწუხაროდ, პოსტკომუნისტური სივრცის მრავალი ქვეყნის კონსტიტუციას არ გააჩნია შიდასაკონსტიტუციო თვითდაცვის საკმარისი პოტენციალი.

კონსტიტუციის დაცვას მიეყვანათ ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფასთან, ე.ი. სამართლებრივ პრაქტიკაში ისეთი ნორმების მოქმედების დაუშვებლობასთან, რომლებიც კონსტიტუციის სულისკვეთების საწინააღმდეგონი არიან. როგორც პროფესორები ნ. ბობროვა და ტ. ზრა-

უეესკაია აღნიშნავენ: “კონსტიტუციური კანონიერება არის კონსტიტუციური პრინციპებისა და ნორმების განუხრელი დაცვის უზრუნველყოფა არა მარტო მიმდინარე ნორმაშემოქმედებასა და ნორმაგამოყენებაში, არამედ მათი სწორი შეფარდებისას”.<sup>1</sup> კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებად კი ავტორები საკონსტიტუციო კონტროლსა და პასუხისმგებლობას მიიჩნევენ: “კონტროლი და პასუხისმგებლობა ორი მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ ამასთანავე განსხვავებული ცნებებია... მათი შეფარდების გამოვლინება საშუალებას იძლევა დაისვას საკითხი კონტროლის, როგორც კონსტიტუციური ნორმების გარანტიის, განსაკუთრებული შინაარსის შესახებ. ყველაზე ზოგადი სახით საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი არის ძირითადი კანონით ფორმალიზებული მოთხოვნები, რომელთა საშუალებით გარანტირდება კონსტიტუციური კანონიერება და კონსტიტუციური რეჟიმი”.<sup>2</sup>

აქვე ყურადღება უნდა მიექცეს კონსტიტუციის დაცვის ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა კონსტიტუციური პასუხისმგებლობა, რომელიც თავს იჩენს ძირითადი კანონის დარღვევის დროს. რადგან კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტია, ბუნებრივია, მასში დაფიქსირებული პოლიტიკურ-სამართლებრივი ფასეულობები კონსტიტუციურ დაცვას მოითხოვენ. კონსტიტუციური პასუხისმგებლობა განსხვავდება სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისაგან. მისი დანიშნულებაა კონსტიტუციის დაცვა მაშინ, როცა იურიდიული პასუხისმგებლობის სხვა სახეები მონოდებულნი არიან შეასრულონ განსხვავებული ფუნქციები. თუმცა არ შეიძლება იგნორირებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობის როლი კონსტიტუციის დაცვის საქმეში. კონსტიტუციური პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველს წარმოადგენს კონსტიტუციის ნორმების დარღვევა.

---

<sup>1</sup> Боброва Н.А., Зражевская Т.Д., Ответственность в системе гарантий конституционных норм. Воронеж, 1985, стр. 95.

<sup>2</sup> Боброва Н.А., Зражевская Т.Д., Ответственность в системе гарантий конституционных норм. Воронеж, 1985, стр. 98-99.

კონსტიტუციის ნორმების ცხოვრებაში რეალიზებისა და ყველა სხვა სამართლებრივი ნორმის ძირითად კანონთან შესაბამისობის მოთხოვნას მივყავართ შესაბამისი გარანტიების სისტემის შექმნის აუცილებლობამდე, რომელთა გარეშე კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციური კანონიერების სურვილი სურვილად დარჩება. როგორც პროფ. ს. ბობოტოვი აღნიშნავს: "ნორმატიული აქტების ინფლაცია, კანონის უზენაესობის პრინციპის დარღვევა, კანონშეუსაბამო სასამართლო გადაწყვეტილებების რიცხვის ზრდა მოითხოვს მუდმივ ზედამხედველობას კომპეტენტური იურიდიული ინსტაციების მხრიდან".<sup>1</sup>

კონსტიტუციის უზენაესობა ნიშნავს იმას, რომ მიმდინარე კანონმდებლობა სრულად უნდა შეესაბამებოდეს მის შინაარსს, იმ მიზანს, რისი მიღწევაც კონსტიტუციით არის დასახული. კანონმდებლობა უნდა მიიღებოდეს მისი პრინციპებისა და ნორმების უფრო დეტალური კონკრეტიზაციისა და მათი ცხოვრებაში რეალიზაციისათვის. ამ შემთხვევაში კანონმდებლობა უნდა განიხილებოდეს დამხმარე საშუალებად კონსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობისათვის. იგი არ უნდა სცილდებოდეს კონსტიტუციით შემოსაზღვრულ ფარგლებს და არ უნდა ცდილობდეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვანაირ, თავისებურ, თუნდაც ახლებურ მონესრიგებას, თუ ეს სიახლე კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი და უცხოა. ✓

საზოგადოების განვითარება ახალ მოთხოვნებს წარმოშობს, რომელთა მოგვარება შესაძლოა კონსტიტუციას თავდაპირველად არც განუსაზღვრავს, მაგრამ ამის აუცილებლობა, ბუნებრივია, დღის წესრიგში დააყენებს მისი შესწორების საკითხს, რაც არ უნდა გახდეს განსაკუთრებული ვნებათაღელვის საგანი, რადგან რამდენიმე წლის წინ, ათეული და, მით უფრო, ასეული წლის წინ მიღებული კონსტიტუციის შემქმნელები, ცხადია, სრული სიზუსტით ვერ განჭვრეტდნენ მომავალი თაობების წინაშე წამოსაჭრელი ყველა პრობლემის მოგვარების ფორმებსა და ხერხებს. შესწორების შეტანა არ უნდა გვაშინებდეს, თუ ეს

---

<sup>1</sup> Боботов С.В., Конституционный контроль в буржуазных странах: Доктрина и практика. "Советское государство и право", 1986, №3, стр. 115.

არ არის დემოკრატიული ღირებულებების შელახვის, პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციის, ანდა კონსტიტუციონალიზმის დასუსტების მიზნით გაკეთებული.

↓ ცხადია, როცა საუბარია იმაზე, რომ მიმდინარე კანონმდებლობა არ უნდა გასცდეს კონსტიტუციით დაწესებულ ფარგლებს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს კანონები უნდა მიიღებოდეს მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკითხებზე მათი უფრო დაწვრილებითი მონესრიგებისათვის (ეს ფუნქცია, როგორც ნესი, კონსტიტუციურ და ორგანულ კანონებს ეკისრება). რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება კონსტიტუციის შინაარსობრივი საზღვრები, მისი ძირითადი პრინციპები და ნორმები, რომელსაც არ უნდა გასცდეს კანონი, რათა იგი არაკონსტიტუციურად არ ჩაითვალოს, ანუ კანონმდებლობა უნდა ეფუძნებოდეს ძირითად კანონს და იყოს მისი შესაბამისი. |

ერთი მხრივ, კანონმდებლის თავისუფლებას შეიძლება კონსტიტუცია ზღუდავდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, კონსტიტუცია შესაძლოა იმასაც ითხოვდეს, რომ ესა თუ ის საკითხი მხოლოდ კანონით გადაწყდეს. სახელმწიფოს მხოლოდ იმ სფეროში აქვს კანონის შექმნის უფლება, რის შესაძლებლობასაც კონსტიტუცია იძლევა. ეს იყო კონსტიტუციური კანონიერების იდეის ძირითადი არსი XVIII საუკუნეში. დღეისათვის კი იგი გულისხმობს არსებული, მოქმედი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას კონსტიტუციის დედააზრთან, ხოლო იქ, სადაც საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი ძლიერია, ამ მოთხოვნის ნამდვილობა მუდმივად მონმდება. ნორმათა ერთმნიშვნელოვნება და იერარქიული შესატყვისობა განმსაზღვრელია ქვეყანაში სამართლებრივი წესრიგისა. ნორმათა თვითნებობისა და ანარქიის შეზღუდვის უზრუნველსაყოფად საჭიროა ფორმალური ხასიათის გარკვეული მოთხოვნების დაცვა, რათა ერთსა და იმავე ცხოვრებისეულ ურთიერთობებს სხვადასხვა ნორმა სხვადასხვანაირად არ აწესრიგებდეს. ამ საკითხს საბოლოოდ მივყავართ ნორმათა იერარქიამდე. სამართლის ნორმებს აქვთ თავიანთი დონეები და უდავოა, რომ იერარქიულად დაბლა მდგომი ნორმის მიმართ უნდა გამოვიყენოთ უფრო მაღალი დონის ნორმა. მათ შორის შეუსაბამობის აღმოფხვრის საუკეთესო საშუალებას კი

საკონსტიტუციო კონტროლი იძლევა. მაგალითად, პოსტსაბჭო-  
თა სივრცის ქვეყნების სასამართლო კონტროლის სფეროში  
დაინერგა ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამი-  
სობის უზრუნველყოფის ორი სისტემა: ერთ სისტემას მიზნად  
აქვს დასახული უზრუნველყოს მათი შესაბამისობა მხოლოდ  
კონსტიტუციასთან. სახელმწიფოებს, სადაც კონსტიტუციურო-  
ბის ეტალონი არის ძირითადი კანონი, მიეკუთვნება საქართვე-  
ლო, სომხეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, მოლდ-  
ოვა, ესტონეთი, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში განმტკიცებულია  
მეორე სისტემა – ნორმატიული აქტების კონსტიტუციური შესა-  
ბამისობის 'იერარქიული' უზრუნველყოფის სისტემა, რომლის  
მიხედვით კონტროლის ორგანო ამონმებს ნორმატიულ აქტს მისი  
სახისა და იურიდიული ძალის მიუხედავად არა მარტო კონსტი-  
ტუციასთან, არამედ ზემდგომ სამართლებრივ აქტებთან შესა-  
ბამისობის თვალსაზრისით. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება აზერ-  
ბაიჯანი, ლიტვა, ლატვია, ბელორუსია, უზბეკეთი.

განსხვავებულია აგრეთვე საკონსტიტუციო კონტროლის  
ობიექტთა წრე. ზოგან იგი ატარებს უნივერსალურ ხასიათს და  
მოიცავს ყველა სახის ნორმატიულ აქტს (აზერბაიჯანი, ყირგიზე-  
თი, ლატვია, ესტონეთი და სხვა), ხოლო ზოგან ობიექტთა წრე  
შეზღუდულია და მოიცავს ნორმატიული აქტების მხოლოდ გან-  
საზღვრულ სახეებს (სომხეთი, ლიტვა, უკრაინა და სხვა). რო-  
გორც პრაქტიკა მონიშნავს, საკონსტიტუციო კონტროლის მთა-  
ვარ ობიექტად მაინც კანონი რჩება, მაგრამ არა ყველა სახის  
კანონი. ზოგიერთი ქვეყანა კანონთა გარკვეულ სახეს არ აქცევს  
საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტად, მაგალითად, რეფერ-  
ენდუმის გზით მიღებულ კანონებს, როგორც საერთო-სახალხო  
ნების პროდუქტსა და განსაკუთრებული იურიდიული ძალის დო-  
კუმენტს, რომლის გაუქმება ან შეცვლა მხოლოდ იმავე წე-სით –  
რეფერენდუმის გზით ხდება (სომხეთი, ბელორუსია, ლიტვა,  
ტაჯიკეთი). საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არასწორად უნდა  
ჩაითვალოს, რადგან თუკი კანონის კონსტიტუციურობა ეჭვს  
ინვევს, იგი უნდა დაექვემდებაროს საკონსტიტუციო კონ-  
ტროლს, მიუხედავად იმისა, ეს კანონი ხალხის მიერ უშუალოდ  
არის მიღებული თუ მათი წარმომადგენლების მიერ.



არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა აგრეთვე კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის შემონმებისადმი (თუ კონსტიტუციური კანონით ხდება კონსტიტუციის გადასინჯვა, მასში ცვლილებების ან დამატებების შეტანა). ზოგიერთ ქვეყანაში კანონის ეს სახე არ ექვემდებარება კონტროლს იმ ლოგიკით, რომ იგი კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია, კონსტიტუციის დებულებების შემონმება კი დაუშვებელია. ზოგან პირიქით, კონსტიტუციური კანონების პროექტები წინასწარ კონტროლსაც კი ექვემდებარება (ყირგიზეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, უკრაინა და სხვა). ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციური კანონები ყველა შემთხვევაში უნდა დაექვემდებარონ წინასწარ ფორმალურ ("გარეგან") საკონსტიტუციო კონტროლს, ხოლო მატერიალური ("შინაარსობრივი") სახით მათი შემონმება გარკვეული პირობების არსებობისას უნდა მოხდეს.

თითოეული ქვეყნის კონსტიტუცია შეიცავს დებულებებს კონსტიტუციის გადასინჯვის წესის შესახებ და საგანგებოდ, დეტალურად აღწერს კონსტიტუციური ცვლილების შესახებ კანონის მიღების პროცედურას. აქედან გამომდინარე, ამ პროცედურული საკითხების დაცულობის შემონმების აუცილებლობა კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელებამდე მართებულად მიგვაჩნია (ე.ი. წინასწარი ფორმალური კონტროლი), ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია შეიცავს ცვლილებების განხორციელების დაუშვებლობის მკაცრ ფორმალურ მოთხოვნებს. მაგ., უკრაინის კონსტიტუციის 157-ე და 158-ე მუხლების მიხედვით, დაუშვებელია კონსტიტუციის შეცვლა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, ან თუ ცვლილების კანონპროექტი არ იქნა მიღებული უმაღლესი რადას მიერ, მისი ხელახლა წარდგენა დასაშვებია ამ გადაწყვეტილების მიღების დღიდან არა უადრეს ერთი წლისა, აგრეთვე დაუშვებელია კონსტიტუციის ერთი და იმავე დებულების ორჯერ შეცვლა უმაღლესი რადას უფლებამოსილების ვადის განმავლობაში.

რაც შეეხება კონსტიტუციური ცვლილების კანონპროექტის შინაარსობრივად შემონმების შესაძლებლობას, აქ ორი მომენტი უნდა გამოვყოთ:

1. როცა კონსტიტუცია გადასინჯვის დაუშვებლობის რაიმე მატერიალურ პირობას არ შეიცავს;

2. როცა კონსტიტუციით დადგენილია მისი გადასინჯვის დაუშვებლობის რაიმე მატერიალური პირობა.

პირველ შემთხვევაში მატერიალური კონტროლი მიზანშეუნონლად მიგვაჩნია, რადგან იგი მიგვიყვანს საერთოდ კონსტიტუციის შეუცვლელობამდე, რაც, თავის მხრივ, მიუღებელია. მაგ., თუ მოქმედი კონსტიტუციური ნორმის მიხედვით პარლამენტის წევრთა მანდატები გადანაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტს მაინც, ხოლო კონსტიტუციური ცვლილების კანონპროექტი ითვალისწინებს 7-პროცენტიან ბარიერს, ასეთ შემთხვევაში მათი შინაარსობრივი თანაფარდობის შემონმება გაუმართლებელი იქნება (7 არ შეესაბამება 5-ს). ცხადია, როცა კონსტიტუციური ცვლილება ხდება, იგი ეხება მოქმედს, არსებულს, ხოლო ცვლილების არსი ის არის, რომ დაადგინოს ახალი, მოქმედისაგან განსხვავებული, ამიტომაც ეს განსხვავება და მისაღებსა და მიღებულ ნორმას შორის შეუსაბამობა ყოველთვის იქნება და ეს ბუნებრივიცაა. ასეთ დროს ცვლილებების შინაარსობრივი შემონმება მიუღებელი და გაუმართლებელია.

მეორე შემთხვევაში, მატერიალური კონტროლი არა თუ დასაშვები, არამედ სავალდებულო წინასწარი ხასიათისა უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში კონსტიტუციის დაცვაზე საუბარი უსაფუძვლო იქნება. თუ კონსტიტუცია შეიცავს გადასინჯვის დაუშვებლობის რაიმე პირობას, მაშინ ამ პირობის დაუცველობა კონსტიტუციის დაუცველობის პირდაპირპროპორციული იქნება. აქედან გამომდინარე, ნათელია წინასწარი მატერიალური კონტროლის აუცილებლობის მნიშვნელობა. მაგ., თუ კონსტიტუცია შეიცავს დებულებებს, რომლის მიხედვით არ შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფოს მმართველობის ან ტერიტორიული მოწყობის ფორმა, დაირღვეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, შეიზღუდოს ან გაუქმდეს ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, ან შეიცვალოს კონსტიტუციის ესა თუ ის

ნორმა და ა.შ., ასეთ შემთხვევაში, ცხადია უნდა შემონმდეს ამ მოთხოვნების დაცულობა. მაგ., უკრაინის კონსტიტუციის 157-ე და 158-ე მუხლები ადგენენ, რომ კონსტიტუციის შეცვლა არ შეიძლება, თუ ცვლილებით გათვალისწინებულია ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა ან ჩამორთმევა, ან თუ იგი მიმართულია უკრაინის დამოუკიდებლობის მოსპობის ან მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ. ე.ი. შემონმებულ უნდა იქნეს კონსტიტუციური ცვლილების შინაარსობრივი მხარე, რათა არ მოხდეს კონსტიტუციის ზემოხსენებული მოთხოვნების დარღვევა და მათი იგნორირება (მატიერიალური კონტროლი). ამიტომაც მართებულია უკრაინის კონსტიტუციის 159-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ კონსტიტუციურ კანონპროექტს უმაღლესი რადა იხილავს კონსტიტუციის 157-ე და 158-ე მუხლების მოთხოვნებთან კანონპროექტის შესაბამისობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის არსებობისას. დაახლოებით ანალოგიურ მოთხოვნას შეიცავს აზერბაიჯანის კონსტიტუციის 153-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ კონსტიტუციის ტექსტში შემოთავაზებულია ცვლილებები მილი მეჯლისის ან პრეზიდენტის მიერ, შემოთავაზებულ ცვლილებებს თან უნდა ერთვოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა. ასევე სომხეთის კონსტიტუციის 114-ე მუხლის მიხედვით, ცვლილებების შეტანას არ ექვემდებარება კონსტიტუციის პირველი, მე-2 და 114-ე მუხლები.

იურიდიულ ლიტერატურაში კონსტიტუციური ცვლილებების საკონსტიტუციო კონტროლზე ერთიანი აზრი არ არსებობს. მაგ., ვხვდებით ასეთ აზრსაც: "ჩვენი შეხედულებით, პარლამენტის მიერ მიღებული კანონები კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, არ შეიძლება იყოს შემდგომი (რეპრესიული) სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის საგანი, რამდენადაც აღნიშნულ კანონებს ცვლილებები შეაქვთ კონსტიტუციაში და ამდენად არიან მისი შემადგენელი ნაწილი, ხოლო კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შემონმება არ შეიძლება".<sup>1</sup> ამავე ლიტერატურაში მოხმობილია მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრი, რომლებსაც რუსეთის მაგალითზე

<sup>1</sup> Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии. М., 1998. стр. 59-60.

დასაშვებად მიაჩნიათ ამგვარი კანონების საკონსტიტუციო კონტროლი. მაგ., ლ. ლაზარევი ვარაუდობს, რომ დასახელებული კანონების შეფასების შესაძლებლობა გამომდინარეობს რუსეთის კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტიდან, რომლის მიხედვით კონსტიტუციის არც ერთი სხვა დებულება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური ნყობილების საფუძვლებს; და 135-ე მუხლის პირველი პუნქტიდან, რომლის მიხედვით კონსტიტუციის პირველი, მე-2 და მე-9 თავების დებულებები არ შეიძლება გადასინჯულ იქნეს ფედერალური კრების მიერ.<sup>1</sup>

რაც შეეხება იმ კონსტიტუციურ კანონებს, რომლებსაც შესწორებები კი არ შეაქვს კონსტიტუციაში, არამედ მიიღება კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე ორგანულ კანონებს, მათი წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლი სავალდებულოდ მიგვაჩნია (როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით), რადგან ისინი მიიღებიან კონსტიტუციის დებულებების საფუძველზე და მათი დეტალიზაციისათვის. აღნიშნული სახის კანონები შინაარსობრივად არსებითად არიან დაკავშირებული კონსტიტუციის საერთო სულისკვეთებასთან და ორგანულად გამომდინარეობენ მისგან. ამდენად, რაკი კონსტიტუციის სულისკვეთებასა და მის ფუძემდებლურ საწყისებს სწორედ კონსტიტუციური და ორგანული კანონებიდან ექმნება დარღვევის რეალური საფრთხე, მათი წინასწარი კონტროლი კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საუკეთესო წინაპირობად უნდა ჩაითვალოს.

იმისათვის, რომ არ მოხდეს პარლამენტისა და პრეზიდენტის კომპეტენციაში შეჭრა და ამ სფეროში მათი აზრის თავისუფლად გამოხატვისათვის ხელის შეშლა, წინასწარი კონტროლი უნდა განხორციელდეს აღნიშნული კანონების პრომულგაციამდე, ანუ მას შემდეგ, რაც პარლამენტმა და პრეზიდენტმა თავიანთი პოზიცია გამოხატეს და ამ კანონის მიღება მიზანშეწონილად ჩათვალეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის დადებითად შეფასება (კონსტიტუციურობის დადასტურება) იწვევს მის პრო-

<sup>1</sup> Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии. М., 1998, стр. 59-60.

მულგაციას, ხოლო უარყოფითი შეფასება (არაკონსტიტუციურად ცნობა) – პრომულგაციის შეჩერებასა და განსახილველად პარლამენტისათვის უკან დაბრუნებას. საკონსტიტუციო სასამართლოს შენიშვნები პარლამენტისათვის სავალდებულოა და მათი დაძლევა დაუშვებელი უნდა იყოს. თუ როგორ განხორციელდება აღნიშნული პროცედურა, – ეს საკანონმდებლო ტექნიკის სფეროა, რომელიც შესაბამის კანონმდებლობაში აისახება. იმის გამო, რომ არ მოხდეს კანონით მოსაწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობების ხანგრძლივი დროით მოუწესრიგებლობა და კანონის დროულად მიუღებლობით გარკვეული პრობლემების წარმოშობა, საკონსტიტუციო სასამართლომ შეფასება (დასკვნა ან გადაწყვეტილება) გონივრულ ვადებში უნდა მიიღოს (მაგ., 10-15 დღე).

რაც შეეხება ჩვეულებრივ ანუ მიმდინარე კანონებს, ზოგიერთ ქვეყანაში ისინი სავალდებულო წინასწარ კონტროლს ექვემდებარებიან (ირლანდია, პოლონეთი, რუმინეთი, ვენესუელა და სხვა), ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში კი ფაკულტატურ წინასწარ კონტროლს, – თუ პრეზიდენტი, პარლამენტის წევრთა განსაზღვრული ნაწილი ან პრემიერ-მინისტრი მის კონსტიტუციურობაში ეჭვს შეიტანს. ამ მხრივ, საინტერესოა საფრანგეთის, მაროკოს და სხვა ქვეყნების კონსტიტუციები. მაგ., საფრანგეთის კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 აბზაცი და მაროკოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით კანონები პირველ შემთხვევაში გამოქვეყნებამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში პრომულგაციამდე შესაძლოა დაექვემდებარონ ფაკულტატურ საკონსტიტუციო კონტროლს, მაგრამ ქვეყნების უმრავლესობაში დადგენილია კანონების მხოლოდ შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლი, რაც მიზანშეწონილია და გასაზიარებელი, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში არიან და სადაც კანონშემოქმედება საკმაოდ ფორსირებული წესით მიმდინარეობს.

საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტთა წრეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს (პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, ცალკეული სახელმწიფო უწყების ნორმატიულ აქტებს), თუმცა

არიან ქვეყნები, სადაც კონტროლს ექვემდებარება ყველა სახის სამართლებრივი აქტი ნორმატიულობის მითითების გარეშე, ე.ი. ინდივიდუალური აქტებიც (აზერბაიჯანი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, მოლდოვა, უზბეკეთი). საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს მუშაობის გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობა უარს ამბობს ინდივიდუალური აქტების გაკონტროლებაზე და საამისოდ სხვა სპეციალურ ორგანოს ქმნის (მაგ., ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოს სახით).

პარლამენტი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა, მაგრამ სამართალშემოქმედების ფუნქციის დელეგირების ტენდენცია დღეისათვის თვალში საცემია. შესაძლოა დროთა განმავლობაში წარმომადგენლობითი ორგანო აღარ იყოს ის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სოციალურ გადაწყვეტილებებს მიიღებს. აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის უკონტროლო სამართალშემოქმედების ფუნქციის მინიჭება დემოკრატიული პრინციპების სანინაალმდეგოდ უნდა ჩაითვალოს. ამდენად, ბუნებრივად გვეჩვენება კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის გავრცელება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზეც. როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას ერთნაირად სჭირდება კანონის ფარგლებში მოქცევა.

ფრანგულ და გერმანულ კონცეფციებს სამართლის უზენაესობის შესახებ, ევროპული სასამართლო პრაქტიკის წყალობით, სულ უფრო მეტ ყურადღებას აპყრობენ და მას უკვე კონსტიტუციური პრინციპის სტატუსს ანიჭებენ. ამ პრინციპის თანახმად, ხელისუფლების ნებისმიერ განშტოებას მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია გარკვეული ზომების მიღება და მოქმედება. აღნიშნული პრინციპის დაცვისა და რეალიზაციის საქმეში ნათლად ვლინდება საკონსტიტუციო კონტროლის როლი.

როდესაც საუბარია კანონმდებლობის კონსტიტუციურობის შემოწმებაზე, ცხადია, ძირითადი აქცენტი გადატანილია კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე, მაგრამ მათ გვერდით მოიაზრება ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებ-

ბები და შეთანხმებები. ქვეყნების დიდი ნაწილი მათ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნაწილად განიხილავს და ადგილს განუსაზღვრავს შიდასამართლებრივი ნორმების იერარქიაში. იურიდიული ძალის მიხედვით მათ, როგორც წესი, კონსტიტუციონისა და კონსტიტუციური კანონის შემდგომი ადგილი უკავიათ. ამდენად, მათი კონსტიტუციურობის შემონახვა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა საერთაშორისო ხელშეკრულებების საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში განსხვავებულია. სახელმწიფოთა ერთ ნაწილში დადგენილია საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებამდე (მაგ., რატიფიკაციამდე), ე.ი. – წინასწარი კონტროლი, რათა მათი ძალაში შესვლით გამოწვეული საკანონმდებლო ცვლილებები მოგვიანებით გამოუსწორებელ სამართლებრივ შეცდომად არ იქცეს. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება ბულგარეთი, უნგრეთი, რუსეთი, ესტონეთი, ალბანეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვა.

სახელმწიფოთა მეორე ნაწილში დადგენილია საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემონახვა მათი ძალაში შესვლის შემდეგ, მაგრამ, უმეტესად, მათ ასევე აქვთ საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის დადგენის უფლებამოსილება მაშინაც, როცა მათი სავალდებულობა სახელმწიფოს ჯერ არ უღიარებია. ე.ი. ამ სახელმწიფოებში დაიშვება საერთაშორისო ხელშეკრულებების როგორც წინასწარი, ისე შემდგომი კონტროლი. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება: ავსტრია, ავღანეთი, უკრაინა, ლიტვა, საბერძნეთი, საქართველო და სხვა.

ამდენად, საკონსტიტუციო კონტროლის როლი კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის, მისი უზენაესობის უზრუნველყოფისა და ერთგვაროვანი გამოყენების საქმეში უდავოდ დიდია, შესაბამისად, ამ მხრივ, მის უდიდეს მნიშვნელობაზე გაკეთებული შეფასებები საკმაოდ ბევრია. თავდაპირველ ეტაპზე ეს შეფასებები არ იყო ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მათ სწორედ ასეთი შინაარსი აქვთ. მოვიყვანოთ რამდენიმე შეფასებას, მაგ., სომხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გ. არუთიუნიანი აღნიშნავს, რომ

“დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირების უმაღლეს პრინციპს წარმოადგენს კონსტიტუციის უზენაესობა, რაც იმავდროულად არის საკონსტიტუციო კონტროლის ძირითადი შინაარსიც”.<sup>1</sup> აკეთებს რა საერთაშორისო გამოცდილების შედარებით ანალიზს, იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოთა ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს სამი ძირითადი საკითხი, რომელთა შორის უმთავრესია კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა, რომელიც ხორციელდება ძირითად კანონთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით.<sup>2</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მიდგომაც, კერძოდ, მეცნიერი ვ. დიაბლო აღნიშნავს, რომ “უპირველესად აუცილებელია იმ აზრისაგან გათავისუფლება, თითქოს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები წარმოადგენენ ლოგიკური მანქანის მსგავსს, რომელიც ასუფთავებს მიმდინარე კანონმდებლობას იმ კანონებისაგან, რომლებიც ლოგიკურად შეუთავსებელია კონსტიტუციასთან, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს მთელი კანონმდებლობის ძირითად ფუნდამენტთან”.<sup>3</sup> მას მიაჩნია, რომ გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს არ შეუძლია არ ჩაებას სოციალურ-კლასობრივი ურთიერთობების ორბიტაში და ამ ბრძოლაში არ შეასრულოს განსაზღვრული როლი – სოციალური ტექნიკის იარაღის როლი. მისი თქმით, “საკონსტიტუციო კონტროლი არის სავსებით მიზანშეწონილი ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციის საფუძვლების დაცვას და მოცემულ სახელმწიფოში გაბატონებულ სოციალურ ჯგუფებს შეუძლიათ წარმატებით გამოიყენონ იგი თავიანთი ძალაუფლების განსამტკიცებლად”.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Арутюнян Г.Г., Актуальные проблемы совершенствования системы конституционного правосудия в переходном обществе: пример Армении. “Конституционное правосудие”, Ереван, Выпуск 4(10), 2000, стр. 62.

<sup>2</sup> Арутюнян Г.Г., Демократические процессы и актуальные задачи конституционного правосудия в Республике Армения. “Конституционное правосудие”, Ереван, Выпуск 2(8), 2000, стр. 15.

<sup>3</sup> Дябло В.К., Судебная охрана Конституций. М., 1928, стр. 58-60.

<sup>4</sup> Дябло В.К., Судебная охрана Конституций. М., 1928, стр. 58-60.



ამ მხრივ საინტერესოა პროფ. ვ. მაკლაკოვის აზრი, რომლის მიხედვით: "სამართლებრივი უნიფიკაციისა და კონსტიტუციის ზუსტი დაცვის საჭიროებით აიხსნება საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის შექმნა უმრავლეს ბურჟუაზიულ და განვითარებად ქვეყნებში. ამით, ერთი მხრივ, მტკიცდება კონსტიტუციის მნიშვნელობა, მეორე მხრივ, ნებსდება მექანიზმი, რომელიც ძირითადი კანონის განმარტების გზით, მისი "სულისკვეთების" გამოვლინებით დაკავებულია ფაქტობრივად ნორმაშემოქმედებითი საქმიანობით".<sup>1</sup>

თუმცა ამგვარი შეფასების მიუხედავად, იგი დარწმუნებულია კონტროლის ინსტიტუტის პოლიტიკურ ბუნებაში და აღნიშნავს: "კონტროლის ინსტიტუტის პოლიტიკური დანიშნულება ნიღაბს იფარებს იურიდიულად მიუკერძოებელ, ვილაცის ინტერესებთან დაუკავშირებელ პროცედურაში".<sup>2</sup> და რომ "ასეთი ინსტიტუტის შექმნა პირდაპირ არის დაკავშირებული მმართველი კლასის პოლიტიკურ მოთხოვნებებთან".<sup>3</sup>

რუსეთში საკონსტიტუციო იუსტიციის მნიშვნელობის შეფასებისას პროფესორები გ. გაჯიევი და ვ. კრიაჟკოვი აღნიშნავენ, რომ "საკონსტიტუციო სასამართლო არის სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანული ინსტიტუტი... ზოგადდემოკრატიულ სამართლებრივ ღირებულებებზე ორიენტაციამ წარმოშვა საკონსტიტუციო სასამართლოს გამოჩენის პერსპექტივა რუსეთში... ამ სასამართლოს დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას კონსტიტუცია, კანონი და მოქალაქეთა უფლებები. მას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში "შეუსწოროს" კანონმდებელსა და მთავრობას, რომლებმაც რაიმე მიზეზის გამო რალაცაში გადაუხვიეს ძირითად კანონს".<sup>4</sup>

---

<sup>1</sup>) Маклаков В.В., Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах. М., 1988, стр. 3.

<sup>2</sup>) Маклаков В.В., Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах. М., 1988, стр. 3-13.

<sup>3</sup>) Маклаков В.В., Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах. М., 1988, стр. 3-13.

<sup>4</sup>) Гаджиев Г.А., Кряжков В.А., Конституционная юстиция в Российской Федерации: становление и проблемы. "Государство и право", 1993, №7, стр. 3.

ამრიგად, მიმდინარე კანონმდებლობის კონსტიტუციურობის უზრუნველყოფა სანინდარია არა მარტო კონსტიტუციის უზენაესობის შენარჩუნებისა და სამართლებრივი დაცვისა, არამედ, ზოგადად, ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერებისა და ნესრიგისა, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლი ყოველივე ამის მიღწევის საუკეთესო მექანიზმია.

## §5. საკონსტიტუციო კონტროლის სახეები

საკონსტიტუციო კონტროლის კლასიფიკაცია სახეებად ერთგვარად პირობით ხასიათს ატარებს, მაგრამ იგი შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს საერთო და განმასხვავებელი ნიშან — თვისებები სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს შორის კანონმდებლობის შემონმების პროცესში. კლასიფიკაცია ხდება განხორციელების დროის მიხედვით, სამართლებრივი შედეგების მიხედვით, ჩატარების საკალდებულობის მიხედვით, ფორმის მიხედვით და ა.შ.

განხორციელების დროის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს წინასწარი და შემდგომი.

წინასწარი ანუ პრევენციული კონტროლის დროს, აქტის კონსტიტუციურობის შემონმება ხდება მის ძალაში შესვლამდე.

წინასწარი კონტროლი მეცნიერთა უმრავლესობის მიერ უარყოფითად არის შეფასებული იმ მოტივით, რომ არის რეალური საფრთხე საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს პოლიტიზაციისა. როგორც პროფ. ი. ფუტკარაძე აღნიშნავს: “კონტროლის ე.წ. პრევენციული ფორმა გამოიწვევდა საკონსტიტუციო სასამართლოს საკანონმდებლო პროცესში ჩარევას და ამ გზით პორლიტიკაში ჩაბმას”.<sup>1</sup>

იტალიელი პროფესორის ჩეზარე პინელის აზრით “რაც უფრო მეტია საკონსტიტუციო კონტროლი, რომელიც წინ უსწრებს კანონის ძალაში შესვლას (იგი მას “აპრიორის” კონტროლს უწოდებს), მით უფრო ახლოს რჩება საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკურ საკითხებთან”.<sup>2</sup>

წინასწარ კონტროლს ასევე უარყოფითად აფასებს პროფ. გ.ენიკე, რომელსაც მის ნაკლოვანებად წარმოუდგენია ის, რომ კანონის კონსტიტუციურობის შემონმება დროის მიხედვით ძალიან ახლოა პარლამენტში მისი განხილვის მომენტთან და ამდენად, კონტროლის ორგანო აღმოჩნდება იმავე შთაბეჭდილების ქვეშ, რომელშიც თავად კანონმდებელი იმყოფება, ანუ მო-

<sup>1</sup> იაკობ ფუტკარაძე. საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი საკითხი. თურნ. “სამართალი”, 1996წ. №5-6. გვ. 26.

<sup>2</sup> ჩეზარე პინელი. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები, მოსამართლეების არჩევა. თურ. “ადამიანი და კონსტიტუცია”. 1997წ., №1, გვ. 34

ცემულ მომენტში კანონის მიღების აუცილებლობის დროს კონტროლის ორგანო, მისი აზრით, თანახმა იქნება დაეყრდნოს უფრო არსებულ სიტუაციას, ვიდრე ამას გააკეთებდა დროის განსაზღვრული შუალედის შემდეგ.<sup>1</sup>

დაახლოებით მსგავს აზრს ავითარებს პროფ. ჰ. შვარცი. მისი თქმით, "პრევენციული კონტროლი ზრდის საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიზებულობას. იგი უფრო ადვილად ააშკარავებს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან საკითხისადმი პოლიტიკურ მიდგომას".<sup>2</sup> იგი იმონებს საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს ყოფილი პრეზიდენტის რობერტ ბადინტიერის სიტყვებს, რომლის თანახმად, "ასეთ კონტროლს უმაღლეს მოჰყვება პოლიტიკური კონფლიქტი".<sup>3</sup>

პრევენციული კონტროლის მონინაალმდეგეთა აზრით, იგი არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის არსს. ძალაში შეუსვლელი კანონის უარყოფით კონტროლის ორგანო ფაქტობრივად ზემოქმედებს კანონმდებელზე. ასეთ დროს ირღვევა საკანონმდებლო პროცესისაგან სასამართლოს იზოლირების პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლო იქცევა მიმდინარე საკანონმდებლო პროცესის აქტიურ მონაწილედ. მათი აზრით, აუმოქმედებელი კანონის სანინაალმდეგო გადანყვეტილების გამოტანა, საკანონმდებლო ორგანოსათვის ფაქტობრივად კანონმდებლობის შეცვლის ბრძანებაა, რომელიც ხშირად იმ მინიშნებასაც კი შეიცავს, თუ როგორ უნდა შეიცვალოს იგი.

მეცნიერი ვ. დიაბლო წინასწარი კონტროლის გამოყენების თავისებურ რეკომენდაციასაც კი გვთავაზობს, რომლის მიხედვით "ის წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული მხოლოდ პატარა სახელმწიფოებში არართული კანონმდებლობით. განვითარებულ კანონმდებლობაში კი წინასწარი კონტროლი შეაფერხებდა საკანონმდებლო მუშაობას".<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Нудель М. А., Конституционный контроль в капиталистических государствах. М., 1968, стр. 116-117.

<sup>2</sup> შვარცი ჰერმან. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003 წ. გვ. 70.

<sup>3</sup> შვარცი ჰერმან. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003 წ. გვ. 70.

<sup>4</sup> Дьябло В. К., Судебная охрана Конституций. М., 1928, стр. 52.

მტკიცებას, რომ წინასწარი კონტროლი არის ჩარევა საკანონმდებლო პროცესში, ეწინააღმდეგება პროფ. ვ. მაკლაკოვი, რომელიც პარალელს ავლებს სახელმწიფოს მეთაურის უფლებასთან — დაუბრუნოს პარლამენტს კანონპროექტი ხელახალი განხილვისათვის, ე.ი. გამოიყენოს შეყოვნებითი ვეტო. აქვე იგი მიუთითებს, რომ “შემდგომი კონტროლი რამდენადმე ამცირებს საკანონმდებლო ორგანოს ავტორიტეტს საზოგადოების თვალში”.<sup>1</sup>

როდესაც წინასწარ კონტროლს განიხილავენ საკანონმდებლო პროცესში შეჭრისა და, აქედან გამომდინარე, პარლამენტის სუვერენული უფლებების შეზღუდვის ცდად, მთლად საფუძვლიანი არ უნდა იყოს.

როცა კონტროლი ხორციელდება უკვე მიღებული კანონის მიმართ, ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტმა თავისი სუვერენული უფლება კანონშემოქმედებაზე უკვე განახორციელა, გამოხატა თავისი ნება და მიიღო კანონი. ამ დროს საკანონმდებლო პროცესი დასრულებულია, მაგრამ კანონი ძალაში არ არის შესული. წინასწარი კონტროლის მიზანი უნდა იყოს ერთი: მიღებული კანონი სრულ შესაბამისობაში მოდიოდეს კონსტიტუციასთან და არ დაუშვას წინააღმდეგობის შემთხვევაში მისი ამოქმედება. კონტროლს უნდა დაექვემდებაროს კანონის მხოლოდ სამართლებრივი ასპექტები, მისი კონსტიტუციურობა და არა კანონის არსებითი პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც თავიდან აგვაცილებს კონტროლის ორგანოს პოლიტიზებას, მაგრამ რეალურად ამის მიღწევა საკმაოდ რთულია. ეს ბევრ ფაქტორზე არის დამოკიდებული — ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებით დანყებულნი და კონტროლის ორგანოს ავტორიტეტით დამთავრებული.

ყოველი კანონი მეტ — ნაკლებად პოლიტიკურ ძალთა შორის მიღწეული კომპრომისის ამსახველია და, ცხადია, მასში რაიმე კორექტირების შეტანა, თუნდაც კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის მხრიდან გარკვეულ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ეს კი კონტროლის ორგანოს ნებით თუ უნებლიეთ ჩააბამს პოლიტიკურ პროცესებში, რაც აბსოლუტურად სცდება მის არსსა და დანიშნულებას.

---

<sup>1</sup> Махлаков В. В., Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах. М., 1988, стр. 22

როდესაც აქცენტი გაკეთებულია პრევენციული კონტროლის დროს საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიზებაზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ამგვარი საფრთხე სრულიად რეალურად შეიძლება დადგეს შემდგომი კონტროლის დროსაც, ანუ, როცა კანონშემოქმედებითი ორგანო დაასრულებს საკანონმდებლო პროცესს, ხოლო სასამართლო გამოიჭანს გადანყვეტილებას უკვე ძალაში შესული კანონის გასაუქმებლად, პოლიტიკური პრობლემების წინაშე იგი შეიძლება მაინც აღმოჩნდეს.

აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ პრევენციული კონტროლი საუკეთესო საშუალებაა ქვეყნის სამართლებრივი უსაფრთხოებისა. პრობლემური საკითხების (იგულისხმება არაკონსტიტუციური კანონის მიღების შემთხვევა) ადრეული გადაჭრა თავიდან აგვაცილებს იმ მოსალოდნელ საფრთხეს, რომელიც შეიძლება წარმოშვას უკვე ძალაში შესულმა, ამოქმედებულმა კანონმა.

წინასწარი კონტროლის უარყოფის ერთ—ერთ არგუმენტად შეიძლება მოშველიებულ იქნეს ის, რომ სანამ კანონი არ ამოქმედდება, მანამდე მას არა აქვს არავითარი ეფექტი, რომ სამართლებრივი შედეგები ჯერ არ დამდგარა, მაგრამ რეალურად ეს ყოველთვის ასე არ არის. კანონმა, რომელმაც გაიარა საკანონმდებლო პროცესის სტადიები, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა, შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს არსებულ ან მოსალოდნელ ურთიერთობებზე და არსებითად შეცვალოს კონკრეტულ პირთა და ორგანოთა საქმიანობა.

წინასწარი კონტროლი არ უნდა განვიხილოთ საზოგადოებრივი ურთიერთობების დროული ნორმატიული რეგულირების დამაბრკოლებელ გარემოებად. მაგალითად, შესაძლოა შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, როცა ახლად წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობა ნორმატიულ მონესრიგებას მოითხოვს, მაგრამ მოქმედ კანონმდებლობაში არ არის სათანადო ნორმა, ე.ი. საკანონმდებლო ხარვეზია. მის შესავსებად საჭიროა ნორმის მიღება და ამოქმედება მოხდეს შემჭიდროვებულ ვადებში, მაშინ, როცა აღნიშნული ნორმის წინასწარ კონტროლს დაქვემდებარებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მოცემული ურთ-

იერთობის დროულ მონესრიგებაზე. ეს პრობლემა მარტივად მოგვარებადი აღმოჩნდება წინასწარი კონტროლისათვის გონივრული ვადების დანესებით.

ეს პრობლემის ერთი მხარეა, მაგრამ, მეორე მხრივ, პოლიტიზაციის შიშის ფაქტორმა არ უნდა განაპირობოს კონსტიტუციის დაუცველობა მიმდინარე კანონმდებლობისაგან. შესაძლოა არსებობდეს რამდენიმე მიზეზი, მათ შორის, ყველაზე მეტად, პოლიტიკური მიზეზი, რომელიც კანონშემოქმედებისას განაპირობებს პარლამენტართა გულგრილობას კონსტიტუციური მოთხოვნებისადმი, რაც საბოლოოდ გამოვლინდება არაკონსტიტუციური კანონის მიღებაში. ასეთ შემთხვევაში კონტროლის ორგანოს უნდა ჰქონდეს სათანადო რეაგირების შესაძლებლობა.

მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, სადაც წინასწარი კონტროლი კონსტიტუციურად აღიარებულია. მაგალითად, საფრანგეთი და საფრანგეთის ყოფილი კოლონიების ბაზაზე წარმოშობილი სახელმწიფოები (კამერუნი, მავრიტანია, მალაგასის რესპუბლიკა და სხვა), ირლანდია, მაროკო, ბოლივია, ვენესუელა, კოლუმბია, კოსტა—რიკა, ნიკარაგუა, პანამა და ა.შ.

ირლანდიაში, სადაც საკონსტიტუციო კონტროლს უზენაესი სასამართლო ახორციელებს, წინასწარი კონტროლი ვრცელდება პარლამენტის ორივე პალატის მიერ მიღებულ და პრეზიდენტისათვის ხელმოსანერად გადაცემულ კანონპროექტებზე. თუ უზენაესი სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ კანონპროექტის რომელიმე დებულება კონსტიტუციის საწინააღმდეგოა, პრეზიდენტს არ ექნება მისი პრომულგაციის შესაძლებლობა.

წინასწარ კონტროლს ითვალისწინებს უნგრეთის კანონმდებლობაც. კერძოდ, ტრიბუნალი უფლებამოსილია შეამოწმოს პარლამენტის მიერ მიღებული, მაგრამ გამოუქვეყნებელი კანონები აბსტრაქტული კონტროლის გზით. სწორედ ეს იქცა ერთ—ერთ საფუძვლად ტრიბუნალის პოლიტიზებისა. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ სოლიომმა წინაწარ აბსტრაქტულ კონტროლს "კონტროლის ყველაზე უფრო გაუგებარი ფორმა" უწოდა, რადგან ამ დროს სასამართლო შეიძლება მოექცეს საკანონმდებლო პროცესის და არსებული პოლიტიკური კონფლიქტის ცენტრში. ამიტომ სასამართლომ 1991 წელს გადანყვიტა აღარ განეხილა კანონპროექტები და განაცხ-

ადა, რომ "საკონსტიტუციო სასამართლო მრჩეველი კი არ არის, არამედ პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის მოსამართლეა".<sup>1</sup> ამის გათვალისწინებით, 1998 წელს პარლამენტმა გააუქმა ნორმათა სავალდებულო პრევენციული კონტროლი და დასაშვებად მიიჩნია იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს პრეზიდენტი ან მთავრობა კანონის მიღების შემდეგ, მაგრამ მის გამოქვეყნებამდე.

წინასწარი კონტროლის სახე განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული საფრანგეთის მოქმედ 1958 წლის კონსტიტუციაში. კერძოდ, მისი 61-ე მუხლის მიხედვით, ორგანული კანონები გამოქვეყნებამდე, ხოლო პარლამენტის პალატების რეგლამენტები ძალაში შესვლამდე წარედგინება საკონსტიტუციო საბჭოს, რომელიც გამოთქვამს აზრს მათი კონსტიტუციურობის შესახებ. წინასწარ კონტროლს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება დაექვემდებაროს ჩვეულებრივი კანონებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილი ქვეყნებისა იყენებს როგორც წინასწარ, ასევე შემდგომ კონტროლსაც. მაგალითად, ავსტრია, ირლანდია, იტალია, ბოლივია, უნგრეთი, რუმინეთი, პოლონეთი, ბულგარეთი და სხვა.

უფრო მეტად გავრცელებულია შემდგომი, ანუ რეპრესიული კონტროლი, რომელიც გულისხმობს აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას მისი ძალაში შესვლის შემდეგ. იგი გამოიყენება ამერიკაში, გერმანიაში, რუსეთში, თურქეთში, სლოვაკეთში, პორტუგალიაში, ესპანეთში, საქართველოსა და ა.შ.

კონტროლის ეს სახე მეცნიერთა მხრიდან უფრო ნაკლებ კრიტიკას იმსახურებს, რადგან იგი არ უკავშირდება უშუალოდ საკანონმდებლო პროცესს. ამ დროს კანონი უკვე მიღებული, გამოქვეყნებული და ძალაში შესულია. თავიანთი სუვერენული უფლებები გამოხატული და დაცული აქვთ პარლამენტსა და პრეზიდენტს.

შეიძლება ითქვას, რომ შემდგომი კონტროლი ხასიათდება წინასწარი კონტროლის დადებითი და უარყოფითი მხარეების ნარევით. ამ შემთხვევაში სასამართლოს უკეთესი საშუალება აქვს განსაჯოს, როგორ მუშაობს კანონი რეალურ ცხოვრება-

---

<sup>1</sup> ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003 წ. გვ. 144.



ში, რათა მისი კონტროლი არ იყოს აბსტრაქტული და მხოლოდ ტექსტის გადასინჯვით შემოფარგლული. გარდა ამისა, საპარლამენტო განხილვის დროს შესაძლოა კანონპროექტი კონსტიტუციას არ ენინააღმდეგებოდა, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ფაქტობრივი და სამართლებრივი სიტუაციის ცვლილების გამო, მან მიიღო კონსტიტუციის სანინააღმდეგო ხასიათი. ამდენად, შემდგომი კონტროლის როლი კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანია.

მეორე მხრივ, შემდგომი კონტროლის დროს კონტროლის ორგანოზე შეიძლება გავლენა მოახდინოს კანონის პოპულარობამ, მისმა პოლიტიკურმა და სოციალურ—ეკონომიკურმა ფონმა და ამის გამო დაიჩრდილოს წმინდა სამართლებრივი ასპექტები.

თუ ამოქმედებული კანონის კონტროლი დიდი ხნით გადაიდო, ამან შეიძლება გამოიწვიოს არსებული ურთიერთობების დესტაბილიზაცია და შეარყიოს სამართლებრივი უსაფრთხოება. ასეთი მდგომარეობა შეიძლება განსაკუთრებით გამწვავდეს, თუ გადაწყვეტილებას მიეცემა უკუქმედების ძალა და შეეხება უკვე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში კონტროლის ორგანო საკმაოდ პასიურია და ფაქტობრივად დამკვირვებლის როლს თამაშობს. იგი გულგრილად ეკიდება კონსტიტუციურ ნორმათა დარღვევის თუნდაც რეალურ ფაქტებს და იმყოფება ერთგვარი “მომლოდინეს” პოზიციაში. ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლი ვერ მიიჩნევა კონსტიტუციის დაცვის რეალურ და აბსოლუტურ გარანტად, ვინაიდან მას არანაირი რეაგირების შესაძლებლობა არა აქვს. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერთა ნაწილს უფრო მისაღებად მიაჩნია შემდგომი კონტროლის მექანიზმი განსაკუთრებული პრაქტიკული მიზეზების გამო, რომლებიც გამომდინარეობს წინასწარი კონტროლის სფეროში არსებული სასამართლო გამოცდილებიდან.

ზოგჯერ შემდგომი კონტროლის ნაირსახეობად თვლიან აბსტრაქტულ და კონკრეტულ კონტროლს (მ. ნუდელი<sup>1</sup>, ვ.თუმანოვი<sup>2</sup>)

<sup>1</sup> Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах. М., 1968, стр 115-116.

<sup>2</sup> Туманов В.А., К критике концепции “Судейского право”. “Советское государство и право”, 1980, №3. стр 11.

აბსტრაქტული კონტროლის დროს აქტის კონსტიტუციურობა მონმდება კონკრეტულ სამართალწარმოებაში ან, საერთოდ, სამართლებრივ ურთიერთობაში მისი გამოყენების მიუხედავად. ცხადია, როცა კანონი არ გამოქვეყნებულა და არ შესულა ძალაში, იგი ვერ იქნება გამოყენებული კონკრეტულ სამართალწარმოებაში, კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში. ამიტომ, როცა კანონის მიმართ ხორციელდება წინასწარი კონტროლი, იგი ყოველთვის აბსტრაქტული ფორმისაა. აქედან გამომდინარე, არ უნდა იქნეს გაზიარებული მოსაზრება აბსტრაქტული კონტროლის შემდგომი კონტროლის ნაირსახეობად მიჩნევის შესახებ.

აბსტრაქტული კონტროლი ერთნაირად თავსდება როგორც წინასწარი, ისე შემდგომი კონტროლის ბუნებაში. როცა კანონი უკვე ძალაშია შესული, იგი შეიძლება შემონმდეს აბსტრაქტული კონტროლის ფორმით, ანუ იგი შეიძლება შემონმდეს ყოველგვარი კონკრეტული სამართალურთიერთობის არსებობის გარეშე. კონტროლის ეს ფორმა გამოიყენება კონტინენტური სამართლის სახელმწიფოთა უმრავლესობაში (იტალია, ესპანეთი, ავსტრია, პორტუგალია და სხვა). კონტროლის ინიციატივა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სუბიექტს აქვს: პრეზიდენტს, პარლამენტის ნევრთა ნაწილს და ა.შ. მათ რიცხვში შეიძლება თავად კონტროლის ორგანოც იყოს (მაგ. , საფრანგეთი, ავსტრია).

აბსტრაქტული კონტროლი შესაძლებლობას იძლევა აქტის კონსტიტუციურობა შემონმდეს მთლიანობაში ისე, რომ საჭირო არ იყოს უფლებადარღვეული პირის ან სხვა შესაბამისი სუბიექტის მიმართვა კონტროლის ორგანოსადმი. შემონმების ამგვარი ფორმა უფრო დაცულს ხდის კანონის მომხმარებელს მოსალოდნელი დარღვევისაგან.

როგორც დოც. პ. ცნობილაძე აღნიშნავს, აბსტრაქტულ საკონსტიტუციო კონტროლს განსაზღვრული უპირატესობა აქვს კონკრეტულ საკონსტიტუციო კონტროლთან შედარებით. მისი აზრით, აბსტრაქტული კონტროლი, ჯერ ერთი, საშუალებას იძლევა გაცილებით ფართოდ შევხედოთ სადავო აქტის კონსტიტუციასთან თანაფარდობას; მეორეც, უზრუნველყოფს კონტრ-

ოლის ერთიანობას, და მესამე, უკეთ პასუხობს ხელისუფლების დანაწილების იდეას“.<sup>1</sup>

რაც შეეხება კონკრეტულ კონტროლს, იგი გულისხმობს აქტის კონსტიტუციურობის შემონახვას კონკრეტულ სამართალწარმოებაში ან სამართლებრივ ურთიერთობაში მის გამოყენებათან დაკავშირებით, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქტის კონსტიტუციურობის შემონახვის საკითხის წამოჭრა ხდება კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში, კონკრეტული საქმის განხილვისას მისი გამოყენების დროს.

კონკრეტული, ანუ ე.წ. ინციდენტური კონტროლი ფართოდ გამოიყენება საკონსტიტუციო კონტროლის დეცენტრალიზებული სისტემის მქონე სახელმწიფოებში, სადაც საერთო სასამართლოებს უფლება აქვთ კონკრეტული საქმის განხილვისას შეამოწმონ გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობა. კონტროლის ამ სახეს ვხვდებით აგრეთვე კონტინენტური სამართლის იმ ქვეყნებშიც, სადაც საერთო სასამართლოებს ეძლევათ უფლება, წარდგინებით მიმართონ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებს, რათა შეამოწმონ და გადაწყვიტონ იმ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი, რომელსაც ისინი იყენებენ სასამართლოში მიმდინარე კონკრეტული საქმის განხილვისას. კონტროლის ორგანოს შესაბამისი დასკვნის მიღებამდე საერთო სასამართლო აჩერებს სამართალწარმოებას მოცემულ საქმეზე.

კონკრეტული კონტროლი საკმაოდ ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში. ამერიკული მოდელის ქვეყნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სადაც საკონსტიტუციო კონტროლი სწორედ კონკრეტული კონტროლის სახით ხორციელდება, ევროპული მოდელის ქვეყნებშიც იგი ხშირად და ეფექტურად გამოიყენება. მაგ., გერმანიაში 1995 წლის მონაცემებით, კონკრეტული კონტროლის გზით აღძრულ 2 955 საქმეზე მიღებულ იქნა 973—მდე გადაწყვეტილება, საიდანაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 300-ზე მეტი სამართლებრივი ნორმა. მაშინ, როცა ამავე წლის მონაცემებით, აბსტრაქტული კონტროლის გზით აღძრულ 126 საქმიდან 71-ზე იქნა მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება.

---

<sup>1</sup> კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი. ცნობარი. ავტორ — შემდგენელი პ. ცნობილაძე. თბ. 1998 წ. გვ. 6.

უმალღესი სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება პირველად დაინერგა 1929 წელს ავსტრიის სასამართლო სისტემაში. მოგვიანებით ეს მოდელი გაიზიარა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა სახელმწიფომ და ეს უფლება გავრცელდა ყველა ინსტანციის სასამართლოზე.

როგორც პროფ. ჰ. შვარცი აღნიშნავს, "კონკრეტულმა კონტროლმა საკონსტიტუციო სასამართლო "ნეგატიური" ტრიბუნალიდან, რომელიც მიმართული იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებებზე უარის სათქმელად, შემოქმედებით ინსტიტუტად აქცია".<sup>1</sup> იგი იმონშებს ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, მოსამართლე ლუჯის ლოპეს გუერას განცხადებას, რომლის მიხედვით, კონკრეტული კონსტიტუციური კონტროლი იმაზე მეტია, ვიდრე ტექნიკა, რომელიც მიმართულია საპარლამენტო შეტევებისაგან კონსტიტუციის დასაცავად. იგი იქცა კონსტიტუციის განმარტების პროცედურად და იმ წესის შექმნის მექანიზმად, რომელიც გამოიყენება კონკრეტულ საქმეში.<sup>2</sup>

კონკრეტული კონტროლი ყოველთვის ატარებს შემდგომი კონტროლის ხასიათს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ იგი ქმნის კარგ შესაძლებლობას კანონმდებლობისაგან ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დასაცავად. მას ადგილი აქვს მაშინ, როცა ფიზიკური ან იურიდიული პირი თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართავს კონტროლის ორგანოს იმ სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნით, რომელმაც დაარღვია მისი უფლებები ან რომელიც ქმნის მისი უფლებების დარღვევის საფრთხეს.

როცა პირი სარჩელით მიმართავს კონტროლის ორგანოს არა საკუთარი, არამედ, საზოგადოდ, სხვათა უფლებების დასაცავად (კონკრეტული სუბიექტის მითითების გარეშე) და მოითხ-

---

<sup>1</sup> შერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003 წ. გვ. 79.

<sup>2</sup> შერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003 წ. გვ. 79.

ოეს იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც მისი აზრით არღვევს ან საფრთხეს უქმნის სხვათა უფლებებს, ასეთი შემთხვევა კონკრეტულ კონტროლად ვერ განიხილება, რადგან მას აქვს აბსტრაქტული კონტროლის ხასიათი. ასე მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ოქტომბრის №1/16/304 განჩინებით არ იქნება მიღებული არსებითად განსახილველად მოქალაქე ვახტანგ ცხომელიძის კონსტიტუციური სარჩელი. სასამართლო კოლეგიის აზრით, მოსარჩელე მოცემულ შემთხვევაში არ იყო უფლებამოსილი სუბიექტი. განჩინებაში ვკითხულობთ: "არც კონსტიტუციურ სარჩელში არ არის აღნიშნული (ნაჩვენები) და ვერც განმწესრიგებელ სხდომაზე ვერ დაასაბუთა მოსარჩელემ, რომ სადავო ნორმებით ირღვევა ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს მისი კონსტიტუციური უფლებები. განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელემ განაცხადა, რომ სადავო ნორმები არღვევენ მოქალაქეთა უფლებებს ზოგადად, რაც მას, როგორც ადვოკატს, საფუძველს აძლევს შეიტანოს სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში".<sup>1</sup>

ასევე 2002 წლის 3 ივლისის №1/6/141 განჩინებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად მოქალაქეების მიხეილ ლოთვაძისა და გიორგი კონდრატიევის კონსტიტუციური სარჩელი შემდეგი გარემოების გამო: "მოქალაქეებს საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ მაშინ, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი. წარმოდგენილ კონსტიტუციურ სარჩელში თვით მოსარჩელების სათანადო უფლებების დარღვევაზე (ან შესაძლო უშუალო დარღვევაზე) არაფერი არაა ნათქვამი. ამის გათვალისწინებით, მ.ლოთვაძე და გ. კონდრატიევი მოცემულ შემთხვევაში უფლებამოსილ სუბიექტებად ვერ ჩაითვლებიან".<sup>2</sup>

<sup>1</sup> უურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“. 2004 წ., №4, გვ. 169-171.

<sup>2</sup> უურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“. 2002 წ., №3, გვ. 131-132.

იმ შემთხვევაში, როცა პირი სარჩელით მიმართავს კონტროლის ორგანოს არა საკუთარი, არამედ კონკრეტულად სხვისი უფლებების დასაცავად, რადგან მიაჩნია, რომ კონკრეტული ნორმით ირღვევა ან შესაძლოა დაირღვეს იმ პირის უფლებები, საქმე გვექნება კონკრეტულ კონტროლთან, მაგრამ მოსარჩელე ვერ ჩაითვლება უფლებამოსილ სუბიექტად (თუ დაშვებული არ არის "სახალხო სარჩელი"). ე.ი. კონკრეტული ნორმის გამოყენებისას ირღვევა ან შესაძლოა დაირღვეს კონკრეტული პირის უფლებები (კონკრეტული კონტროლის საფუძველი), მაგრამ სარჩელი შეაქვს არაუფლებამოსილ სუბიექტს. ასეთი შემთხვევები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში საკმაოდ ბევრია. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1997 წლის 10 იანვრის №2/17/1 განჩინებით საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად მოქალაქე ირაკლი ოქრუაშვილის კონსტიტუციური სარჩელი, რადგანაც მოსარჩელე თვლიდა, რომ დარღვეული იყო სხვა მოქალაქის (კ. ყურაშვილის) კონსტიტუციური უფლება.<sup>1</sup>

ასევე 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილებით ერთ—ერთ საკითხთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არაუფლებამოსილ სუბიექტად მიიჩნია და აღნიშნა: "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აღნიშნულ საკითხზე ვერ იღავებს, რადგანაც არ არის უფლებამოსილი სუბიექტი... იურიდიულ პირს სარჩელის შემოტანის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს მისი, როგორც იურიდიული პირის, უფლებები და თავისუფლებები კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებაში. რაც არ ნიშნავს, რომ მას ასევე უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს სხვათა უფლებების დასაცავად".<sup>2</sup>

სხვისი უფლებების დაცვა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებლობა აღიარებს ე.წ. "სახალხო სარჩელის" ფორმას ან ამისათვის არსებობს სპეციალური უფლებამოსილი სუბიექტი (მაგ. სახალხო დამცველი). ასე მაგალითად, 2003 წლის 16

<sup>1</sup> უფრ. „ადამიანი და კონსტიტუცია“. 1997 წ., №1, გვ. 38.

<sup>2</sup> უფრ. „ადამიანი და კონსტიტუცია“. 2002 წ., №4, გვ. 131.

დეკემბრის №1/5/193 გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგი ნორმები.<sup>1</sup>

კონტროლის განხორციელების სავალდებულობის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ სავალდებულო და ფაკულტატურ საკონსტიტუციო კონტროლს. პირველ შემთხვევაში აქტის კონსტიტუციურობა შემონმებას ექვემდებარება ვისიმე ნების მიუხედავად. მაგალითად, ნინასნარ სავალდებულო კონტროლს ექვემდებარება საფრანგეთის ორგანული კანონები და პარლამენტის პალატების რეგლამენტები.

დროის თვალსაზრისით სავალდებულო კონტროლი ფაქტობრივად ყოველთვის ხორციელდება აქტის ძალაში შესვლამდე, ვინაიდან, როცა კანონმდებლობით დადგენილია სამართლებრივი აქტების სავალდებულო შემონმების პროცედურა, იგი განხორციელებას ექვემდებარება მათ ძალაში შესვლამდე.

ფაკულტატურ კონტროლს ადგილი აქვს მაშინ, როცა მისი ჩატარება ვინმეს ნებაზეა დამოკიდებული. ეს შეიძლება იყოს უფლებამოსილი ორგანო, თანამდებობის პირი, ინდივიდი და სხვა. ფაკულტატური კონტროლი, რომელსაც აგრეთვე ინდივიდუალურ კონტროლსაც უწოდებენ, საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა განსაკუთრებით ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. დროის თვალსაზრისით იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტის ძალაში შესვლამდე, ისე აქტის ძალაში შესვლის შემდეგ.

როცა საუბარია პრეზიდენტის "უფლებაზე" მიმართოს კონტროლის ორგანოს კანონპროექტზე ხელმონერამდე, აქ იგულისხმება სწორედ ფაკულტატური კონტროლი, ანუ კონკრეტული სუბიექტის ნებით განხორციელებული შემონმება აქტის ძალაში შესვლამდე, ხოლო აქტის ძალაში შესვლის შემდეგ უფლებამოსილი სუბიექტის მოთხოვნით განხორციელებული შემონმება უფრო გავრცელებულ ხასიათს ატარებს. ფაკულტატური კონტროლი ფართოდ გამოიყენება ესპანეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, თურქეთში, პორტუგალიაში და ა.შ. თუმცა გასაჩივრებ-

<sup>1</sup> ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“. 2004 წ., №1, გვ. 156-160.

ის საგნის მიხედვით, ამ უფლების მქონე სუბიექტთა წრე განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

სამართლებრივი შედეგების მიხედვით, საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს საკონსულტაციო და დამდგენი.

საკონსულტაციო კონტროლის შედეგად მიღებულ დასკვნას არა აქვს სავალდებულო ხასიათი და, შესაბამისად, არ იწვევს არაკონსტიტუციური აქტის ბათილად ცნობას. მას აქვს მხოლოდ საკონსულტაციო — სარეკომენდაციო ხასიათი და მხარეებისათვის (ამ შემთხვევაში აქტის მიმღები, გამომცემი სუბიექტისათვის) არ იწვევს არანაირ ვალდებულებას. მისი გათვალისწინება ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს. დასკვნას აქვს უფრო მეტად მორალური, ვიდრე იურიდიული ძალა, რამდენადაც მისი გათვალისწინება ეფუძნება კონტროლის ორგანოს მორალურ ავტორიტეტს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია, დასკვნას არა აქვს არანაირი იურიდიული ძალა, მაგრამ მისი იურიდიული მნიშვნელობის უგულებელყოფა დაუშვებელია, რადგან დასკვნის განხილვა სავალდებულოა იმ სუბიექტებისათვის, ვინც უნდა გადაწყვიტოს კანონპროექტის შემდგომი ბედი. საკონსულტაციო კონტროლი გამოიყენება ფინეთში, შვეციაში, ავსტრალიაში, აშშ — ის ზოგიერთ შტატში, ბელგიაში, კანადაში და ა.შ.

საკონსულტაციო კონტროლის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო საბჭოს მიერ განხორციელებული კონტროლი ბელგიაში, რომელიც სარგებლობს უფლებით, გამოთქვას საკუთარი აზრი მისთვის წარდგენილი აქტების კონსტიტუციურობის შესახებ.

საკონსულტაციო კონტროლი ძირითადად ატარებს წინასწარი კონტროლის ხასიათს, ანუ კონტროლის ორგანო აქტის კონსტიტუციურობის შესახებ თავის აზრს გამოთქვამს მის ძალაში შესვლამდე. თუმცა “კონტროლი” ამ შემთხვევაში ატარებს მხოლოდ პირობით ხასიათს, რადგან როგორც ავლნიშნეთ, კონტროლის ორგანო შემოიფარგლება მარტოოდენ თავისი აზრის გამოთქმით.

საკონსულტაციო კონტროლს საკანონმდებლო პროცესის ძალიან ადრეულ სტადიაზეც შეიძლება შევხვდეთ. არის ქვეყნები (ფინეთი, ნორვეგია, შვეცია, ავსტრალია, ინდოეთი, ლიხ-



შტეინი, სალვადორი, ნიკარაგუა და ა.შ.), სადაც კანონპროექტის მომზადების ან მისი განხილვის პროცესში ხდება კონტროლის ორგანოს აზრის გაგება კანონპროექტის კონსტიტუციურობის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კონტროლის ორგანოს შეფასება ამ შემთხვევაში ატარებს საკონსულტაციო ხასიათს, იგი მაინც ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს და განიხილოს საკანონმდებლო პროცესში ჩარევად, რაც ერთმნიშვნელოვნად აკნინებს როგორც პარლამენტის სუვერენიტეტს, ისე საკონსტიტუციო კონტროლის მნიშვნელობას.

ცალკეული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე აზრის გამოსათქმელად კონტროლის ორგანოს ძირითადად მიმართავენ პრეზიდენტები ან პარლამენტის ნევრთა ნაწილი. ასე მაგალითად, ვენესუელაში პრეზიდენტი კანონპროექტზე ხელმოწერამდე მიმართავს უმაღლეს სასამართლოს (რომელიც საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოცაა) მისი კონსტიტუციურობის შესამოწმებლად. ასევეა ფინეთში, სადაც პრეზიდენტმა შეიძლება წერილობითი შეკითხვით მიმართოს უმაღლეს სასამართლოს სეიმის მიერ მიღებული და მისთვის ხელმოსაწერად გადაცემული კანონპროექტების კონსტიტუციურობის თაობაზე აზრის გასაგებად. აგრეთვე, თუ ინდოეთის პრეზიდენტი ჩათვლის, რომ მიზანშეწონილია უზენაესი სასამართლოსაგან დასკვნის მიღება, უფლებამოსილია მიმართოს შეკითხვით უზენაეს სასამართლოს, რომლის დასკვნა პრეზიდენტისათვის სავალდებულო არ არის. 1992 წელს პოლონეთის პრეზიდენტს უფლება მიეცა პარლამენტის მიერ მიღებული აქტები მათ ხელმოწერამდე გადაეცა ტრიბუნალისათვის კონსტიტუციურობის შემოწმების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ კონტროლის ორგანოს უარყოფითი დასკვნა კონკრეტულ კანონპროექტზე ხშირად ხდება პრეზიდენტის მხრიდან ვეტოს გამოყენების საფუძველი. შესაძლოა მოხდეს ისეც, რომ ვეტოს დადების შემდეგ პარლამენტის მხრიდან იქნეს გამოთხოვილი კონტროლის ორგანოს დასკვნა აქტის კონსტიტუციურობის შესახებ. მაგალითად, თუ კოსტა — რიკის პრეზიდენტი არაკონსტიტუციურობის მოტივით ვეტოს ადებს საკანონმდებლო კრების მიერ მიღებულ კანონპროექტს, ამ უკანასკნელს უფლება აქვს კანონპროექტი გაუგზავნოს უზენაეს სასამართ-

ლოს (კონტროლის ორგანოს). თუ უზენაესი სასამართლო ხმათა უმრავლესობით ეთანხმება პრეზიდენტის ვეტოს მოტივაციას, მაშინ კანონპროექტი აცილებულად ითვლება, ხოლო, თუ სასამართლო არ ეთანხმება პრეზიდენტის მოტივაციას, კანონპროექტი უბრუნდება საკანონმდებლო კრებას ვეტოს დასაძლევად. ასევე კანადის უმაღლეს სასამართლოს შეუძლია მისცეს საკონსულტაციო დასკვნები სენატს ან თემთა პალატას წერილობითი შეკითხვით მიმართვის შემთხვევაში. ასეთივე წესი მოქმედებს ბელგიაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საკონსულტაციო კონტროლის ბუნება არ შეესაბამება კონტროლის ორგანოს სამართლებრივ დანიშნულებას. როგორც დოც. ავ. დემეტრაშვილი აღნიშნავს 'საკონსტიტუციო სასამართლო არ არის თუნდაც პარლამენტისთვის საკონსულტაციო ორგანო. ამ ფუნქციის დაკისრება მოუსპობდა მას იმუნური დაცვის შესაძლებლობას და ადვილად გახდებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა ზეგავლენის სარბიელად. ეს კი იქნებოდა საკონსტიტუციო კონტროლის ქმედითობის დაყვანა ნულოვან მაჩვენებლამდე'.<sup>1</sup> ამავ აზრს იზიარებს მეცნიერთა დიდი ნაწილი, მაგრამ არსებობს განსხვავებული აზრიც, რომლის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო კომპეტენტური იურიდიული მრჩეველია, რომელიც კონსულტაციების გზით ცდილობს დაეხმაროს პარლამენტს საკანონმდებლო საქმიანობას. პროფ. მ. ნუდელის აზრით "კანონების კონსტიტუციურობის ქვეყნებში, მხოლოდ საკონსულტაციო კონტროლი არ არის დაკავშირებული პარლამენტის უზენაესობის შეზღუდვასთან, რმდენადაც დასკვნა ატარებს საკონსულტაციო ხასიათს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება გააჩნია წარმომადგენლობით ორგანოს".<sup>2</sup>

ცხადია, როცა კონტროლის ორგანო წინასწარ გამოთქვამს თავის აზრს ამა თუ იმ კანონპროექტის კონსტიტუციასთან თანაფარდობის შესახებ, ბუნებრივია, უარყოფითი შეფასებისას იგი

---

<sup>1</sup> ავთანდილ დემეტრაშვილი. საკონსტიტუციო კონტროლის ქმედითობის პრობლემები. თურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 1997, №1. გვ. 30.

<sup>2</sup> Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах. М., 1968, стр 127.

გარკვეულ ბიძგს და საფუძველს აძლევს კანონპროექტის მონი-  
ნააღმდეგე მხარეს, მისი ძალაში შესვლის შემდეგ (რეპრესიული  
კონტროლის წესით) მიმართოს კონტროლის ორგანოს სასურ-  
ველი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ვინაიდან მხარისათვის  
უკვე წინასწარვეა ცნობილი მისი აზრი. ასევე უარყოფითად მო-  
ქმედებს კანონპროექტის დადებითი შეფასება, რადგანაც კანო-  
ნის მიღებით უკმაყოფილო მხარეს ალარ უწინდება სურვილი მი-  
მართოს კონტროლის ორგანოს კანონის არაკონსტიტუციურად  
ცნობის მიზნით.

არამართებულად უნდა შეფასდეს საკონსტიტუციო კონ-  
ტროლის ორგანოს წევრის (თავმჯდომარის, წარმომადგენლის)  
მიერ არაოფიციალურად (პრესით, ტელევიზიით და ა.შ) გაკეთე-  
ბული შეფასება განსახილველი კანონპროექტის ან უკვე მიღე-  
ბული (მოქმედი) კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე, რად-  
განაც ის შეიძლება გახდეს საკონსტიტუციო სამართალწარმოე-  
ბის საფუძველი. ასევე მათ თავი უნდა შეიკავონ გადაწყვეტილებ-  
ის შესახებ საჯარო განცხადებებისაგან, მისი "ახსნის" ან "გამა-  
რთლების" მიზნით, არა მარტო საქმის გადაწყვეტამდე, არამედ  
მისი გადაწყვეტის შემდეგაც, რადგანაც მან შეიძლება გამოი-  
წვიოს ამ საქმეების გარშემო არსებულ პოლიტიკურ ბატალიებ-  
ში კონტროლის ორგანოს ჩაბმა.

დამდგენი, ანუ დადგენილებითი საკონსტიტუციო კონტრ-  
ოლის დროს კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილება აქტის კონ-  
სტიტუციურობის ან არაკონსტიტუციურობის თაობაზე  
სავალდებულო ხასიათისაა. თუ აქტი ცნობილ იქნა არაკონსტი-  
ტუციურად, იგი კარგავს იურიდიულ ძალას. ხშირად ასეთი გადა-  
წყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.  
სწორედ კონტროლის ეს სახე გამოიყენება ქვეყნების უმრავლესობის მიერ, მაგრამ არსებობენ ქვეყნები (რუმინეთი, პოლონე-  
თი, პორტუგალია), სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადა-  
წყვეტილება შეიძლება შეცვალოს პარლამენტმა ხმათა კვალი-  
ფიციური უმრავლესობით, თუმცა პოლონეთის 1997 წლის კონ-  
სტიტუციამ უარყო სეიმის მიერ გადაწყვეტილებების გაუქმების  
უფლება. ეს აკრძალვა ატარებდა დროებით ხასიათს.

რუმინეთში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვე-  
ტილებას პარლამენტი აუქმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

სასამართლოს გადაწყვეტილება აუქმებს პარლამენტის მიერ მიღებულ, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ აქტს. პარლამენტი არ არის უფლებამოსილი გადასინჯოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც აუქმებს უკვე ამოქმედებულ კანონებს.

სრულიად საპირისპირო უფლება მოიპოვა პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალმა 1995 წელს. კერძოდ, პრეზიდენტი ტრიბუნალს წარუდგენს სეიმის მიერ მიღებულ კანონპროექტს, რომელსაც თვითონ არ აწერს ხელს. თუ ტრიბუნალი კანონპროექტს არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, მისი გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და სეიმის მხრიდან გადასინჯვას აღარ დაექვემდებარება, ხოლო სეიმს რჩება უფლება გადასინჯოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება უკვე ხელმოწერილი და გამოუქვეყნებელი კანონების გაუქმებას. ამრიგად, აღნიშნული ცვლილებებით განმტკიცდა პრეზიდენტის უფლებამოსილება, ვინაიდან საშუალება მიეცა ისე დაებლოკა სეიმის მიერ მიღებული კანონპროექტი, რომ არ შექმნილიყო მომავალში ვეტოს დაძლევის საფრთხე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ტრიბუნალის მიერ მრავალი კანონის მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმებისა, სეიმმა ბევრჯერ ვერ შეძლო გადაწყვეტილების გასაუქმებლად ხმების საჭირო რაოდენობის მოგროვება. მოსამართლეები ყოველთვის სკეპტიკურად უყურებდნენ და აკრიტიკებდნენ სეიმის მიერ გადაწყვეტილებების გაუქმების უფლებამოსილებას, სწორედ ამან განაპირობა მოგვიანებით სეიმის უფლებამოსილების მნიშვნელოვანი შეკვეცა ამ სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუქმების შემთხვევები ძალიან მცირეა. კერძოდ, რუმინეთში ასეთი შემთხვევა საერთოდ არ ყოფილა, ხოლო პოლონეთში გარდამავალ პერიოდში გაუქმდა რვა გადაწყვეტილება.

საერთოდ, პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობა უარყოფითად უნდა შეფასდეს, რადგან გადაწყვეტილების საბოლოობა სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ—ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მისთვის ამ უფლების ჩამორთმევა ნიშნავს საკონსტიტუციო კონტროლისა და ხელისუფლების დანაწილების დოქტრინისადმი უნდობლობას.

ზოგიერთი მეცნიერი (ვ.დურდენევსკი) ერთმანეთისაგან განასხვავებს “გარეგან” და “შინაგან” კონსტიტუციურობას.<sup>1</sup> პირველ შემთხვევაში კანონი შეიძლება ანტიკონსტიტუციურად ჩაითვალოს, თუ მისი მიღების წესი არ შეესაბამება კონსტიტუციით დადგენილ მოთხოვნებს. ზოგჯერ კონტროლის ამგვარ სახეს ფორმალურ კონტროლსაც უწოდებენ, ე.ი. ამ დროს მონაშედეგა კონკრეტული აქტის მიღების პროცედურის სისწორე. ამგვარ შემთხვევას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც წინასწარი, ისე შემდგომი კონტროლის დროს. მაგალითად, ეკვადორში, ისევე როგორც კოსტა—რიკაში, თუ კანონის პრომულგაციის შემდეგ უზენაესი სასამართლო დაადგენს, რომ მისი შემუშავებისას არ იყო დაცული კონსტიტუციის რომელიმე ფორმალური მოთხოვნა, მას შეუძლია გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება კანონის მოქმედების შეჩერების შესახებ და საკითხი განსახილველად გადასცეს კონგრესს, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ასეთივე წესს ითვალისწინებს რუმინეთი და უნგრეთი. ამ ქვეყნებში არსებობს საპარლამენტო პროცედურების პრევენციული კონტროლი.

ფორმალური კონტროლი საკონსტიტუციო კონტროლის მნიშვნელოვანი სახეა. როგორც რუმინეთის სასამართლოს ზოგიერთმა გადაწყვეტილებამ ცხადყო, ამგვარმა შემთხვევამ შესაძლოა ბევრი კონსტიტუციური საკითხი წამოჭრას. განსაკუთრებით იმის გამო, რომ ევროპული კონსტიტუციები ხშირად საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავენ პარლამენტის საპროცედურო წესებს და ამით კონსტიტუციას მჭიდროდ უკავშირებენ მრავალ საკითხს.

საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტისადმი სკეპტიკურად განწყობილი მეცნიერებისათვის გარეგანი კონტროლი შედარებით უფრო მისაღები აღმოჩნდა, რადგან, როგორც მეცნიერი ვ.დიაბლო აღნიშნავს: “კანონების კონსტიტუციურობის “გარეგანი” შემოწმება არ არის საკანონმდებლო ხელისუფლების მოქმედებების შემოწმება, არამედ მხოლოდ კანონის არსებობის ფაქტის დადგენა”.<sup>2</sup> იგი იშველიებს სასამართლო სა-

<sup>1</sup> Дурденевский В. Н. Судебная проверка конституционности закона. “Научная юриспруденция”. 1992. 11(3). стр. 89

<sup>2</sup> Дябло В. К., Судебная охрана Конституций. М., 1928, стр. 56.

კონსტიტუციო კონტროლის პრინციპული მონინაალმდგის, პროფ. ვ. ორლანდოს აზრს, რომელიც მიუთითებს, რომ მოსამართლეები მაინც არიან ვალდებული დარწმუნდნენ გამოსაყენებელი კანონების ნამდვილობაში, ე.ი. შეამოწმონ დაცულია თუ რა კონსტიტუციური ფორმები. ასეთი შემომწმების გარეშე სასამართლო დაეხმება გადაჭირილიყო ისეთი აქტების საფუძველზე, რომლებიც არ არის კანონები, არამედ მხოლოდ რალაც შემთხვევითობის გამო იქნა გამოქვეყნებული როგორც კანონი, ან მხოლოდ შელამაზებულია ამ სახელწოდებით. ამგვარად, გარეგანი საკონსტიტუციო შემომწმება უნდა გამოიყენებოდეს ყველა სახელმწიფოში.<sup>1</sup>

პოზიცია იმის შესახებ, რომ გარეგანი კონტროლი, როგორც კანონის მხოლოდ არსებობის ფაქტის შემომწმება ფორმალურად და არა არსობრივად, დაკავშირებული საკონსტიტუციო კონტროლთან, არასწორია, რადგან კანონების გარეგანი კონტროლის დროსაც კი მონმდება კონსტიტუციის იმ მუხლების მოთხოვნების შესრულება და დაცვა, რომლებიც ითვალისწინებენ კანონების მიღებისა და ძალაში შესვლის პროცედურულ საკითხებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ფორმალური კონტროლის უფლება განიმტკიცა 2002 წლის 12 თებერვალს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, რომლის მიხედვით მას მიეცა უფლება განიხილოს და გადანყვიტოს საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების, გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხები. მანამდე მას ამის უფლება, როგორც ჩანს, არ ჰქონდა. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის №2/35 გადაწყვეტილება, სადაც ვკითხულობთ: “საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებს საკითხზე — შეესაბამება თუ არა “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის პროცედურული ხასიათის მოთხოვნებს რომელიმე სხვა კანონი, თუკი ასეთი მოთხოვნების შესახებ მს-

<sup>1</sup> Дябло В.К., Судебная охрана Конституций. М., 1928, стр. 56.

გავსი საკითხი კონსტიტუციაში არ ფიგურირებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციურ — სამართლებრივ საკითხთა გადანყვეტა<sup>1</sup>. როგორ უნდა გავიგოთ აღნიშნული განმარტება?

ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებს “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის პროცედურული ხასიათის მოთხოვნებთან რომელიმე სხვა კანონის შესაბამისობის შესახებ, ვინაიდან მას უფლება აქვს იმსჯელოს კანონის მხოლოდ კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, მაგრამ “თუკი ასეთი მოთხოვნების შესახებ” (ე.ი. პროცედურული ხასიათის მოთხოვნები — ბ.კ.) კონსტიტუციაში ფიგურირებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია თუ არა, რომ იმსჯელოს ამ პროცედურული ხასიათის მოთხოვნების დაცულობაზე (ფორმალური კონტროლის უფლება)? ამ კითხვაზე პასუხს შემდეგი წინადადება იძლევა: “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციურ — სამართლებრივ საკითხთა გადანყვეტა”. ამგვარი საკითხების გადანყვეტა მხოლოდ მატერიალური (შინაარსობრივი) კონტროლის გზით არ ხდება. აქ ერთდროულად უნდა იგულისხმებოდეს მატერიალური და ფორმალური კონტროლის შესაძლებლობა. თუ კონსტიტუცია ითვალისწინებს სამართლებრივი აქტის მიღების პროცედურულ საკითხებს (მიღების წესს, ხელმოწერის, გამოქვეყნების, ამოქმედებისა და სხვა საკითხებს), მაშინ აღნიშნული კონსტიტუციური მოთხოვნების დაცულობის შემოწმების უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს, ცხადია, უნდა ჰქონდეს, რადგან იგი ერთ—ერთი ფორმალური კონსტიტუციასთან სამართლებრივი აქტის შესაბამისობის დასადგენად. როგორც პროფ. ჯ. ხეცურიანი აღნიშნავს, “შესაძლებელია კონსტიტუციის დარღვევა არა მხოლოდ სამართლებრივი აქტის შინაარსით, არამედ მისი მიღების კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურების დარღვევითაც”.<sup>2</sup> ამდენად შესა-

<sup>1</sup> ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“. 1998 წ., № 1, გვ. 69.

<sup>2</sup> ჯონი ხეცურიანი. ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში. ჟურნ. “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2002, № 1. გვ. 13.

ბამის კანონმდებლობაში იმის საგანგებოდ მითითება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს კონსტიტუციასთან სამართლებრივი აქტების (საქართველოს მაგალითზე — საკანონმდებლო აქტებისა და პარლამენტის დადგენილებების) შესაბამისობის პროცედურული საკითხები, ზედმეტად მიგვაჩნია, ე.ი. ფორმალური კონტროლის უფლების აღიარება საკანონმდებლო დონეზე სავალდებულო არ უნდა იყოს.

საქართველოს კონსტიტუციის 66-ე, 67-ე და 68-ე მუხლები განსაზღვრავენ საკანონმდებლო აქტებისა და პარლამენტის დადგენილებების მიღების (ფართო გაგებით) პროცედურულ საკითხებს, რომელთა დარღვევით მიღებული შესაბამისი აქტი არაკონსტიტუციურად უნდა ჩაითვალოს. ასე მაგალითად, თუ პარლამენტის ნევრთა განსაზღვრული ჯგუფი სარჩელით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვს რომელიმე კანონის არაკონსტიტუციურად ცნობას, მაგალითად, კონსტიტუციის 68—ე მუხლთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა თქვას უარი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე იმ მოტივით, რომ მას უფლება არა აქვს ფორმალური კონტროლის განხორციელებისა (თუ შესაბამისი კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს ამგვარ კომპეტენციას).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ფორმალური კონტროლის უფლება განიმტკიცა 2002 წლის 12 თებერვალს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე. ამ საკითხთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ პრეზიდენტს და პარლამენტის ნევრთა განსაზღვრულ ნაწილს. სხვა მოსარჩელე არაუფლებამოსილ სუბიექტად მიიჩნევა. ასე მაგალითად, 2003 წლის 17 ნოემბრის №2/18/255 განჩინებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად მოქალაქე ვახტანგ სამხარაძის კონსტიტუციური სარჩელი. კოლეგიის განმარტებით “მოსარჩელე ვერ იქნება უფლებამოსილი სუბიექტი, რადგან საქართველოს საკანონმდებლო აქტების ამოქმედების საქართველოს კონსტიტუციასთან



შესაბამისობის საკითხებზე დავის უფლებამოსილება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, განსაზვრულ სპეციალურ სუბიექტთა წრეს გააჩნია“.<sup>1</sup>

რაც შეეხება საკანონმდებლო აქტებისა და პარლამენტის დადგენილებების გარდა სხვა ნორმატიულ აქტებს, ვინაიდან მათი მიღების პროცედურული საკითხები კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის, ხოლო “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის შემოწმება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას სცილდება, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლო უნდა დაეყრდნოს იუსტიციის სამინისტროს ცნობას სადავო აქტის ნორმატიულობის ან არანორმატიულობის შესახებ. რადგან იუსტიციის სამინისტრო ყველა ნორმატიულ აქტს ატარებს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში და კოდიფიკაციის სამსახურის მეშვეობით ადგენს მოქმედი ნორმატიული აქტების ერთიან ნუსხას (ცელილებებისა და დამატებების გათვალისწინებით), ამიტომ მისგან მიღებული ცნობა სადავო აქტის მოქმედ ნორმატიულ აქტად ჩათვლის შესახებ კომპეტენტურად უნდა მივიჩნიოთ. ასე მაგალითად, 2003 წლის 27 ოქტომბრის №2/16/251 განჩინებით არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად საქართველოს საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარის თემურ ჟორჯოლიანის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2003 წლის 21 სექტემბრის №37/2003 განკარგულების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლო იშველიებს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის წერილს, რომლის თანახმადაც, სადავო აქტი არ არის რეგისტრირებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში.<sup>2</sup> საკონსტიტუციო სასამართლო არ უნდა დაკავდეს სადავო აქტის “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენით. ამ მხრივ საინტერესოა 1998 წლის 29 იანვრის №1/1/72-73 გადაწყვეტილება, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო საქართველოს პარლა-

<sup>1</sup> ჟურნ. “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2004, №1. გვ. 149-152.

<sup>2</sup> ჟურნ. “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2003, №4. გვ. 194-196.

მენტის ნევრთა ჯგუფის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ "სკოლამდელ დანესებულებათა მუშაობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს განათლების მინისტრის 1997 წლის 30 სექტემბრის №469 ბრძანებით საქართველოს პარლამენტის კომპეტენციის დარღვევის თაობაზე. სასამართლო კოლეგიამ საჭიროდ მიიჩნია აღნიშნული ბრძანების ნორმატიულობის გარკვევა და გამოიკვლია ამ საკითხთან დაკავშირებული გარემოებანი. მან სადავო აქტის მიღების პროცედურული საკითხები შეამოწმა "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის მოთხოვნებთან და ამ მოთხოვნების დარღვევის გამო სასამართლომ დაადგინა: "აღნიშნული ბრძანება ვერ ჩაითვლება ნორმატიულ აქტად, ვინაიდან დარღვეულია მისი მომზადების, გამოქვეყნების, რეგისტრაციისა და ძალაში შესვლის წესები".<sup>1</sup> იგი იშველიებს 'ნორმატიული აქტების შესახებ' კანონის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით "თუ ნორმატიული აქტი მიღებულია (გამოცემულია) ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით ან დარღვეულია შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, ნორმატიულ აქტს არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილია". მართალია, სასამართლომ თვითონ არ სცნო ბათილად სადავო აქტი და ამ საკითხის განხილვა პრეზიდენტს სთხოვა, მაგრამ მან პრაქტიკულად განახორციელა ფორმალური კონტროლი, ოღონდ არა კონსტიტუციასთან მიმართებით, არამედ 'ნორმატიული აქტების შესახებ' კანონთან მიმართებით, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივა არ არის. იგი არ დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ სადავო აქტი იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული იყო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში (თუნდაც კანონის მოთხოვნების დარღვევით) და თვითონ გამოიკვლია მისი ნორმატიულობის საკითხი. ამ საქმესთან დაკავშირებით გამოთქმული მოსამართლის განსხვავებული აზრიდან გასაზიარებელია ის მომენტი, რომლის მიხედვით „სადავო აქტის ნორმატიულობის და მოქმედების საკითხის გარკვევისას საკონსტიტუციო სასამართლოსათვის არსებითი უნდა იყოს იუსტიციის სამინისტროს მიერ

<sup>1</sup> ურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 1998, №1. გვ. 96-97.

ნორმატიული აქტის სახელმწიფო რეესტრში გატარების ფაქტი“.<sup>1</sup>

რაც შეეხება “შინაგან“, ანუ მატერიალურ კონტროლს, ამ დროს მონაწილეა აქტის შინაარსობრივი მხარე, ანუ მისი არსის შესატყვისობა კონსტიტუციის დებულებებთან. ცხადია, საკონსტიტუციო კონტროლის დანიშნულება, უპირველეს ყოვლისა, არის სწორედ აქტების შინაარსობრივი, არსებითი შემოწმება კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით.

საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება ატარებდეს სრულ ან ნაწილობრივ ხასიათს. სრული კონტროლის დროს ხდება მთლიანი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება, ხოლო ნაწილობრივი კონტროლის დროს შემოწმებას ექვემდებარება აქტის მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი (მუხლი ან პუნქტი). წინასწარი და აბსტრაქტული კონტროლი უმეტესწილად სრული კონტროლის სახეს ატარებს, ხოლო შემდგომი და კონკრეტული კონტროლი, უფრო მეტად, ნაწილობრივი კონტროლის სახისაა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ზემოაღნიშნულ ყველა სახეს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი, ე.ი. თითოეული მათგანი ცალ—ცალკე კი არ ხორციელდება, არამედ კონტროლი ერთდროულად შესაძლოა რამდენიმე სახის განხორციელდეს. ასე მაგალითად, წინასწარი კონტროლი შესაძლოა ერთ შემთხვევაში ატარებდეს საკონსულტაციო, ხოლო მეორე შემთხვევაში დამდგენ ხასიათს. იგი შესაძლოა ერთ შემთხვევაში სავალდებულო იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში ფაკულტატური, მაგრამ იგი ყოველთვის აბსტრაქტულია.

რაც შეეხება შემდგომ კონტროლს, იგი ზოგჯერ აბსტრაქტულია, ზოგჯერ — კონკრეტული, მატერიალური ან/და ფორმალური, სრული ან ნაწილობრივი, მაგრამ ყოველთვის ფაკულტატური.

ამრიგად, საკონსტიტუციო კონტროლის სახეები, მიუხედავად მათი ერთგვარი პირობითი ხასიათისა, შესანიშნავ ნარმოდგენას ქმნიან საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივ ბუნებაზე, მის როლზე კონსტიტუციის უზენაესობის დაცვაში, საკანონმდებლო პროცედურების დახვეწაში, კანონმდებლობის სრულყოფისა და კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის საქმეში.

<sup>1</sup> ურნ. “ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, №1. გვ. 99.

## კონსტიტუციის დაცვა სასამართლო წესით

### §6. საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოთა ურთიერთობა ნორმათკონტროლის სფეროში

საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პირველი შემთხვევები საერთო სასამართლოების პრაქტიკაში გვხვდება, მაგრამ დღეისათვის ეს ფორმა ქვეყნების მხოლოდ ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა (ამერიკული მოდელის ქვეყნები), ხოლო ევროპასა და განსაკუთრებით პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ამ ფუნქციის განსახორციელებლად შეიქმნა სპეციალური ორგანოები, უმეტესად საკონსტიტუციო სასამართლოების სახით, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა.

სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა და კონსტიტუციური კონცეფცია მართლმსაჯულებას ურთიერთგანსხვავებულ როლს ანიჭებს. ფრანგული კონცეფციის თანახმად, მოსამართლეები არსებობენ იმიტომ, რომ კანონი გამოიყენონ და არა იმიტომ, რომ იგი გადასინჯონ. საერთო სამართლის კონცეფცია კი მოსამართლეებისაგან ითხოვს კონსტიტუციის გამოყენებას სამართალწარმოებისას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მოსამართლეს კონსტიტუციაზე დაყრდნობით შეუძლია უარი თქვას კანონის გამოყენებაზე.

ჯერ კიდევ კოლონიალიზმის ეპოქაში ამერიკის კონტინენტზე არსებობდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც მოსამართლეები უშუალოდ იყენებდნენ ცალკეული კოლონიების კონსტიტუციებს და ინგლისურ კონსტიტუციურ ტრადიციას ადგილობრივი კანონმდებლობის წინააღმდეგ. ამის გავლენით ჩამოყალიბდა მათში შეხედულება იმის შესახებ, რომ მოსამართლეების საქმეა განსაზღვრონ კონსტიტუციის შინაარსი. თუ კონსტიტუციასა და კანონს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა აღმოჩნდება, კონსტიტუციას უპირატესობა უნდა მიენიჭოს, ე.ი. ხალხის განზრახვას — მათი წარმომადგენლების განზრახვასთან შედარებით. ასეთი დასკვნა აშშ — ის კონსტიტუციის დამფუძნებლების აზრით, არ გულისხმობს სასამართლო ხელი-

სულების აღმატებულობას საკანონმდებლო ხელისუფლებაზე. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ, როდესაც კანონებში გაცხადებული პარლამენტის ნება უპირისპირდება კონსტიტუციით გამოხატულ ხალხის ნებას, მოსამართლეებმა ამ უკანასკნელით უნდა იხელმძღვანელონ.

ამერიკული მოდელი ემყარება იმას, რომ კანონის არაკონსტიტუციურობა შეიძლება განსაზღვროს ნებისმიერმა მოსამართლემ, რომელიც განიხილავს ამა თუ იმ საქმეს და თუ ეს კანონი მოცემულ საქმეში უნდა გამოიყენოს. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სხვადასხვა ინსტანციაში, უზენაესი სასამართლოს ჩათვლით. ამ უკანასკნელს უფლება აქვს განიხილოს ეს საქმე ან უარი თქვას განხილვაზე. ეს უარი გულისხმობს კონსტიტუციის ქვემდგომი სასამართლოსეული ინტერპრეტაციის მხარდაჭერას, მაგრამ ეს ნაგულისხმები მხარდაჭერა არ ნარმოადგენს პრეცედენტს უზენაესი სასამართლოსათვის. თუ საქმის განხილვისას იგი ამ კანონს არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, მას გადანყვეტილების მიღებისას აღარ გამოიყენებს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმულია მეცნიერების ბრაისისა და დიუგის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამერიკული სასამართლოები მხოლოდ და მხოლოდ არ იყენებენ არაკონსტიტუციურ კანონებს, მაგრამ თვითონ კანონი იურიდიულად რჩება ძალაში, ანუ იგი არ უქმდება.<sup>1</sup> განსხვავებულ პოზიციაზეა მეცნიერი ვ. დიაბლო, რომელიც აღნიშნავს, რომ "მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სასამართლო პრეცედენტების დიდი ავტორიტეტი ამერიკაში, რომლის ძალით არაკონსტიტუციურად აღიარებული კანონი ფაქტობრივად კარგავს ძალას".<sup>2</sup>

აშშ-ის სისტემა დაკავშირებულია კონკრეტულ საქმეებთან, რომელთა განხილვის პროცესშიც კანონების საკონსტიტუციო კონტროლს საერთო სასამართლოები ახორციელებენ. ვ. დიაბლოს შეფასებით "საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული სისტემა ნარმოადგენს ლოგიკურ დასკვნას ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან, რომელზედაც ანყობილია ამერიკული კონსტიტუცია. ამ პრინციპის თანახმად, საკანონმდებლო და

<sup>1</sup> Дябло В.К., Судебная охрана Конституций. М., 1928, стр. 46-47.

<sup>2</sup> Дябло В.К., Судебная охрана Конституций. М., 1928, стр. 46-47.

აღმასრულებელი ხელისუფლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან და ამიტომ საკანონმდებლო ხელისუფლებას არ შეუძლია დააძალოს სასამართლო ხელისუფლებას გამოიყენოს არაკონსტიტუციური კანონი, რომელიც დადგენილია უზენაესი დამფუძნებელი ხელისუფლების მიერ. მეორე მხრივ კი, სასამართლო ხელისუფლებას არა აქვს უფლება ჩაერთოს საკანონმდებლო საქმიანობაში. იგი არაკონსტიტუციურ კანონებს უარყოფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უნდა გადაიჭრას კონფლიქტები კონსტიტუციასა და ჩვეულებრივ კანონებს შორის. აქედან გამომდინარეობს, რომ სასამართლოები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში აფასებენ კანონების კონსტიტუციურობას, მაგრამ სპეციალურად არ არიან დაკავებულნი კანონმდებლობის კონტროლით. მათი ფუნქციები კონსტიტუციის დაცვაში ნარმოდგებიან როგორც სასამართლო ფუნქციების ანასხლეტები“.<sup>1</sup>

საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკულ მოდელს მიმდევრები ევროპაშიც გამოუჩნდნენ, მაგალითად, ნორვეგია, ირლანდია, საბერძნეთი და სხვა. თუმცა ნორვეგიაში რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არაკონსტიტუციურად არც ერთი კანონი არ გამოცხადებულა. მიუხედავად ამისა, ევროპული სამართალისათვის ამერიკული კონცეფცია თითქმის მიუღებელი აღმოჩნდა. მაგალითად, საფრანგეთის კონსტიტუციური ტრადიცია უარყოფითად აფასებდა საკონსტიტუციო კონტროლს, რადგან დიდი იყო შიში მოსამართლეთა კანონშემოქმედებისა და მათ მიერ ხელისუფლების უზურპაციისა, ე.ი. მოსამართლეთა აღჭურვა საკონსტიტუციო კონტროლის უფლებით პოლიტიკურად და სამართლებრივად სარისკო საქმედ ითვლებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიაში იქმნება საკონსტიტუციო სასამართლოები, რომლებიც მონოდებულნი არიან თვალყური ადევნონ კონსტიტუციების დაცვას, თუმცა ისინი თავდაპირველ ეტაპზე ნეგატიურ კანონმდებლად ან კონსტიტუციის დაცვის არაადეკვატურ სახელმწიფო ორგანოდაც მიიჩნეოდნენ. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწორედ ავსტრიული მოდელი აღმოჩნ-

---

<sup>1</sup> Дябло В.К., Судебная охрана Конституций. М., 1928, стр. 47.

და მისაღები გერმანიისა და იტალიისათვის, ასევე ესპანეთისა და პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობისათვის. მათ საერთო სასამართლოების სისტემის გარეთ შექმნეს სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოები, რითაც გაემიჯნენ ამერიკულ მოდელს.

ევროპის კონტინენტზე საერთო სასამართლოების მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლი ფეხს იკიდებს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. მაგალითად, საბერძნეთმა ჯერ კიდევ 1847 წელს მიანიჭა უზენაეს სასამართლოს საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების უფლება, ხოლო რუმინეთის ქვედა ინსტანციის სასამართლომ 1912 წელს ცნო კანონი არაკონსტიტუციურად ისე, რომ მას ამის კონსტიტუციური უფლება არ ჰქონდა. იგი მხოლოდ 1923 წლის კონსტიტუციით დაკანონდა.

მიუხედავად ცალკეული შემთხვევებისა, ევროპაში საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოს შექმნას უფრო მეტი მიმდევარი გამოუჩნდა, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მიზეზით ხსნიან. პირველი მიზეზი უკავშირდება ევროპაში სამართლის უმთავრეს წყაროდ კანონის აღიარებას და, აქედან გამომდინარე, ძირითადი კანონის — კონსტიტუციის დაცვისა და უზენაესობის უზრუნველყოფას, რაშიც სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოების როლი უალრესად დიდია საერთო სასამართლოებთან შედარებით. მეორე მიზეზად თვლიან ევროპის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა არაკომპეტენტურობას საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაში. მაგალითად, იტალიელი პროფესორის მ. კაპელეტის აზრით "კონტინენტური ევროპის მოსამართლეები ჩვეულებრივ წარმოადგენენ სასამართლო უწყების ჩინოვნიკებს, რომელთაც არ შესწევთ კანონმდებლობაზე კონტროლის განხორციელების უნარი, რაც თავისი არსით ყოველთვის შემოქმედებით ხასიათს ატარებს და მათი ტრადიციული ფუნქციებიდან ყოველთვის გაცილებით შორს დგას".<sup>1</sup> კიდევ ერთი მიზეზი უკავშირდება ევროპის მოსამართლეთა სპეციალიზაციის საკითხს. კერძოდ, თუ

---

<sup>1</sup> Cappelletti M. The Judicial Process in Comparative Perspective. L., 1982, p. 43.

საერთო სამართლის ქვეყნებში საკონსტიტუციო სამართალწარმოება განუყოფელია საერთო მართლმსაჯულებისაგან, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში არსებობს მოსამართლეთა სპეციალიზაციის ფართო სპექტრი.<sup>1</sup>

ვ. დიაბლო მიმოიხილავს რა საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკულ და ევროპულ სისტემებს (ამ უკანასკნელს იგი ჩეხურ სისტემას უწოდებს), აკეთებს შემდეგ დასკვნას. კერძოდ, მისი აზრით, 'ამერიკული სისტემისაგან განსხვავებით ჩეხური სისტემა არ შეიძლება შეთანხმებულ იქნეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, რადგან კანონების შემონმება ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ როგორც ამას აკეთებენ ამერიკული სასამართლოები. ჩეხური საკონსტიტუციო სასამართლო არის მარტოდენ კანონმდებლობის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო და, მაშასადამე, მის საქმიანობაში სასამართლო ფუნქცია ერწყმის საკანონმდებლოს, რაც ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების თეორიას'.<sup>2</sup>

ცხადია, ჩვენ ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო იმას, თუ ვინ ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს — სპეციალური სასამართლო თუ საერთო სასამართლო, არამედ ამ ფუნქციის განხორციელებისას დამდგარ სამართლებრივ შედეგს.

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საკონსტიტუციო კონტროლი ძირითადი და სპეციალური ფუნქციაა. იგი ამ ფუნქციას ასრულებს დაინტერესებული მხარის მოთხოვნით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ხოლო საერთო სასამართლოსათვის ეს ფუნქცია მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციის თანამდევია და ამდენად — არაძირითადი. თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი საქმეს იხილავს "შემთხვევით, საკუთარი ინიციატივით". თუ კონკრეტული საქმის განხილვისას გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობა ეჭვს გამოიწვევს, სასამართლო მის მიმართ განხორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს იმავდროულად და პარა-

---

<sup>1</sup> მელქაქეო, დვალიბ. საკონსტიტუციო ოუსტიცია — საზღვარგარეთის გამოცდილება. ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 2000, №3. გვ. 79.

<sup>2</sup> Дьябло В. К., Судебная охрана Конституций. М., 1928, стр. 48.



ლელურად, რაც არ ნიშნავს საკუთარი ინიციატივით მოქმედებას. საკუთარი ინიციატივა გულისხმობს საკონსტიტუციო კონტროლის პროცედურის დაწყებას ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად, კონკრეტული საქმის განხილვისა და მიმდინარე სამართალწარმოების მიუხედავად, რაც ამერიკული სისტემის შემთხვევაში არ ხდება. გარდა ამისა, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ნებისმიერი ფორმით განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლი იწვევს ნორმის კონსტიტუციურად ან არაკონსტიტუციურად ცნობას, აქედან გამომდინარე, თუ საერთო სასამართლოს მიერ განხორციელებული კონტროლი ჰარმონიაში მოდის ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, მაშინ გაუგებარია რატომ ენიშნა აღმდევება ამ პრინციპს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელებული კონტროლი და რატომ ერწყმის ამ შემთხვევაში სასამართლო ფუნქცია კანონშემოქმედებით ფუნქციას.

ცხადია, ორივე მოდელს (ამერიკულს და ევროპულს) აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ამდენად, არც ერთი მათგანი არ შეიძლება იქნეს მიჩნეული იდეალურად ან ცალსახად ერთი მეორეზე უპირატესად. თითოეული მოდელის ეფექტურობა დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, იგივე მეცნიერი ვ. დიაბლო იძლევა შემდეგ რეკომენდაციას: თუ კონსტიტუცია არეგულირებს უპირატესად მოქალაქეთა უფლებებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებას, ე.ი. ანყობილია ინდივიდუალურ სანყისებზე, მაშინ უპირატესია ამერიკული სისტემა, რადგან ამ შემთხვევაში კერძო პირები უშუალოდ იქნებიან დაინტერესებულნი კანონმდებლობის მკაცრად კონსტიტუციურობით. ხოლო თუ ინდივიდუალური სანყისები ასრულებენ უმნიშვნელო როლს კონსტიტუციაში და კონსტიტუცია ძირითადად შეიცავს სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციის საფუძვლებს ან ფედერაციული სახელმწიფოს წევრთა ურთიერთდამოკიდებულების წესს, მაშინ უფრო უპირატესია საკონსტიტუციო კონტროლი აენყოს ჩეხური ნიმუშით.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> Дябло В.К.. Судбная охрана Конституции. М., 1928, стр. 49.

არც ამ რეკომენდაციის გაზიარება იქნება უპრიანი, რადგან ევროპული მოდელი მართლაც შეიძლება აღმოჩნდეს უფრო ეფექტური სახელმწიფო ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილების უზრუნველყოფის საქმეში, მაგრამ იგივე მოდელი უფრო მეტად წარმატებულია მოქალაქისა და სახელმწიფო ხელისუფლების ურთიერთობის სფეროში. ამის დასტურია ის, რომ უმრავლეს ქვეყანაში ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი კონსტიტუციური უფლებების დასაცავად.

საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული და ევროპული მოდელები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ინსტიტუციურად, ასევე პროცესუალურად. მაგალითად, გამოვყოფთ რამდენიმე თავისებურებას:

საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელი ატარებს დიფუზურ ხასიათს, ანუ იგი ხორციელდება სამართალწარმოების სხვა ფორმის პარალელურად, მაშინ როცა ევროპული მოდელი კონცენტრირებული ხასიათისაა, ე.ი. იგი დამოუკიდებლად ხორციელდება ნებისმიერი სამართალწარმოებისაგან. ამ მხრივ, ევროპული მოდელის უპირატესობად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ იგი ორიენტირებულია მხოლოდ კონსტიტუციურ—სამართლებრივ პრობლემატიკაზე. “სპეციალური საკონსტიტუციო იურისდიქციის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს საქმის გარემოების გამოკვლევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურის რაციონალიზაციაში. საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ კონსტიტუციურ — სამართლებრივი საკითხების განხილვით და ეს თავიდან აცილებს მას იმავდროულად გადაწყვეტოს საკმაოდ რთული, სპეციალური საკითხები სამოქალაქო, სისხლისა და სამართლის სხვა სფეროებიდან. ასეთი სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ განსახილველი საქმეების კონსტიტუციურ — სამართლებრივ პრობლემატიკაზე, მით უმეტეს იგი არ არის ვალდებული განიხილოს მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც აღმოცენდება ჩვეულებრივი სამართალწარმოების კონკრეტული საქმეების კონტექსტში, რომლებსაც თავდაპირველად კონსტიტუციურ — სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა”.<sup>1</sup>

<sup>1</sup> პაატა ცნობილაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. თბ. 2000 წ. გვ. 241.

შემდეგი თავისებურება, რომელიც ამერიკულ მოდელს ახასიათებს არის ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლი ატარებს კაზუალურ ხასიათს, ე.ი. იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვის დროს. ამდენად, ამ მოდელისათვის უცხოა აბსტრაქტული კონტროლი, ანუ ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება კონკრეტულ სამართალურთიერთობაში მისი გამოყენების გარეშე, რაც გარკვეულწილად აკნინებს საკონსტიტუციო კონტროლის დანიშნულებას კონსტიტუციის დაცვის საქმეში.

ასეა თუ ისე, ბოლო ათწლეულში ამა თუ იმ ფორმით განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლი მთელს მსოფლიოში დამკვიდრდა. მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ რომელი ფორმით ხორციელდება იგი (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორივე ფორმა შეიძლება იყოს თანაბრად წარმატებული), არამედ ის, უნდა ჰქონდეთ თუ არა საერთო იურისდიქციის სასამართლოებს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლება, თუ ამ მიზნით ქვეყანაში უკვე შექმნილია საკონსტიტუციო სასამართლო და როგორი უნდა იყოს მათი ურთიერთობა ნორმათკონტროლის სფეროში.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, როდესაც არ არსებობს შესაბამისი პირდაპირი აკრძალვა, თითოეულ მოსამართლეს გააჩნია შეუზღუდავი უფლება შეამოწმოს კანონების შესაბამისობა კონსტიტუციასთან და ცნოს ისინი ბათილად, ძალადაკარგულად, თუკი ისინი არ შეესაბამებიან კონსტიტუციის როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ მოთხოვნებს. ამ ნაწილში კონსტიტუციის დუმილი არ გამორიცხავს ამგვარი უფლების არსებობას, რადგანაც იგი გამომდინარეობს მართლწესრიგის სტრუქტურის არსიდან და არ მოითხოვს პოზიტიურ—სამართლებრივ დამოწმებას.

მაგალითად, ლიტერატურაში მოხსენიებულია დაახლოებით ანალოგიური მოსაზრება დასავლეთეუროპელი სახელმწიფოთმცოდნე ჰ.კიპპისა, რომლის მიხედვით “მოსამართლეს აკავშირებს მხოლოდ კანონი, უწინარე ყოვლისა — უმაღლესი კანონი, სახელმწიფოს ძირითადი კანონი — კონსტიტუცია. თუკი კონსტიტუციაში არ არსებობს დებულებები, რომლებიც პირდაპირ

უკრძალავენ მოსამართლეს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას, უნდა ჩაითვალოს, რომ მისთვის ასეთი უფლება მინიჭებულია".<sup>1</sup>

საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელის მომხრეებისათვის გონივრულია კანონების კონსტიტუციურობის შემოწმება საერთო სასამართლოების და არა სხვა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ, რადგანაც იგი გამომდინარეობს ე.წ. "ცოცხალი სამართლის" იდეიდან, ე.ი. სამართლიდან, რომელსაც მისი გამოყენების პროცესში მოსამართლეები განავითარებენ.

შეიძლება მართლაც ვთქვათ, რომ თუკი კონსტიტუცია მოსამართლეებს არ უკრძალავს ამგვარ საქმიანობას, ე.ი. იგი დასაშვებია, მაგრამ აქვე ნამოიჭრება მეორე პრობლემა: თუ კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის მოსამართლეთათვის ამგვარი უფლების მინიჭება, გამოდის, რომ ისინი კონსტიტუციური საფუძვლის გარეშე ახორციელებენ მას და, აქედან გამომდინარე, არალეგიტიმურია. შედეგად შეიძლება მივიღოთ მოსამართლეთათვის თვითნებობა და უფლებამოსილების გადამეტება. ამ საფრთხეს უფრო მუქ ფერებში ხედავს პროფ. მ. ნუდელი და წერს: "ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღინიშნება სწრაფვა მოსამართლეების გადაქცევისა სახელმწიფოში უმაღლეს ხელისუფლებად, ხალხის ბედის უზენაეს გამგებლებად. ამის მიზეზი გახდა ცნების წარმოქმნა, რომელიც დასავლეთში ნელ---ნელა მოდაში შემოვიდა "მოსამართლეთა სახელმწიფოს" სახელით და რომელმაც თითქოსდა შეცვალა ცნება "კანონების სახელმწიფო".<sup>2</sup>

მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას ემორჩილება კანონს, მაგრამ უნდა დაემორჩილოს თუ არა იგი იმ კანონს, რომლის კონსტიტუციურობა ეჭვს იწვევს. პროფ. ი. პეტრუხინი სვამს შემდეგ კითხვას: 'მოსამართლეს უნდა მიეცეს თუ არა უფლება შეაფასოს კანონი ლეგიტიმურობის თვალსაზრისით და შესაბამის შემთხვევაში არ გამოიყენოს იგი?'<sup>3</sup> მას

---

<sup>1</sup> Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах. М., 1968, стр 37.

<sup>2</sup> Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах. М., 1968, стр 38

<sup>3</sup> Петрухин И.Л., Правовое государство и правосудие. "Советское государство и право", 1991, №1, стр. 25-26.

მოპყავს სსრკ—ის ყოფილი იუსტიციის მინისტრის ბ.კრავცოვის აზრი, რომლის მიხედვითაც მოსამართლემ არ უნდა შეაფასოს კანონი, მან მხოლოდ უნდა შეასრულოს იგი, ხოლო თავად ი. პეტრუხინი მიდის იმ დასკვნამდე, რომ "მოსამართლეს უნდა მიეცეს უფლება შეაჩეროს საქმისწარმოება, თუ ჩათვლის, რომ გამოსაყენებელი კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და განმარტებისათვის მიმართოს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს".<sup>1</sup> საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მართებულია, რადგანაც იგი გამორიცხავს კომპეტენციურ შეუთავსებლობას საერთო სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის, აგრეთვე შესაძლებელი ხდება ნორმათკონტროლის სფეროში ბუნდოვანებისა და ფუნქციათა დუბლირების თავიდან აცილება.

ცხადია, როცა ქვეყანაში შექმნილია საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანო, საერთო იურისდიქციის სასამართლოებს უფლებები ნორმათკონტროლის სფეროში უნდა შეეზღუდოთ. სამართალწარმოების განხორციელებისას გამოსაყენებელი კანონი კონსტიტუციურობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში მან უნდა შეაჩეროს სამართალწარმოება და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სხვა შემთხვევაში, ე.ი. მიმართვის გარეშე კანონის გამოყენება ან პირიქით, არაკონსტიტუციურობის მოტივით მისი არგამოყენება არამართლზომიერ ქმედებად უნდა ჩაითვალოს, ხოლო თუ ამ ურთიერთობების მონესრიგებას კონსტიტუცია ითვალისწინებს, მაშინ საერთო სასამართლოს ქმედება კონსტიტუციის სანინააღმდეგო ქმედებად უნდა შეფასდეს.

დღეისათვის სახელმწიფოთა უმრავლესობაში საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის ურთიერთობა კონსტიტუციურად მონესრიგებულია, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთი შეხედვით მარტივი საკითხის გადაწყვეტა დღემდე მტკივნეულად მიმდინარეობს და გარკვეულ პრობლემებსაც ქმნის. მაგალითად, ეს პრობლემა უცხო არ არის რუსეთში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს ძალზედ ცოტა წარდ-

---

<sup>1</sup> Петрухин И.Л., Правовое государство и правосудие. "Советское государство и право", 1991, №1, стр. 25-26.

გინებები ეგზავნება საერთო სასამართლოებისაგან. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით რთული იყო 1998 წლამდე, როცა კომპეტენციის თაობაზე დავა მათ შორის საკმაოდ მწვავე იყო. უზენაესი სასამართლოს 1995 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების თანახმად, რადგან კონსტიტუცია საფუძველია ყველა სასამართლოსათვის, ამიტომ საერთო სასამართლოების წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში ატარებს დისკრეციულ ხასიათს და დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა საერთო სასამართლო თავად ვერ გადანყვეტს საქმეს. სხვა შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს განცხადებით, მოსამართლეებმა თავად უნდა გადანყვიტონ საკითხის კონსტიტუციურობა. მან საკმაოდ ბუნდოვანი და ორმაგი საკონსტიტუციო კონტროლი გამოიწვია, რის გამოც 1998 წლის 28 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ გადანყვიტა თავად მოეგვარებინა ეს დავა. მან ეჭვქვეშ დააყენა უზენაესი სასამართლოს დადგენილება და რუსეთის საერთო სასამართლოებს აუკრძალა კანონების კონსტიტუციურობის შემოწმება. კერძოდ, მან დაადგინა, რომ გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურობაში ეჭვის არსებობის შემთხვევაში საერთო სასამართლომ იგი უნდა გადაუგზავნოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ბულგარეთში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საკუთარი კომპეტენციისა და უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილების საკითხი ნორმათკონტროლის სფეროში (1995 წლის 31 ოქტომბერი). დადგინდა, რომ უზენაესი სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს მხოლოდ ადმინისტრაციული აქტი, რომელიც არღვევს ინდივიდის უფლებებს, ხოლო თავად საკონსტიტუციო სასამართლომ ერთობ თავისებური უფლება მოიპოვა. კერძოდ, თუ იგი ჩათვლის, რომ მოქმედ საკანონმდებლო აქტში შეტანილი ცვლილება არაკონსტიტუციურია, თავდაპირველი ნორმა ავტომატურად შევა ძალაში, პარლამენტის მხრიდან დამატებითი გადანყვეტილების საჭიროების გარეშე.

დღეისათვის დადგენილია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანო, საერთო სასამართლოებს ეკრძალებათ კანონთა კონსტიტუციურო-

ბის შემონმება. მათ გამოსაყენებელი კანონი საჭიროების შემთხვევაში შესამონმებლად უნდა გადაუგზავნოთ კონტროლის ორგანოს, ხოლო პასუხის (დასკვნის) მიღებამდე შეაჩერონ საქმის განხილვა (მაგალითად, ავსტრიის კონსტიტუციის 140-ე მუხლი; ესპანეთის კონსტიტუციის 163-ე მუხლი; თურქეთის კონსტიტუციის 152-ე მუხლი; გერმანიის ძირითადი კანონის მე—100 მუხლი და ა.შ.). ამ უფლებით დღეისათვის თითქმის ყველა დონის საერთო სასამართლო არის აღჭურვილი, თუმცა თავდაპირველ ეტაპზე ამ უფლებით მხოლოდ უმაღლესი სასამართლოები სარგებლობდნენ. მაგალითად, პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის 1985 წლის აქტის საფუძველზე ყველა საერთო სასამართლოს არ ჰქონდა ტრიბუნალისათვის პირდაპირი მიმართვის უფლება. ამისათვის მათ ჯერ უნდა მიემართათ უმაღლესი სასამართლოსათვის, ხოლო მისი მეშვეობით — ტრიბუნალისათვის. ეს უფლება ყველა დონის საერთო სასამართლოს მიეცა 1997 წელს.

მინდა მოკლედ შევეხო საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების ურთიერთობას საქართველოში.

“საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე—19 მუხლის მე—2 პუნქტის მიხედვით: “თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადანყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს”. როგორ უნდა გავიგოთ ამ ნორმის შინაარსი — კონკრეტული პირობების არსებობისას სასამართლოს უფლება აქვს შეაჩეროს საქმის განხილვა თუ ვალდებულია შეაჩეროს საქმის განხილვა, ანუ სასამართლოს აქვს შეჩერების უფლება თუ მოვალეობა ეს ნორმის შინაარსიდან, ერთი შეხედვით, მკაფიოდ არ ჩანს. მეტ სიმკვეთრეს შეიტანდა სიტყვები “უფლება აქვს შეაჩეროს” ან “უნდა შეაჩეროს”, ამ ფრაზაში უნდა ვიგულისხმოთ შეჩერების უფლება, რადგან შეჩერების ვალდებულებად მიჩნევა სრულ აბსურდამდე მიგვიყვანს იმ პირობებში, როცა ნორმის ჰიპოთეზა

ითვალისწინებს შემდეგ ფორმულირებას: "თუ ... სასამართლო დაასკვნის ...", მაშასადამე, რა ქმედება განხორციელდება ნორმის ჰიპოთეზაში მითითებული გარემოების (პირობის) არსებობის შემთხვევაში, ნათელია (იგი შეაჩერებს საქმის განხილვას...), მაგრამ თავად ამ გარემოების (პირობის) დადგომის შემონმების პრაქტიკული შესაძლებლობა არ არსებობს, ანუ მივა თუ არა სასამართლო ამ დასკვნამდე — მხოლოდ სასამართლოს საქმეა და, აქედან გამომდინარე, შეჩერებაც მისი უფლებაა და არა ვალდებულება, რადგანაც ვალდებულების ნარმოშობის მომენტის შემონმება შეუძლებელია. გამოდის, რომ ასეთ პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოს ურთიერთობა მთლიანად ამ უკანასკნელის ნებაზეა დამოკიდებული: უფლება აქვს შეაჩეროს საქმის განხილვა და ამდენად არც მიმართოს მას, თუნდაც გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საკმარისი საფუძველი არსებობდეს. სიტყვებში "იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს" საერთო სასამართლოს უფლება რომ იგულისხმება და არა ვალდებულება, ამაზე მეტყველებს ორგანული კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, სადაც პირდაპირ წერია, რომ "...საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქმის განმხილველ სასამართლოს". აქვე შეიძლება დავიმომოთ პროფ. ჯ. ხეცურიანის აზრი, რომ "საერთო სასამართლოს (საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეს ან საქმის განმხილველ სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას) უფლება აქვს წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს".<sup>1</sup>

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია სწორედ საერთო სასამართლოთა ვალდებულებაზე მიუთითებს. მაგ., გერმანიის ძირითადი კანონის მე—100 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით: "თუ რომელიმე სასამართლო არაკონსტიტუციურად თვლის კანონს, რომლის ნამდვილობაზეა დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღება, მან უნდა შეაჩეროს საქმის განხ-

---

<sup>1</sup> ჯონი ხეცურიანი. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტები. ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 2002, №4. გვ. 21.



ილვა“... ამ ნორმაზე დაყრდნობით ავტორები გიორგი ხუბუა და იოჰანეს ტრაუტი აკეთებენ შემდეგ დასკვნას: “გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნებისმიერი სასამართლო ორგანო უფლებამოსილია და ვალდებულია (?) შეამოწმოს სამართლებრივი ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო თვლის, რომ კანონის რომელიმე დებულება არ შეესაბამება კონსტიტუციას (ან მიწის კანონი არ შეესაბამება ფედერალურ კანონს), მან უნდა შეაჩეროს სასამართლოში საქმის განხილვა და მიმართოს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების მიღების მოთხოვნით”.<sup>1</sup>

ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს აზრს იმის თაობაზე, რომ “კანონის თანახმად (იგულისხმება ‘საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ’ საქართველოს ორგანული კანონი — ბ.კ.), საერთო იურისდიქციის სასამართლოს უფლება აქვს ნარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ვფიქრობთ, რომ იგი სავალდებულო წესით უნდა მიმართავდეს მას, თუ ამას მოითხოვს სასამართლო პროცესის მონაწილე ერთ — ერთი მხარე”.<sup>2</sup>

ჩვენ ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან მიზანშეუწონლად მიგვაჩნია სასამართლოს შეზღუდვა, დავალდებულება ერთ — ერთი მხარის მოთხოვნით. ბუნებრივია, ერთ—ერთ მხარეს უფლება აქვს დააყენოს საქმის განმხილველ სასამართლოსთან ამგვარი შუამდგომლობა, მაგრამ ამ მოთხოვნის საფუძვლიანობის განხილვის გარეშე საქმისნარმოების შეჩერება და საკონსტიტუციო სასამართლოში ნარდგინების შეტანა სასამართლოს ვალდებულებად არ უნდა იქცეს. პროცესის მონაწილე ერთ—ერთმა მხარემ საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით ასეთი მოთხოვნა შეიძლება დააყენოს, მაშინ, როცა გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობა შეიძლება არანაირად არ იწვევდეს ეჭვს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეზღუდვა მხარის მოთხოვნით გაუმართლებლად მიგვაჩნია. ასე მაგალითად,

---

<sup>1</sup> გაია ხუბუა, იოჰანეს ტრაუტი. კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში. თბ., 2001 წ. გვ. 12.

<sup>2</sup> ვახტანგ ხმალაძე. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივა. ჟურნ. “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2000, №4. გვ. 213.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 17 ივლისის განჩინებით, უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ<sup>19</sup>. ხოლო თუ სასამართლო ამგვარ შუამდგომლობას საფუძვლიანად მიიჩნევს და თვითონაც მივა იმ დასკვნამდე, რომ მართლაც არსებობს საკმარისი საფუძველი გამოსაყენებელი ნორმის არაკონსტიტუციურად მიჩნევისათვის, ეს საკმარისი საფუძველი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანისათვის. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 10 ივლისის №9/189 განჩინება, რომლითაც არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად ქ.თბილისის კრწანისი — მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, რომლის ერთ — ერთ მოტივად განჩინებაში ვკითხულობთ შემდეგს: “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე—19 მუხლის მე—2 პუნქტის თანახმად, სწორედ საერთო სასამართლო უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში დაისვას ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი. კონსტიტუციური წარდგინებიდან კი ის დასკვნა კეთდება, რომ სასამართლომ ამ შემთხვევაში დააკმაყოფილა განსასჯელის შუამდგომლობა და წარდგინებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. კონსტიტუციურ წარდგინებაში ვხვდებით ასეთ გამოთქმებს: “სასამართლო სხდომაზე ა.პაპუაშვილმა დააყენა შუამდგომლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინებით შესვლის თაობაზე”; “სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია მხარი დავუჭიროთ განსასჯელის შუამდგომლობას სასამართლო წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოში შესასვლელად”. სასამართლო პლენუმი არ გამოორიცხავს საერთო სასამართლოებში კონკრეტული საქმეების განხილვისას ამგვარი შუამდგომლობების არსებობას, თუმცა ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ კონსტიტუციური წარდგინების აუცილებლობამდე სასამართლო

---

<sup>19</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, IV ნაწილი, 2002 წ., № 17, გვ. 6.

დამოუკიდებლად მიდის და არა პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების გზით.<sup>1</sup>

აღნიშნული განმარტება ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, თუ რა გზით, როგორ და რატომ მივა საქმის განმხილველი სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს მას. მთავარია ის, რომ სასამართლო ამ დასკვნამდე მივიდა. დამოუკიდებლად მივიდა თუ შუამდგომლობის განხილვის გზით, — ამას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. თუკი შუამდგომლობის საფუძვლიანობამ სასამართლოს გაუჩინა ეჭვი გამოსაყენებელი ნორმის არაკონსტიტუციურობაში და მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მართლაც არსებობს საკმარისი საფუძველი ამ ნორმის არაკონსტიტუციურად მიჩნევისათვის, დააკმაყოფილებს შუამდგომლობას და წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, — სასამართლოს ქმედება მართებულად უნდა ჩაითვალოს.

მხარეს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვისათვის საერთო სასამართლოს (საქმის განმხილველ სასამართლოს) შუამდგომლობა არ სჭირდება. თუ იგი მიიჩნევს, რომ გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციის შეუსაბამოდ მიჩნევისათვის საკმარისი საფუძველი არსებობს, უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს. მას ამის უფლებას ორგანული კანონის 39-ე მუხლი აძლევს. მხარეს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მაშინაც კი, როცა საერთო სასამართლოში პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, თუმცა სარჩელის შეტანა არ იწვევს და არც უნდა იწვევდეს საქმის წარმოების შეჩერებას. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო გასაჩივრებული ნორმა, ბუნებრივია, საერთო სასამართლო მას ველარ გამოიყენებს, ხოლო, თუ პროცესი საერთო სასამართლოში უკვე დასრულებულია, მაშინ ამოქმედდება ორგანული კანონის მე-20 მუხლი: "კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანი-

<sup>1</sup> ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 2002, №3. გვ. 136-145.

ლი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით". ე.ი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არააქვს უკუძალა და არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე მიღებულ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს არ აუქმებს, თუმცა რუსეთის შესაბამისი კანონმდებლობით დასაშვებია მათი გადასინჯვა.

აქ ერთ პრობლემას შეიძლება ეჩინა თავი, რომლის აღბათობა საკანონმდებლო ცვლილებებმა პრაქტიკულად აღკვეთა. კერძოდ, უფლებამოსილ პირს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სარჩელით შეეძლო მიემართა მაშინ, თუ იგი მიიჩნევდა, რომ მისი უფლება უკვე დარღვეულია. აქედან გამომდინარე, სანამ საერთო სასამართლო არ გამოიყენებდა კონკრეტულ ნორმას, რომელიც პირის აზრით დაარღვევდა მის უფლებებს, მანამდე მას სარჩელის შეტანის უფლება არ ჰქონდა, რადგანაც მისი უფლებები ჯერ კიდევ დარღვეული არ იყო. ორგანული კანონის 39-ე მუხლი ითვალისწინებდა მხოლოდ იმ შემთხვევას, როცა პირს შეეძლო სარჩელის შეტანა მაშინ, როცა მისი აზრით უფლებები უკვე დარღვეული იყო. ამდენად, ამ ფონზე მხარეს უფლება არ ჰქონდა საერთო სასამართლოში საქმის განხილვის პარალელურად სარჩელი შეეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში. აღნიშნულ კანონში 2002 წლის 12 თებერვალს განხორციელებული ცვლილებებით პირს მიეცა უფლება სარჩელი შეიტანოს საკონსტიტუციო სასამართლოში, თუ მას მიაჩნია, რომ შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები. „შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს“, ჩვენი აზრით, სწორედ ისეთ რეალურ ვითარებას გულისხმობს, როცა კონკრეტული ნორმა ჯერ არ გამოყენებულა, მაგრამ მისი გამოყენება გარდაუვალია და, პირის აზრით, მისი შემხებლობით საკუთარი უფლებები დარღვეული იქნება. აქ სწორედ ერთ—ერთი ის შემთხვევა უნდა ვიგულისხმოთ, როცა საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენი) ჯერ კიდევ არ გამოუტანია და კონკრეტული ნორმა არ გამოუყენებია, მაგრამ მისი გამოყენება გარდაუვალია. მხარე კი თვლის, რომ ნორმის გამოყენებით დაირღვევა კონსტიტუციის მე—2 თავით აღიარებული მისი

უფლებები და თავისუფლებები. ამიტომ ასეთ დროს მხარეს აქვს შესაძლებლობა საერთო სასამართლოში საქმის განხილვის პარალელურად სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნულმა ნორმამ ერთდროულად შემოიტანა კონკრეტული და აბსტრაქტული კონტროლი, რადგან პირს უფლება აქვს, ერთი მხრივ, მოითხოვოს უკვე გამოყენებული ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება (კონკრეტული კონტროლი), ხოლო, მეორე მხრივ, მოითხოვოს ჯერ კიდევ გამოყენებული ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება (აბსტრაქტული კონტროლი). მაგრამ ეს უკანასკნელი შემთხვევა წმინდა აბსტრაქტულ კონტროლად ვერ ჩაითვლება, რადგან ნორმის შემოწმება კონკრეტულ სამართალურიერთობაში მისი გამოყენების გარეშე კი არ ხდება, არამედ სწორედ მისი გამოყენების გარდაუვალობის გამო, მისი გამოყენების რეალური საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის არსებული ურთიერთობებიდან მოვყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1997 წლის 24 სექტემბრის №2/57/1 განჩინებით საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად ქ.რუსთავის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, რადგანაც სადავო აქტი არ წარმოადგენდა ნორმატიულ აქტს.<sup>1</sup>

1999 წლის 1 აპრილის №2/88/1 განჩინებით ასევე არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად ქ.ჭიათურის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, რადგან იგი არ იყო სათანადოდ დასაბუთებული. კერძოდ, მასში არ იყო მითითებული კონსტიტუციის ის დებულებანი, რომლებსაც წარდგინების ავტორის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო აქტი და სხვა.<sup>2</sup>

1999 წლის 22 აპრილის №1/3/99 განჩინებით არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, რადგან იგი არც ფორმითა და არც შინაარსით არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.<sup>3</sup>

<sup>1</sup> შურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 1998, №1. გვ. 39-40.

<sup>2</sup> შურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 1999, №2. გვ. 93-94.

<sup>3</sup> შურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 1999, №3. გვ. 101-104.

1999 წლის 30 ნოემბრის №1/8/116 განჩინებით არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად ქ.თბილისის ვაკე—საბურთალოს რაიონული სასამართლოდან შეტანილი კონსტიტუციური წარდგინება, რადგანაც იგი შეტანილი იყო ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ. სასამართლო კოლეგიის მითითებით “საკუთრივ მოსამართლე კონსტიტუციურ წარდგინებასთან მიმართებით უფლებამოსილ სუბიექტად ვერ ჩაითვლება”.<sup>1</sup> უფლებამოსილ სუბიექტად მიიჩნეოდა არა მოსამართლე, არამედ მხოლოდ სასამართლო, რაც არასწორი მიდგომა იყო. ეს საკითხი მართებულად გადაწყდა 2002 წლის 12 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლის მიხედვით, საქმის განმხილველი სასამართლოს წარდგინებად ითვლება საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის ან საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის გადაწყვეტილებით მიღებული წარდგინება.

2004 წლის 26 იანვრის №13/270 განჩინებით არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად ქ.თბილისის კრწანისი—მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, რომლის ავტორი ერთ—ერთ საკითხად ითხოვდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიეცა განმარტება — ენინააღმდეგება თუ არა სადავო აქტები კონსტიტუციის მითითებულ დებულებებს. საკონსტიტუციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ წარდგინების განხილვისას იგი იღებს გადაწყვეტილებას და არ იძლევა განმარტებას.<sup>2</sup>

საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საერთო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ან განაჩენის კონსტიტუციურობის შემოწმების შესაძლებლობას. ბუნებრივია აქ არ იგულისხმება მათი სისწორისა და მიზანშეწონილობის შემოწმება, რომელიც გამოიწვევდა საკონსტიტუციო სასამართლოს ზემდგომ ინსტანციად გადაქცევას და საერთო სასამართლოთა საქმიანობაში პირდაპირ ჩარევას, ამ ფუნქციის მინიჭებით შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება გადაწყვეტილების (განაჩენის)

<sup>1</sup> ურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 2000, №2. გვ. 108-116.

<sup>2</sup> ურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 2004, №1. გვ. 170-176.

მიღება კონსტიტუციის ნორმების მოთხოვნებს. უპირველეს ყოვლისა, აქ შეიძლება გამოვყოთ ისეთი შემთხვევა, როცა გადანყვეტილება (განაჩენი) კონსტიტუციის ნორმის ინტერპრეტაციას ემყარება ან პირდაპირ (უშუალოდ) კონსტიტუციაზე დაყრდნობით გამოითანება, მით უფრო, რომ ასეთ შესაძლებლობას ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს. კერძოდ, "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, "თუ საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ კონსტიტუციას არ შეესაბამება კანონი ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის შემონმებაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, სასამართლო გამოითანს გადანყვეტილებას კონსტიტუციის შესაბამისად". აღნიშნული ნორმა არა მარტო ენიანალმდეგება კანონმდებლობის სხვა ნორმებს, არამედ თავისი შინაარსით არაკონსტიტუციურიცაა, რადგანაც, კონსტიტუცია არ ითვალისწინებს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების ამგვარ დიფერენციაციას, თუ რომლის შემონმება დაიშვება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ და რომლის არა. ეს ნორმა გზას უხსნის საერთო სასამართლოს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისაკენ, მაშინ, როცა საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, კონსტიტუციის მიხედვით, მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოა. ამდენად, სანამ აღნიშნული ნორმა ძალადაქარგულად არ გამოცხადებულა და მოქმედებს, მანამდე სრული საფუძველი არსებობს საერთო სასამართლომ გადანყვეტილება გამოითანოს უშუალოდ კონსტიტუციაზე დაყრდნობით, რაც მას ასევე აძლევს კონსტიტუციის ნორმის ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის, მისი პრინციპებისა და ნორმების ერთგვაროვანი გაგებისა და პრაქტიკაში, შესაბამისად, ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საერთო სასამართლოების გადანყვეტილებების კონსტიტუციურობის შემონმების უფლება მიეცეს საკონსტიტუციო სასამართლოს. ოღონდ, როგორც უკვე ავლიშნეთ, არა მათი სისწორის, მართებულობის, კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემონმების თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ კონსტიტუციურობის შემონმების

მიზნით. მაგალითად, ამგვარი უფლებით აღჭურვილია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, სადაც პირს უფლება აქვს შეიტანოს კონსტიტუციური საჩივარი საერთო სასამართლოთა განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამო, თუ მისი აზრით დარღვეულია მისი ძირითადი უფლებები. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტის, დოქტორ ჰანს — იურმან პაპიერის აზრით, "ძირითადად კი დასაშვებია, რომ კონსტიტუციური საჩივარი სასამართლო განაჩენის თუ გადაწყვეტილების გამო, მიმართული იყოს იმ კანონის ან სხვა ნორმის წინააღმდეგ, რომელიც საფუძველი გახდა სანილო გადაწყვეტილების მიღებისათვის. თუ კონსტიტუციური საჩივრის ავტორი განაცხადებს, რომ გადაწყვეტილების საფუძველად აღებული კანონი ან სხვა ხასიათის ნორმა რალაცა თვალსაზრისით მაინც არღვევს მის ძირითად უფლებებს, მაშინ ამ ნორმების კონსტიტუციურობას დამატებით ამონმებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო. ამის გარდა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, უპირველეს ყოვლისა, შეამოწმოს, ხომ არ მოდის სასამართლოთა და უწყებათა (ორგანოთა) მიერ კანონის ნორმის განმარტება და გამოყენება ძირითად უფლებებთან წინააღმდეგობაში". მაშასადამე, პაპიერის აზრით, კონსტიტუციური საჩივარი დასაშვებია ორ შემთხვევაში:

1. როცა განაჩენის ან გადაწყვეტილების საფუძველად აღებული ნორმა, კონსტიტუციური საჩივრის ავტორის აზრით, არღვევს მის ძირითად უფლებებს;

2. როცა კანონის ნორმის განმარტება და გამოყენება წინააღმდეგობაში მოდის ძირითად უფლებებთან.

ჩვენ ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ვერ გავიზიარებთ, რადგან პირველ შემთხვევაში, თუ პირი თვლის, რომ ნორმა არღვევს მის ძირითად უფლებებს, მას ყოველთვის აქვს უფლება მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს (იქ, სადაც ინდივიდუალური სარჩელი დაშვებულია), იმის მიუხედავად, აღნიშნული ნორმა საფუძველია თუ არა განაჩენის ან გადაწყვეტილებისა.

---

<sup>1</sup> ჰანს — იურგენ პაპიერი. ინდივიდუალური სარჩელი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში. ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 2003, №2. გვ. 20.



ამდენად, ასეთ დროს ზედმეტად მიგვაჩნია იმაზე ხაზგასმა, რომ დასაშვებია კონსტიტუციური საჩივარი მიმართული იყო გამოყენებული ნორმის წინააღმდეგ.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, ისიც შეიძლება საკამათოდ ვაქციოთ, რადგან კონკრეტულ საქმეში კონკრეტული კანონის გამოყენება ან კანონის ნორმის განმარტება მოსამართლის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს, ხოლო თუ ამ ნორმის განმარტება და გამოყენება წინააღმდეგობაში მოდის ძირითად უფლებებთან, ეს საფუძველი უნდა იყოს, რათა პირმა სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს აღნიშნული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა და არა სასამართლოს განაჩენისა და გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შემოწმება. ამ გზით თავიდან იქნება აცილებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაქცევა ზესაკასაციო, ზემდგომ ორგანოდ, რომელიც შეაფასებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და საერთო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების კანონიერებას, ხოლო თუ მოსამართლემ არასწორად განმარტა ან გამოიყენა კანონის ნორმა, საკონსტიტუციო სასამართლო არ უნდა იქცეს სასამართლო შეცდომების გამოსწორების იარაღად. ამ პრობლემის მოგვარება თავად საერთო სასამართლოთა სისტემაში უნდა ხდებოდეს საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლო პირის სარჩელის გზით არ უნდა ჩაებას მართლმსაჯულების განხორციელებაში და არ უნდა იქცეს მისი კონსტიტუციური უფლებების დაცვის “დამატებით საშუალებად”. კონსტიტუციამ მკაცრად უნდა განსაზღვროს საერთო სასამართლოთა განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმების საფუძვლები და ფარგლები.

ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო იურისდიქციის სასამართლოთა შორის ურთიერთობა ნორმათ-კონტროლის სფეროში საჭიროა მკაცრად იქნეს მონესრიგებული, რაც უპირველეს ყოვლისა, თავად კონსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს. ამ გზით თავიდან იქნება აუცილებელი კომპეტენციური შეუთავსებლობა მათ შორის და კონსტიტუციის დაცვის მიზნით მისი არაერთგვაროვანი გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში.

## §7. კონსტიტუციის განმარტება

კონსტიტუციური სამართლის თეორიაში კონსტიტუციის განმარტება განიხილება მისი დაცვის ერთ—ერთ მნიშვნელოვან ფორმად.

კონსტიტუციის განმარტება — ეს არის კონსტიტუციის დებულებების ინტერპრეტაცია მათი ნამდვილი შინაარსის დადგენის (დაზუსტების) მიზნით. როგორც სახას (იაკუტიის) რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე აღნიშნავს: "კონსტიტუციის ნორმების ახსნის ბუნება მდგომარეობს კონკრეტული სამართლებრივი მითითებების სახელმწიფო—სამართლებრივი შინაარსის განმარტებაში, რომელსაც შეიცავენ ძირითადი კანონის განსახილველი ნორმები".<sup>1</sup>

ნებისმიერი სამართლებრივი ნორმისათვის დამახასიათებელია ზოგადი ხასიათი. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება კონსტიტუციის დებულებებში, ამიტომ, რომ არ მოხდეს პრაქტიკაში მათი არაერთგვაროვანი გამოყენება, ფართოდ ან შეზღუდულად გაგება და ამის საფუძველზე შემდგომი არასწორი გადაწყვეტილებების მიღება, ამ დებულებების განმარტება მეტად საჭირო და აუცილებელია. გარდა ამისა, "განმარტება გამოდის, როგორც იურიდიული კოლიზიების თავიდან აცილებისა და გადაჭრის საშუალება".<sup>2</sup> იგი ერთგვარი გამაჯანსაღებელი წამალია, რომელიც ხელს უშლის კონსტიტუციის დაბერებას, მოძველებას და ახალ მოთხოვნებთან შეუსაბამობას. როგორც პროფ. ალექსანდრე ბლანკენაგელი აღნიშნავს, "სწორედ მათი (კონსტიტუციების — ბ.კ.) ინტერპრეტაცია იძლევა ახალი გარემოებების მიმართ ადაპტირების საშუალებას".<sup>3</sup> ამიტომაც აღმოჩნდა ინტერპრეტაცია ამერიკის კონსტიტუციის სიმყარისა და სიცოცხლის უნარიანობის მთავარი მექანიზმი. მან მნიშვნელო-

---

<sup>1</sup> Миронов Д.Н., О практике толкования Конституции Республики (Якутия). 2000, 3(9), стр. 114.

<sup>2</sup> Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии. Под редакцией проф. М.А. Митюкова. М. 1998. стр. 86.

<sup>3</sup> ალექსანდრე ბლანკენაგელი, ვოლფგანგ გაული. კონსტიტუციური მომენტები და საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ყოველდღიური ცხოვრება, ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 2000, №4. გვ. 254.

ვანი წვლილი შეიტანა საფრანგეთის, იტალიისა და მრავალი სხვა ქვეყნის კონსტიტუციათა "მოდერნიზაციის" საქმეში.

მეცნიერთა ერთი ნაწილისათვის დავას ინვეეს არა მარტო განმარტებების საჭიროება და მიზანშეწონილობა, არამედ ის, თუ ვინ უნდა განახორციელოს იგი, რა შემთხვევაში და რა ფორმით.

კონტინენტური სამართლის ქვეყნებისათვის პარლამენტის უზენაესობის პრინციპისადმი ტრადიციული პოზიციიდან გამომდინარე, კანონისა და, მათ შორის, კონსტიტუციის განმარტების უფლებაც პარლამენტის პრეროგატივას უკავშირდება. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მკაცრად იყო დაცული XX საუკუნის მეორე ნახევრამდე, მაგრამ მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი ფართოდ გავრცელდა და კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ყველაზე ეფექტურ მექანიზმად დამკვიდრდა, განმარტების უფლების მქონე სუბიექტთა შორის განსაკუთრებული ადგილი საკონსტიტუციო კონტროლის ორგანომ დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი აღიარება უმრავლესი ქვეყნის კანონმდებლობით მოხდა, პარლამენტისთვის ამ უფლების ჩამორთმევას დღემდე აპროტესტებენ. მაგალითად, უკრაინის მოქმედი კონსტიტუციის 150-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია ოფიციალურად განმარტოს უკრაინის კონსტიტუცია და კანონები. ამის მიუხედავად, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ვ.ოპრიშკოს (უკრაინა) აზრით, კანონმდებლისათვის ასეთი უფლების არარსებობა უარყოფითად მოქმედებს სამართალგამოყენების პრაქტიკაზე და რომ კანონის განმარტების უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვინც მას ლეზულობს.<sup>12</sup> უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის მიერ კონსტიტუციის განმარტების მონოპოლიური უფლების იდეა არც ისე უნაკლო აღმოჩნდა მსოფლიო პრაქტიკისა და თეორიის თვალსაზრისით. მაგალითად, ფრანგებს ტრადიციულად ყოველთვის სურდათ საერთო სასამართლოებისათვის ჩამოერთვათ კანონის ინტერპრეტაციის უფლება და პრეცედენტების შექმნის შესაძლებლობა, მაგრამ პრაქტიკულად იგი ვერ განხორციელდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვერც ერთი

<sup>1</sup> Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии. Под редакцией проф. М. А. Митикуова. М. 1998. с.р. 103.

კანონი ვერ იქნება იმდენად ნათელი, განმარტება რომ არ სჭირდებოდეს, ხოლო სასამართლოს მიმართვა საკანონმდებლო ორგანოსათვის ყოველ ისეთ საკითხზე, რომელსაც განმარტება სჭირდება, აშკარად გაუმართლებელი და არაეფექტური იქნებოდა. ზოგიერთმა ქვეყანამ პარლამენტს ეს უფლება საერთოდ ჩამოართვა ან შეუნარჩუნა მხოლოდ გარდამავალ პერიოდში, — კონსტიტუციის მიღებიდან საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს ამოქმედებამდე (უკრაინა, რუსეთი და ა.შ.). კონტროლის ორგანოსათვის კონსტიტუციის (ზოგან კი კანონებისაც) ოფიციალური და სავალდებულო განმარტების უფლების მინიჭება (ალბანეთი, ეგვიპტე, პოლონეთი და ა.შ.) ეყრდნობა ცნობილ პრინციპს: "არავინ არ შეიძლება იყოს მოსამართლე საკუთარ საქმეში". დღეისათვის პარლამენტს ეს უფლება შენარჩუნებული აქვს ბელორუსიაში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა და სხვა ქვეყნებში. კონტროლის ორგანოს კომპეტენცია კი განმარტების უფლებამოსილებით თანდათანობით იზრდება და სულ უფრო მეტად მტკიცდება სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, რაც მონინალმდებელთა აზრით მიზანშეუწონელია კონტროლის ორგანოთა პოლიტიზაციისა და კანონშემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად თუ პასიურად ჩარევის რეალური საშიშროების გამო.

შეიძლება მართლაც შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ კონსტიტუციის განმარტებისას მოსამართლეები მის ხელახლა დანერაში მონაწილეობენ, რომ განმარტების საბაბითა და საფუძვლით შეუძლიათ კონსტიტუციის შეცვლა და დამფუძნებელთა სულისკვეთების დაუცველობა, ნორმებისა და პრინციპების შინაარსის ახლებური, თავისებური განსაზღვრა და ა.შ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიშველიოთ აშშ — ის უზენაესი სასამართლოს სამი გადაწყვეტილება (1793, 1857, 1895 წ.წ.), რომლებმაც განაპირობეს კონსტიტუციის XI (1798წ.), XIII (1865 წ.) და XVI (1913 წ.) შესწორება. გარდა ამისა, ამერიკის უზენაესმა სასამართლომ უამრავი განმარტებით პრაქტიკულად ახლებური შინაარსობრივი მიმართულება მისცა იმ კონსტიტუციას, რომელიც ორი საუკუნის წინ სულ სხვა პოლიტიკურ და სოციალურ — ეკონომიკურ ვითარებაში იყო მიღებული.

ამგვარი საფრთხის არსებობა განსაკუთრებით დამახასიათებელია ახლო წარსულისათვის, როცა კონსტიტუციის გან-

მარტების გზით მოსამართლეთა კანონშემოქმედებით საქმიანობაში ჩარევის შიში არც თუ ისე უსაფუძვლო იყო. უამრავი “ზოგადი დებულებების” ინტერპრეტაციით კონტინენტური სამართლის ქვეყნებსა და, მით უფრო, საერთო სამართლის ქვეყნებში მოსამართლეები შესამჩნევად ჩაებნენ კანონშემოქმედებით პროცესში. ეს ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში, თუმცა ამგვარი ტენდენციები დღესაც შეიმჩნევა. მაგალითად, უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს ნორმის არარსებობით გამოწვეული ხარვეზების გამოვლენას და პარლამენტისათვის მითითებას, რათა გარკვეულ ვადაში აღმოფხვრას ეს ხარვეზები. ამ შემთხვევაში სასამართლოს საქმიანობის კანონშემოქმედებითი ხასიათი განსაკუთრებით ნათელია, რადგან იგი უფლებამოსილია მოითხოვოს კონკრეტული კანონის მიღება კონკრეტულ ვადაში.

ასევე უარყოფითად უნდა შეფასდეს ისეთი შემთხვევა, როცა საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებით გამოწვეული ვაკუუმი ე.წ. “გარდამავალი დებულებებით” შეავსოს, თუმცა არსებობს განსხვავებული აზრიც, რომლის მიხედვით ეს სამართლებრივ სახელმწიფოში დასაშვები შემთხვევაა. მაგ., დოქტორ კარლ—ჯორჯ ცირლაინს მიაჩნია, რომ “გაუმართლებელი ჩანს საკონსტიტუციო სასამართლოს წინააღმდეგ შეტევა, როდესაც ის შემონიშნული კანონის ბათილად ცნობის შემდეგ ცდილობს არსებული ვაკუუმი ე.წ. “გარდამავალი დებულებებით” შეავსოს. აქ მართლაც აქვს ადგილი საკონსტიტუციო სასამართლოს შეჭრას პარლამენტის უზენაეს უფლებებში, რაც მხოლოდ იმ ფასს წარმოაჩენს, რომელიც დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს მქონე დემოკრატიულ—სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა იქნეს გადახდილი სახელმწიფო ქმედების იძულებითი კონტროლისას... საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გარდამავალი დებულება ისე უნდა იყოს შემუშავებული, როგორც ამას მდგომარეობა და პრაქტიკული გამოყენება მოითხოვს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ყველა კანონის მსგავსი განკარგულება უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომლებ-

საც სამართლებრივი სახელმწიფო პარლამენტს უყენებს".<sup>1</sup> ამგვარი მსჯელობა ბიძგს აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიზაციას. იგი პრაქტიკულად პარლამენტის ფუნქციებში შეჭრის მონოდებაა და კანონმდებლობის ჩანაცვლებაა "სამოსამართლო სამართლით". იგი პარლამენტის მიერ კანონშემოქმედების და მთლიანად პარლამენტარიზმის უარყოფაა, რაც ცალსახად მიუღებელი უნდა იყოს.

დღეისათვის ლიბერალური დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში განმარტებას სხვაგვარი დატვირთვა აქვს: იგი არ ნიშნავს კონსტიტუციის გადასინჯვას ან 'ახალი კონსტიტუციის' შექმნას, კონსტიტუციური ნორმების სუბიექტური ინტერპრეტაციის გზით ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, პოლიტიკურ პროცესებში პასიურ, მაგრამ მნიშვნელოვან მონაწილეობას და ამ გზით პოლიტიკური ბრძოლის ეფექტურ იარაღად გამოყენებას.

განმარტების საქმეში მოსამართლეთა როლის შესახებ განსხვავებული მიდგომა აღმოაჩნდათ რომანულ—გერმანულ დღა ანგლო—საქსურ სამართლებრივ სისტემებს. პირველ შემთხვევაში განმარტება განიხილება მოსამართლის დაპირისპირებად კანონმდებელთან, მეორე შემთხვევაში კი იგი მოსამართლის ბუნებრივი პრეროგატივაა.

მოსამართლე მხოლოდ იყენებს კანონს. იცავს რა ამ თეზისს ჩ. ბეკარია, განმარტებას განიხილავს როგორც დამლუპველ ხელის აღებას კანონმდებლის ნებასურვილზე. ბუნდოვანი კანონების განმარტება მოეთხოვება კანონმდებელს და არა მოსამართლეს.<sup>2</sup> ამავე პოზიციაზეა მონტესკიე, რომლის აზრით, მოსამართლე სუვერენის ნების გაუპიროვნებელი შემსრულებელია. მოსამართლეები არიან მხოლოდ რუპორები, რომლებიც ახმოვანებენ კანონის ტექსტს. ისინი არიან უსულო არსებები, რომლებსაც არ შეუძლიათ შეამცირონ კანონის არც ძალა და არც სიმკაცრე.<sup>3</sup>

<sup>1</sup> კარლ — ჯორჯ ცირლანი. საკანონმდებლო ნორმების საკონსტიტუციო კონტროლი. ჟურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია". 2001 წ., №4. გვ. 20.

<sup>2</sup> Боботов С.В., Буржуазные концепции судейского нормотворчества. "Советское государство и право", 1986, №2, стр. 93.

<sup>3</sup> Боботов С.В., Буржуазные концепции судейского нормотворчества. "Советское государство и право", 1986, №2, стр. 93.

მაშასადამე, კონტინენტური ევროპის სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით მოსამართლე კანონის სიტყვა—სიტყვით გამომყენებელი და მასზე დამორჩილებულია.

როგორც ვხედავთ, ევროპული სამართლებრივი აზროვნება განმარტებას არ განიხილავს მოსამართლის პროფესიულ ფუნქციად. ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ ისტორიულ პირობებში, რადროსაც ხდებოდა ამგვარი პოზიციის დაცვა, კერძოდ კი, ეს იყო ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომი პერიოდი, როცა მოსამართლეთა მიმართ უნდობლობა შესამჩნევი იყო. მართებულად მიუთითებს პროფ. რ.კნიპერი, როცა აღნიშნავს, რომ "განმარტების აკრძალვა ალბათ უკუქცეული სამართალწარმოებისაგან ახალი სამართლის დაცვისკენ უფრო იყო მიმართული, ვიდრე მოსამართლეთა კორპუსის მეტად ცხოველ პროგრესულობაზე ზრუნვისკენ".<sup>1</sup>

ანგლო საქსური სამართლებრივი სისტემა კი თავიდანვე იცავდა საპირისპირო კონცეფციას. კერძოდ, მოსამართლეები არა მარტო იყენებენ სამართალს, არამედ ქმნიან კიდევც მას. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში კანონმდებლობა, როგორც სამართლის წყარო, არის არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში, რადგან პარლამენტის მიერ მიღებული აქტი მოითხოვს მოსამართლის განმარტებას, რაც შემდგომ თავად ხდება სასამართლო პრეცედენტი.

ამდენად, საერთო სამართლის ქვეყნებში მოსამართლეების სამართალშემოქმედება ბუნებრივ, მათი პროფესიისათვის თანამდევ და დამახასიათებელ ფუნქციად განიხილება. ევროპის მოსამართლეებისაგან განსხვავებით ისინი არ აღიქმებიან მხოლოდ კანონის მსახურებად და კანონის ტექსტით მკაცრად შეზოჭილებად, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სამართალგანვითარებაში "სამოსამართლო სამართლის" შექმნის გზით. განმარტება მოსამართლეთა უფლებად კი არა, პირდაპირ დანიშნულებად და პროფესიულ ამოცანად განიხილება იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებლობაში ხარვეზი ან ბუნდოვანებაა.

---

<sup>1</sup> როლფ კნიპერი. სამართლის ინტერპრეტაცია, ანალოგია და განვითარება: სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებათა დელიკატური გამიჯვნა. უურნ. "ადამიანი და კონსტიტუცია", 2002, №3. გვ. 24.

აშშ—ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში კონსტიტუციის განმარტება ორგვარად ხდება: ფორმალისტურად და ფუნქციურად. ასეთივე პრაქტიკას იყენებს სხვა რამდენიმე ქვეყანაც.

ფორმალისტური მიდგომის თანახმად, კონსტიტუციის ტექსტის განმარტება ხდება სიტყვა—სიტყვით. შესაძლებელია კონსტიტუციაში ჩანერილი ფრაზა არც თუ ისე ბუნდოვანი იყოს, მაგრამ სიტყვა—სიტყვითი განმარტება მას სულ სხვა შინაარს სძენდეს. მაგალითად, უნგრეთის კონსტიტუციის მიხედვით, უნგრეთის კონსტიტუციის მიხედვით, უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. სარდალს აქვს დანიშვნის უფლებამოსილება მის ქვემდგომ დანაყოფში, მაგრამ უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, როცა საქმე პრეზიდენტს ეხება, ეს ასე არ არის. მან დაადგინა, რომ დანიშვნის საკითხის განმარტება ამ შემთხვევაში “ფუნქციურად” უნდა მოხდეს, რომლის მიხედვით, არ არის აუცილებელი ფუნქციების ინტერპრეტაცია კონსტიტუციის მიერ შემოთავაზებული “მეორეხარისხოვანი” ფრაზების მიხედვით მოხდეს. ფუნქციები ფუნქციურად უნდა გადანაწილდეს და ეს უნდა იყოს განმარტების კრიტერიუმი.

ამერიკის უზენაესი სასამართლოს საქმიანობის შეფასებისას საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში აქტიურად უსვამდნენ ხაზს მის ორბუნებოვნებას. მაგალითად, დოც. ს. ეგოროვის აზრით, იგი ასრულებს ორ ფუნქციას: იურიდიულს და პოლიტიკურს. მისი თქმით, პირველი მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუშალოს იმ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციის “გენეტიკურ ხასიათს” და მის მიერ დადგენილ პოლიტიკურ რეჟიმს, ხოლო პოლიტიკური ფუნქციის ქვეშ იგულისხმება “კონსტიტუციის შემოქმედებითი განმარტება”. ავტორის თქმით, ეს არის უზენაესი სასამართლოს პოლიტიკური როლის საკმაოდ ფორმალური და ფრთხილი განსაზღვრება და დასძენს: “უზენაესი სასამართლოს მიერ პოლიტიკური ფუნქცია ხორციელდება ერთობ ფართოდ და ქმედითად, მაგრამ მკაცრი იურიდიული ფორმით და კონკრეტული სასამართლო საქმის გარემოებებთან დაკავშირებით”.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Егоров С.А., Конституционный надзор в современной политико-правовой теории США. “Советское государство и право”. 1991, №4, стр. 124-125.



ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ განმარტების ორი ფორმა: აბსტრაქტული და კაზუალური.

აბსტრაქტული განმარტება ხორციელდება უფლებამოსილი სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, ხოლო კაზუალური განმარტება — კონკრეტული საქმის განხილვისას.

საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელის ქვეყნებში გამოიყენება კაზუალური განმარტება, ხოლო ევროპული მოდელის ქვეყნებში ორივე ფორმას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. მაშასადამე, ევროპულ და ამერიკულ მოდელებს შორის კონსტიტუციის განმარტების საკითხი ერთობ განსხვავებულია. კერძოდ, ევროპაში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანომ კონსტიტუციის დებულებები შეიძლება განმარტოს კანონის კონსტიტუციურობის შემონმების გარეშეც, რისთვისაც საჭიროა მხოლოდ უფლებამოსილი სუბიექტის მიმართვა განმარტების მოთხოვნით. მაშინ, როცა ამერიკის უზენაეს სასამართლოს არა აქვს კონსტიტუციის განმარტების დამოუკიდებელი უფლება. მას ასეთი უფლება წარმოეშობა მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვისას.

ზოგადად, საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სრულფასოვანი გადანყვეტილების მიღება შეიძლება მხოლოდ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და როცა კანონის აშკარა გავლენის დახახვა შესაძლებელია. ამიტომ მათთვის მისაღებია კონსტიტუციის განმარტება მხოლოდ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და არა აბსტრაქტულად. მაშინ, როცა ევროპული მოდელის რიგ ქვეყნებში განმარტების თაობაზე მიმართვას პასუხი უნდა გაეცეს იმ შემთხვევაშიც კი, როცა არ არსებობს რაიმე კონკრეტული კონსტიტუციური — სამართლებრივი დავა. ასეთ შემთხვევაში განმარტება კეთდება კონსტიტუციური ნორმის ტექსტზე დაყრდნობით და იმის მიუხედავად, თუ როგორ ხდება მისი გამოყენება სამართლის სხვა ნორმასთან მიმართებაში, აგრეთვე სადავო საკითხის იმ სოციალური ან ეკონომიკური კონტექსტის გაუთვალისწინებლად, რომელზე დაყრდნობითაც მიიღება გადანყვეტილება ყველა სხვა შემთხვევაში. ამ გარემოებათა გათვალისწინებით მიღებული გადანყვეტილება შეიძლება მნიშვნე-

ლოვნად განსხვავდებოდეს მხოლოდ ნორმის ტექსტზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებებისაგან, რადგან როდესაც სასამართლო დაინახავს, თუ როგორ მოქმედებს კანონი რეალურად, შეიძლება იგი მხოლოდ ტექსტის შინაარსს არ დაეყრდნოს და სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილება გამოიტანოს. სწორედ ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ხდება აბსტრაქტული და კაზუალური განმარტების ურთიერთშედარება და მათ შორის უკეთესი ვარიანტის დადგენა.

იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში ხშირად გვხვდება ტერმინი “ოფიციალური განმარტება”, რაშიც სწორედ აბსტრაქტული განმარტება უნდა ვიგულისხმოთ. მას მეცნიერთა ნაწილი უარყოფითად აფასებს. მაგალითად, პროფ. ჰ.შვარცის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის განმარტება აუცილებლად გასაუქმებელია, რადგან ეს არის აბსტრაქტული კონტროლი ყველაზე უკიდურესი ფორმით, განსაკუთრებით, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა რაიმე კონკრეტულ საკითხზე.<sup>1</sup>

განსხვავებული პოზიციების არსებობის მიუხედავად, კონსტიტუციის განმარტების სამართლებრივი ვალდებულება ზოგადად მაინც მიჩნეულია საკონსტიტუციო სასამართლოების განსაკუთრებული მისიის ნათელ გამოვლინებად, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო მოხელეთათვის დახმარების განეევას იმ მიზნით, რომ მათ კანონშემოქმედებითი ან მმართველობითი ფუნქციები კონსტიტუციის შესაბამისად განახორციელონ. ამგვარი განმარტებების ერთ—ერთი მიზანია კონსტიტუციური პრობლემების წარმოშობამდე მათი თავიდან აცილება. განმარტების უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე აძლევს საშუალებას განავითაროს კონსტიტუციური სამართლის დოქტრინა.

კონსტიტუციის ოფიციალური (აბსტრაქტული) განმარტება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად განიხილება სასამართლოთა ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის ნაირსახეობად. ამ პოზიციის მიმდევართა აზრით, მოსამართლეები იშველიებენ რა

---

<sup>1</sup> ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003 წ. გვ. 375.

საკონსტიტუციო კონტროლის თეორიულ გაგებას, აქტიურად მონაწილეობენ სასამართლოს ნორმაშემოქმედებით საქმიანობაში. ბურჟუაზიულ სამართალმცოდნეთა სულ უფრო ბევრი წარმომადგენელი მიისწრაფვის მოსამართლის ნორმაშემოქმედებითი ფუნქციის დაცვისკენ, რათა წარმატებით იქნეს აღმოფხვრილი წინააღმდეგობა მოქმედ კანონმდებლობასა და კონსტიტუციას შორის. მაგალითად, კ. ცვაიგერტი თვლის, რომ სასურველია მოხდეს მოსამართლის ნორმაშემოქმედებითი ფუნქციის ფორმალური განმტკიცდება, როგორც ეს ამერიკაშია (ისევე, როგორც საერთო სამართლის ქვეყნებში ზოგადად — ბ.კ.) . მისი აზრით, ეს ნაკარნახევია არა მარტო მოქმედ კანონმდებლობაში ხარვეზების დროულად შევსების საჭიროებით, არამედ იმითაც, რომ მუდმივად იქნეს გათვალისწინებული სოციალური პრაქტიკის განვითარება.<sup>1</sup>

ჩვენ ამ პოზიციას ვერ გავიზიარებთ, რადგან ასეთ შემთხვევაში მოსამართლის ფუნქცია პრაქტიკულად უთანაბრდება კანონმდებლის ფუნქციას. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების დროულ შევსებაში სასამართლო პრაქტიკის როლი უდავოდ დიდია, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ სამოსამართლო სამართალი ჩაენაცვლოს კანონმდებლობას. ამით გამოწვეული იქნება რიგი უარყოფითი შედეგები, რადგან სერიოზულად შეირყევა მოსახლეობის ნდობა კანონმდებლისა და კანონმდებლობისადმი.

რაც შეეხება კაზუალურ განმარტებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი ხორციელდება კონკრეტული საქმის განხილვასთან დაკავშირებით. დავას არ უნდა ინვევდეს ის პოზიცია, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება კონსტიტუციის განმარტებასაც გულისხმობს, რადგან ბუნებრივია, როცა ხდება კანონის შესაბამისობის შემოწმება კონსტიტუციასთან, მათი შედარება მექანიკურად კი არ ხდება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, შინაარსობრივი თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მივიღებთ პასუხს კითხვაზე: — შეესაბამება თუ არა კანონი კონსტიტუციას. შემოწმება შინაარსობრივი თვალსაზ-

---

<sup>1</sup> Боботов С.В., Буржуазные концепции судейского нормотворчества. "Советское государство и право", 1986, №2, стр. 97.

რისით, რასაკვირველია, შესადარებელი აქტების განმარტებასაც გულისხმობს.

ამდენად, კაზუალური განმარტება საკონსტიტუციო კონტროლის ორგანული თვისება და მისი განხორციელების თანამდევი პროცესია. მას აბსტრაქტული განმარტებისაგან განსხვავებით არ სჭირდება რაიმე საკანონმდებლო წესით აღიარება და განმტკიცება. ამიტომ, ამ შემთხვევაში, ვეთანხმებით პროფ. მ. ნუდელს, რომლის თქმით "საკონსტიტუციო კონტროლი — ეს, უნინარეს ყოვლისა, კანონების შემონმებაა კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით. ასეთი შემონმება, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს კონსტიტუციის განმარტებასაც".<sup>1</sup>

განსხვავებულია დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა საერთო სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებისას კონსტიტუციის უშუალოდ განმარტების უფლება, თუ მან ამის თაობაზე უნდა მიმართოს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს.

ცხადია, ყველა სასამართლო სარგებლობს კონსტიტუციისადმი მიდგომის გარკვეული თავისუფლებით, მაგრამ მისი განმარტების შესაძლებლობა მიზანშეწონილი იქნება შეზღუდული იყოს, რადგანაც ერთი და იგივე კონსტიტუციური დებულება ორმა სასამართლომ შესაძლოა თავისებურად განმარტოს და განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა მისცეს, რაც სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენებს ქვეყნის სამართლებრივ წესრიგსა და სტაბილურობას.

კონსტიტუციის განმარტების საქმეში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო უფრო მეტად კომპეტენტურია, მაგრამ საერთო სასამართლოებს დღემდე არ სურთ ამ უფლების დათმობა. რიგი ევროპული და განსაკუთრებით პოსტსოციალისტური ქვეყნის საერთო სასამართლოები სკეპტიკურად უყურებენ კონსტიტუციის განმარტების თაობაზე სპეციალური კონტროლის ორგანოსათვის მიმართვის საკითხს. პრაქტიკა მონიშნავს, რომ ამ მხრივ მათი ურთიერთობა საკმაოდ პრობლემურია. მაგალითად, პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის თავდაპირველი

---

<sup>1</sup> Нудель М.А., Конституционный контроль в капиталистических государствах. М., 1968, стр. 3.

მნიშვნელოვანი ასპექტი იყო კონსტიტუციის სავალდებულო განმარტება, მაგრამ პრობლემა წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ ტრიბუნალი მარტო აბსტრაქტული რჩევებით არ შემოიფარგლებოდა და გარკვეულწილად უპირისპირდებოდა უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს (უზენაეს სასამართლოსაც ჰქონდა განმარტების უფლებამოსილება). დავას ინვევდა საკითხი, უზენაესი სასამართლოსათვის ტრიბუნალის განმარტებების სავალდებულობის შესახებ. ეს პრობლემა მოაგვარა 1997 წლის კონსტიტუციამ, რომელმაც უარყო აღნიშნული ინსტიტუტი და გააუქმა მანამდე არსებული განმარტების ყველა ფორმა. დაახლოებით იგივე მდგომარეობა იყო რუსეთშიც, სადაც უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტის ექსკლუზიური უფლების საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გადაცემაზე, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა გამოეცა სპეციალური რეზოლუცია, რომლითაც უზენაეს სასამართლოს აუკრძალა ამგვარი საკითხების განხილვა და გადაწყვეტა. სლოვაკეთის უზენაესი სასამართლო დღემდე ეჭვქვეშ აყენებს საკონსტიტუციო სასამართლოს მონოპოლიურობას ამ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლომ საკმაო ავტორიტეტი მოიხვეჭა სოციალისტურ მთავრობასთან უკომპრომისო ურთიერთობით, საერთო სასამართლოები კონსტიტუციურ საკითხებზე მას მაინც იშვიათად მიმართავენ. ანალოგიური მდგომარეობაა უნგრეთშიც.

დღეისათვის უმრავლეს ქვეყანაში საერთო სასამართლოს უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს წარდგინებით, თუ მიიჩნევს, რომ კანონი ან კანონქვემდებარე აქტი, რომელიც მან უნდა გამოიყენოს, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მაგრამ პრაქტიკაში ეს იშვიათად ხდება, რაც ცალსახად დაუშვებელია. ის, რაც კონსტიტუციურია ერთი სასამართლოსთვის, მეორესთვის დაუშვებელია. ის, რაც კონსტიტუციურია ერთი სასამართლოსთვის, მეორესთვის შესაძლოა პირიქით იყოს. კონტროლის სპეციალური ორგანოს მიერ გაკეთებული შეფასება ან განმარტება კი ატარებს ზოგადსავალდებულო ხასიათს. განმარტებისას კონტროლის ორგანო არა მარ-

ტო ადგენს ამა თუ იმ ნორმის შინაარსობრივ საზღვრებს, არამედ ამ საზღვრების დაცვას სავალდებულოდ აცხადებს სამართლის ყველა სუბიექტისათვის, მათ შორის საერთო სასამართლო-სათვისაც, და არა მხოლოდ კონკრეტული საქმის მონაწილე მხარეებისათვის. სწორედ ამ შემთხვევაში ვლინდება კონსტიტუციის განმარტების თაობაზე მიღებული დადგენილების ნორმატიული ხასიათი, ვინაიდან იგი კონსტიტუციურ — სამართლებრივ დავებზე მიღებული უბრალო შეჯამებით გადაწყვეტილება კი არ არის, არამედ ზოგადსავალდებულო ნორმატიული გადაწყვეტილებაა კონსტიტუციური საკითხებისა. კონსტიტუციის დებულებების ოფიციალური განმარტებისას მოსამართლეების მიერ ახალი კონსტიტუციური დებულებების ჩამოყალიბების გარდაუვალობაზე მიუთითებს პროფ. ნ. ვიტრუკი და აღნიშნავს, რომ 'რუსეთის კონსტიტუციის ცალკეული დებულებების ოფიციალური განმარტება პრაქტიკულად შეუძლებელია განხორციელდეს ისე, რომ არ მოხდეს ფორმულირება ახალი ნორმატიული ხასიათის დებულებებისა, რომელსაც თავად გააჩნია კონსტიტუციის ტოლფასი იურიდიული ძალა'.<sup>1</sup>

დაახლოებით ანალოგიურ პოზიციაზეა პროფ ვ.თუმანოვი, რომლის აზრით "ყოველთვის, როცა ლაპარაკია განმარტების არაელემენტარულ ხერხებზე, იგი ცხადია არ ტოვებს ნორმას პირვანდელი სახით და შეუძლია მნიშვნელოვანწილად მოახდინოს მისი მოდიფიცირება. როგორ მოვახდინოთ ამგვარი 'შემავსებელი განმარტების' კვალიფიკაცია, — სადავაო საკითხია, მაგრამ თუ განმარტებას არ შეაქვს ნორმის შინაარსში არაფერი ახალი, მაშინ, საერთოდ, რალა საჭიროა იგი?"<sup>2</sup>

კონსტიტუცია სამართლის ზოგადი პრინციპებისა და აბსტრაქტული ნორმების კომპლექსია. ისეთი უნივერსალური და მაღალი რანგის პრინციპებისა და ნორმების განმარტება, როგორიცაა კონსტიტუციური პრინციპები და ნორმები, ხშირად საჭირო და აუცილებელია. მათი ახსნა, დაზუსტება, დაკონკრეტება განპირობებულია იმით, რომ ერთგვაროვნად იქნენ გაგებუ-

---

<sup>1</sup> Витрук Н.В., Конституционное право. Восточно-европейские обзоры. "Конституционное правосудие", 1999, 3(28), стр 99.

<sup>2</sup> Туманов В.А., Интервью журналу Государство и право, 1995, №9. стр 7.

ლი და გამოყენებული სამართლებრივ სივრცეში. განმარტებით შესაძლებელი ხდება ნორმათა არსის განუსაზღვრელობისა და არასწორად გამოყენების თავიდან აცილება. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს საკონსტიტუციო სასამართლოთა პრაქტიკიდან: მაგალითად, მოლდოვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ 1995 — 1997 წლებში ათამდე განმარტება გააკეთა, რომლებიც ეხებოდა პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დროსა და ვადებს, მის კომპეტენციას საკანონმდებლო პროცესში, თავდაცვის სფეროში, მის ურთიერთობას პარლამენტთან და მთავრობასთან, პარლამენტის მიერ კანონების გადასინჯვის პროცედურებს პრეზიდენტის მიერ მათი უკან დაბრუნების შემდეგ, მართლმსაჯულების ფორმებს, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას და ა.შ. განმარტება გაუკეთდა კონსტიტუციის 74-ე, 75-ე, 78-5, 88-1, 91-ე, 93-2, 114-ე, 135-ე და ა.შ. მუხლებს.

რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტება გაუკეთა კონსტიტუციის დებულებებს, რომლებიც ეხებოდა ფედერალური კრების პალატების საკანონმდებლო საქმიანობას, საკანონმდებლო პროცესში პრეზიდენტის უფლებამოსილებას, კონსტიტუციის შესწორების საკითხებს და ა.შ. განმარტება კონსტიტუციის 103-ე, 105-2-5, 107-3, 108-2, 117-3, 135-2 და სხვა მუხლები.

ყაზახეთის საკონსტიტუციო საბჭომ განმარტა კონსტიტუციის მე-4, მე-12-2 და 53-3-5 მუხლები. განმარტება გაუკეთდა ისეთ ცნებებს, როგორცაა 'მოქმედი სამართალი', 'ადამიანის უფლებები და თავისუფლებები'. განმარტა აგრეთვე სენატის დეპუტატების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც ეხება კონსტიტუციის ამოქმედების საკითხებს, თანამდებობის პირთა გადანაცვეტილებებისა და მოქმედებების სასამართლოში გასაჩივრების საკითხებს, სადეპუტატო მანდატთან შეუთავსებლობის საკითხებს და ა.შ. განმარტება გაუკეთდა 55-2, 58-ე, 79-ე, 81-ე, 168-ე და სხვა მუხლებს.

სახას რესპუბლიკის (იაკუტია) საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა კონსტიტუციის საკმაოდ ბევრი მუხლი: 67-ე, 78-

11, 58—ე, 59—1, 111—ე, 32—ე, 38—ე, 42—ე, 49—ე, 84—ე, 143—  
ე, 114-ე და სხვა მუხლები, რომლებიც ეხება ვიცე—პრეზიდენ-  
ტის თანამდებობის შეთავსებას სხვა თანამდებობასთან, პარლამენტის პალატების უფლებამოსილების განსაზღვრას კანონ-  
შემოქმედების სფეროში, პროკურორის საკანონმდებლო ინიცია-  
ტივის უფლებას, კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის საკ-  
ითხებს, აგრეთვე კონსტიტუციაში გამოყენებულ ისეთ ტერ-  
მინებს, როგორცაა: "ხალხის თვითმყოფადი განვითარება",  
'ზნეობრივ-ეთიკური ფასეულობები", "ისტორიისა და კულტურ-  
ის ძეგლები" და სხვა.

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო მოუწოდებს სა-  
მართლის ყველა სუბიექტს იხელმძღვანელოს ნორმის შინაარ-  
სის შესაბამისად და მის ფარგლებში. მაგალითად, როცა კონსტი-  
ტუციის კონკრეტული ნორმის შინაარსი განსაზღვრულია, პარ-  
ლამენტი შესაბამისი კანონპროექტის ფორმირებისას უნდა ით-  
ვალისწინებდეს ამ ნორმის ირგვლივ გაკეთებულ განმარტებას.  
სხვა შემთხვევაში მივიღებთ არაკონსტიტუციურ კანონს.  
სწორედ ასეთ დროს შეიძლება შეგვექმნას შთაბეჭდილება კონ-  
ტროლის ორგანოს ნორმაშემოქმედებით საქმიანობაზე და ვუ-  
წოდოთ მას "ნეგატიური კანონმდებელი", მაგრამ ასეთი შეფასე-  
ბა არასწორი იქნება, რადგან კონტროლის განმარტებით პარლამენტს  
მოქმედების ფარგლებს კი არ უდგენს, არამედ ამით იგი  
ქმნის კონსტიტუციის პრევენციული დაცვის შესაძლებლობას.  
განმარტება არ ნიშნავს ნორმაშემოქმედებას, ვინაიდან ამ დროს  
არ იქმნება ახალი ნორმა, არამედ უკვე შექმნილი და არსებული  
ნორმის შინაარსის დაზუსტება ხდება მხოლოდ. ამიტომაც ვერ  
დავეთანხმებით პროფ. ვ. მაკლაკოვს იმაში, რომ თითქოს ძირი-  
თადი კანონის განმარტების გზით, მისი "სულისკვეთების" გამ-  
ოვლინებით, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო ფაქტობრი-  
ვად დაკავებულია ნორმაშემოქმედებითი საქმიანობით. იგი გან-  
მარტებას, ისევე როგორც მთლიანად საკონსტიტუციო კონტრო-  
ლის ინსტიტუტს, განიხილავს "ფრიად მოხერხებულ ინსტრუ-  
მენტად, ცვლადი პოლიტიკური სიტუაციის პირობებში" და  
დასძენს, რომ "განმარტების შედეგად ერთი და იგივე აქტი შეი-  
ძლება ინტერპრეტირებულ იქნეს პირდაპირ საპირისპირო  
აზრით. .... ასეთი მიდგომა მოსამართლეებს აძლევს ძალიან ფარ-



თო უფლებამოსილებას ინტერპრეტაციისათვის, მათ შეუძლიათ არა მარტო ტექსტის განმარტება, არამედ უფლება ეძლევათ, მისცენ მას სხვა მნიშვნელობა პირვანდელთან შედარებით".<sup>1</sup>

აბსტრაქტული, ანუ ოფიციალური განმარტება დღეისათვის ფართოდ იკიდებს ფეხს მრავალი ქვეყნის კონსტიტუციასა და შესაბამის კანონმდებლობაში. ეს უფლება აღიარებულია ესპანეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, გერმანიაში, პოსტსაბჭოთა სივრცის რამდენიმე ქვეყანაში (რუსეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ძოლდოვა, უზბეკეთი, უკრაინა) და ა.შ.

მიუხედავად საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს მიერ ნორმაშემოქმედებითი ფუნქციის განხორციელების რეალური საფრთხის არსებობისა, ვერ დაიჩრდილება ის უდიდესი სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც კონსტიტუციის ოფიციალური განმარტების უფლების აღიარებას უკავშირდება. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს აღჭურვა აბსტრაქტული განმარტების უფლებით, უდავოდ უნდა ჩაითვალოს წინგადადგმულ ნაბიჯად კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საქმეში, ვინაიდან ამგვარი განმარტების მიზანია კონსტიტუციის დებულებათა ერთგვაროვანი გაგება პრაქტიკასა და თეორიაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას. გარდა ამისა, აბსტრაქტული განმარტების გზით ხდება კონსტიტუციის ზოგადი და ბუნდოვანი ნორმების დეტალიზაცია და ამით მასში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა. იგი ერთგვარ პროფილაქტიკურ მნიშვნელობასაც ატარებს, რადგან ნორმათა შინაარსის წინასწარვე ზუსტი განსაზღვრა იცავს მათ მომავალში მოსალოდნელი დარღვევებისაგან, ე.ი. კონსტიტუციური დავებისა და პრობლემების წამოჭრამდე იქმნება მათი თავიდან აცილების შესაძლებლობა. ამდენად, ყველა ის შიში, რომელიც აბსტრაქტულ განმარტებას უკავშირდება, უსაფუძვლო აღმოჩნდება იმ შემთხვევაში, როცა იგი მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ მიზნებს მოემსახურება.

---

<sup>1</sup> Маклаков В.В., Конституционный контроль в буржуазных и развивающихся странах. М., 1988, стр. 21.

## რეზიუმე

იურიდიულ მეცნიერებაში დღეისათვის არ არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის საყოველთაოდ აღიარებული ერთგვაროვანი განმარტება, რაც უნდა აიხსნას მისი სამართლებრივი არსისა და დანიშნულების ერთობ გადაჭარბებული ანდა, პირიქით, საკმაოდ შეზღუდული გაგებით.

